# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 25 აპრილი 1998 №60 (595) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვლადიმერ გუცაევი: არჩევნები არ იქნება!

**კიდევ ერთი შეხვედრა შედგა. გუშინ ეროვნული გუნდის თავკაცმა ვლადიმერ გუცაევმა მორიგი პრესკონფერენცია გამართა. ამჯერად ტუნისში გამგზავრებისწინა ამბები გვამცნო. სულ რამდენიმე დღეა, რაც აფრიკელებთან ამხანაგური მატჩის ჩატარება გაცხადდა და კვლავ გავხდით მოწმე მასხობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი გუცაევის კეთილი და საქმიანი დამოკიდებულებისა. მან ზემელზე, მიწისქვეშა კომპლექსში ჩვეული გულახდილობით გვიმასპინძლა.**



### მეტოქე

ნორვეგიელებსა და ბერძნებს ვალი კი ჰქონდათ დასაბრუნებელი, მაგრამ თანაჯგუფელობის გამო გეგმები ჩაიშალა. ტუნისი ურიგო ვარიანტი როდია. საკმაოდ კარგად მომზადებული გუნდი, სერიოზული მეტოქეა, რაზეც მსოფლიოს კლასიფიკაციაში მათ მიერ დაკავებული 26-ე ადგილიც მეტყველებს. ტუნისელებთან გაჯიბრების შესაძლებლობა მოულოდნელად გამოჩნდა. ჩვენც დავყაბულდით და 2-ში ტუნისს ვესტუმრებით. 22-კაციანი სია უკვე გამოვაცხადე. ამათგან 16 წამსვლელის ვინაობა ჯერ არ გამირკვევია. „დინამოს" სათასო შეხვედრას დავესწრები და რომელიმე მცველს დავიმატებთ, არიან კანდიდატურები.

### ოლსენი ჭირვეულობს

ნაკრებში გამოძახებულ ყველა ლეგიონერს ვესაუბრეთ, შევთანხმდით, რომ ტუნისში ჩამოვლენ და იქ შემოგვიერთდებიან. ერთადერთი პრობლემა შოთა არველაძეა. „აიაქსის" მწვრთნელმა მორტენ ოლსენმა ფაქსი გამოგვიგზავნა, შეგვატყობინა, შოთას ვერ გამოვუშვებთო. უცნაურია ოლსენის ქცევა. მალტაზე შეკრებისას გვთხოვა, არველაძე მჭირდებაო, ჩვენც კეთილი ნება გამოვიჩინეთ, ფეხბურთელი პირველივე მატჩის შემდეგ ჰოლანდიელებს დავუბრუნეთ. ახლა ისევ მსგავსი განმეორდა. პირადად მე ნაკლებად მაინტერესებს, შოთა ჰოლანდიის ჩემპიონატის ბომბარდირი გახდება, თუ არა. ჯერ ერთი, ძლიერ მეეჭვება ასე მოხდეს, რადგან მახლასიც ცოცხალი ადამიანია და გოლების გატანა მასაც შეუძლია. მეორეც, ალბათ, თქვენც ის გსურთ, რომ შოთა პირველყოვლისა ეროვნულ გუნდს გამოადგეს. ძალიან სასიამოვნო იქნება, გამიხარდება მისი ბომბარდირობა, მაგრამ უფრო გასახარი ეროვნულში წარმატებით თამაშია. სწორედ ამის გამო „აიაქსში" საპასუხო ფაქსი ვაფრინეთ, ვნახოთ, რას გვეტყვიან. ხელმეორე უარის შემთხვევაში შოთას ნაცვლად სხვა თავდამსხმელს მივცემთ თავის გამოჩენის საშუალებას.

### ორი მიშა და სხვები

ყაველაშვილის არგამოძახების მიზეზი ოდენ მისი დისკვალიფიკაციაა. გეახსოვრებათ, პოლონელებთან ბოლო თამაშისას მსაჯმა მინდორი ვადაზე ადრე დაატოვებინა. უეფა მიშას სანქციის გარეშე არ დატოვებს. ჰოდა, მისი მოწვევისგან თავი შევიკავეთ. შესარჩევების დაწყება უყაველაშვილოდ მოგვიწევს. მიშას თავად ავუხსენი მიზეზი. ყველაფერი სწორად გაიგო. მომავალი თამაშებისთვის ყაველას აუცილებლად გამოვიძახებთ. მეორე მიშასაც, ოღონდ ფოცხვერიას, სწორედ ამიტომ არ ვუხმეთ. თავის თავს დააბრალოს. იტალიელების გალახვა ნაკრებში არგამოძახებად დაუჯდა. მამამისს ვესაუბრე, მკითხა, რას აპირებთო. ვუპასუხე, რომ ერთ-ერთი შეკრებისას მიშას აუცილებლად მოვიწვევ. ისიც ვუთხარი, ჩამოდი შენს შვილთან ერთად და მოვიფიქროთ, „შახტიორისგან" როგორ დავიხსნათ-მეთქი. რაც შეეხება ზაზა ჯანაშიას, მართალია, ბოლო მატჩებში კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ არა ისეთი, სანაკრებო დონეს აკმაყოფილებდეს. კლუბი და ეროვნული გუნდი ერთმანეთისგან დიდად განსხვავდება. შემდგომი თამაშებისთვის მასაც დავუძახებთ, თანაც დავაკვირდები, როგორ მოიქცევა. ჩემი აზრით, კარგ ფეხბურთელობასთან ერთად პიროვნული თვისებებიც არანაკლებ მნიშვნელოვანია. გიორგი დარასელიაზე რა გითხრათ. მის გამოძახებაზე სერიოზულად არ გვიფიქრია. იმ პოზიციაზე, სადაც ის თამაშობს, კანდიდატები საკმაოდ არიან. თუმცა ეს ისე არ გაიგოთ, თითქოს დარასელიაზე ხელი გვქონდეს ჩაქნეული. დრო მოვა და მასაც გავსინჯავთ. მოკლედ, ერთი იცოდეთ: უყურადღებოდ არავინ დარჩება. დაიმსახურებენ — მოვიწვევთ, არა და პასუხი საკუთარ თავს მოსთხოვონ. შესარჩევებამდე რუსეთის ნაკრებს, მოსკოვის „ტორპედოს", აზერბაიჯანსა უკრაინას ვეთამაშებით. სხვებს საამხანაგოდ მოვიწვევთ.

### ჯო ჯავრობს

მალტაზე თამაშებისას ყველაზე სუსტად დაცვის რგოლი გამოიყურებოდა. ახლა შეგნებულად გავზარდეთ მცველთა რაოდენობა. ამათგან საუკეთესოებს შევარჩევთ. მოვიწვევთ კახა ცხადაძესაც. დავურეკე და ვესაუბრე. მითხრა, მწვრთნელთან კონფლიქტი მაქვსო. უსიამოვნო ფაქტია. ფეხბურთელმა უნდა ითამაშოს, არა მწვრთნელს ეკამათოს. იგი ბავშვი არაა, ჩამოყალიბებული ადამიანია. ახლა ახალი კლუბის ძიებაშია, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად შანსი მივეცით, მასზეა დამოკიდებული, როგორ დაიმკვიდრებს ადგილს.

### არჩევნები არ იქნება

კაპიტანს რაც შეეხება, ეს საკითხი ჯერ მოუგვარებელია. ტუნისში ვინც უწინამძღვრებს დანარჩენებს, მომავალშიც მას ვენდობი. დიახ, ვენდობი, რადგანაც კაპიტანს პირადად დავნიშნავ. თან ისეთს, რომელსაც ავტორიტეტი აქვს და გუნდის დადებითი ემოციებით დამუხტვაც ხელეწიფება. არავითარი არჩევნები. ერთი მეორის ძმაკაცია, მეორე მესამის, იფიქრებენ, კაცობაში არ ჩავიჭრაო. ამიტომაც მე გადავწყვეტ.

### რა უნდა დალგლიშს?

გიორგი ქინქლაძესთან სერიოზული საუბარი მომიწევს. მსურს მისგან გავიგო, რას და როგორ აპირებს. თუ უნდა ნაკრებში და საერთოდ დიდი ფეხბურთის თამაში, ხომ კარგი, თუ არადა... უვარჯიშებლობა ქინქლაძეს უმალ ეტყობა, წონაში იმატებს ხოლმე. ის კი ისეთ ამპლუაში თამაშობს, სადაც ბევრი მოძრაობაა საჭირო. განცვიფრებული ვარ კენი დალგლიშითაც. ქეცბაიას დარი ფეხბურთელი გუნდში ჰყავდეს და არ ათამაშო? ვერ გამიგია ამ კაცის. თემურის დიდი იმედი მაქვს.

### ლეგიონი

ქართველ ლეგიონერებს 20 მაისისთვის დავიბარებთ. ხუთ დღეს სავარჯიშოდ შინიდან ივლიან, 25-ში კი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში შევიკრიბებით და რუსებთან სათამაშოდ გავემზადებით. მერე ორი დღე კვლავ სახლიდან ივლიან სავარჯიშოდ და ისევ შევკრებთ ამჯერად „ტორპედოსთან" გასაჯიბრებლად. საერთოდ მაისი ძლიერ დაგვეხმარება ნაკრების მოსამზადებლად. ფაქტობრივად, აქამდე ერთხელ ვივარჯიშეთ, მალტაზე ჩასვლის დღეს. დანარჩენი თამაშების შემდგომ აღდგენით პროცესს მოვანდომეთ. ახლა ორკვირიანი დრო გვექნება. ტაქტიკასაც დავამუშავებთ და სათეორიოდაც მოვიცლით.

### ვიკინგებამდე

ჯერ ნორვეგიასთან მატჩზე არ ვფიქრობთ. მათი თამაში ადრეც მინახავს და მსოფლიოს ჩემპიონატზეც მექნება ხილვის საშუალება. დღეისთვის მთავარია, ინფორმაცია იმ გუნდებზე მოვაგროვოთ, რომლებსაც წელს ვეთამაშებით: ალბანეთი, ლატვია საქმეში გვინახავს, აი, ბერძნებზე კი თითქმის არაფერი ვიცით. 6 სექტემბერს რომელიმე ჩემი თანაშემწე ელადას მიაშურებს, მასპინძლების სლოვენებთან მატჩს დაესწრება და ფირსაც ჩამოიტანს. ახლა მთავარი ესენი არიან, დანარჩენებს მერე მივხედავთ.

### შემადგენლობა

დავრწმუნდი, რომ გელა შეყილაძის ადგილი დაცვის მარჯვენა ფლანგზეა. მარცხნივ თამაში, ალბათ, ლევან სილაგაძეს მოუწევს, ხოლო შუაში ცხადაძე-კალაძის წინ ნემსაძეს დავუყენებთ. გოჩა ჯამარაულს ნახევარდაცვის მარჯვენა მხარეს თამაშისთვის გამოვიყენებთ, ოღონდ დაცვაში სირბილსაც მოვთხოვთ. თავდასხმაში სასურველ ვარიანტად შოთა არველაძისა და ქეცბაიას დუეტი მიმაჩნია. თუ საშუალება მოგვეცა, ტუნისთან სწორედ ასე განვალაგებთ ბიჭებს. დღევანდელ ფეხბურთში კონტრშეტევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ სწრაფი ფორვარდია საჭირო, სწორედ ისეთი, როგორიც ქეცბაიაა. დაცვიდან ამოტანილი ბურთი ცენტრში არ უნდა გააჩერო. ქეცბაიას კი შეუძლია შუა ხაზი თვალის დახამხამებაში გადაკვეთოს და მეტოქეს საფრთხე შეუქმნას.

### სტადიონი თუ დაინგრა

არ ვიცი, ვინ რა დაწერა, მაგრამ ახლავე გეუბნებით — პირველ მატჩს ჩვენი ნაკრები თბილისში ჩაატარებს. მე მწვრთნელი ვარ და ჩემი გადასაწყვეტია, სად გვირჩევნია თამაში. გარანტიას გაძლევთ, თუ ეროვნული სტადიონი მანამდე არ დაინგრა, ალბანელებს დიღუბეში ვუმასპინძლებთ. მთავარი მინდვრის ხარისხი და ნორმალური გასახდელებია, სხვა ნაკლებად მაინტერესებს.

### აქვე ახლოს

ჩაქვში ბაზა არ გვჭირდება, არც ლაგოდეხშია მაინც და მაინც მიზანშეწონილი. ყველაზე უკეთესია თბილისიდან ჰა, ჰა, 15-20 კილომეტრში თუ მოვაწყობთ სტანდარტების შესაბამის ბაზას. ჯერჯერობით მცხეთაში ვივარჯიშებთ, შეიძლება „დინამოსაც" ვთხოვოთ, დღეგამოშვებით მინდორი დაგვითმოს. ვაიდა გაწვიმდეს, მეორე დღისთვის გაზონს გასწორება დასჭირდება, ამიტომ მეორე სავარჯიშო ადგილიც უნდა გვქონდეს.

### ფული

ბოლოს ერთი თხოვნა მაქვს: სასურველი იქნება, თუ შეიქმნება ეროვნული გუნდის დახმარების ფონდი. საქართველოში ბევრი შეძლებული ფირმაა. თითომ რომ 15-20 ათასი დოლარი გადმოგვირიცხოს, არაფერი დაუშავდებათ, ჩვენ კი მეტად წაგვადგება. განა ცუდია, ევროპული ქვეყნების ნაკრებები ერთნაირ სამოსში გამოწყობილები რომ გვსტუმრობენ? რა ჯობს ერთნაირ კოსტუმს, ჰალსტუხს... ემბლემით დამშვენებულ სხვადასხვა სუვენირს. ამ ფულით ამას გავაკეთებთ. ძირითად პრემიებსაც დავაწესებთ. ფეხბურთელები, ხომ იცით, პრემიას მხოლოდ ევროპის ჩემპიონატზე გასვლისთვის მიიღებენ. აი, თუ ფონდში ფული ჩაირიცხება, ეს კონკრეტულ თამაშებზეც გახდება შესაძლებელი, მაგალითად, საბერძნეთში თამაშისას...

**ძოგა ინასარიძე**

P.S. წინა „სარბიელში" საქართველოს ნაკრების 22-კაციან შემადგენლობაში მიხეილ ყაველაშვილის ნაცვლად ნუგზარ ლობჟანიძე უნდა ყოფილიყო.



**ხვალ**
**საქართველოს თასი**
ნახევარფინალის საპასუხო მატჩები
**დილა — დინამო (2:1)**
**თსუ — ბათუმი (0:1)**

## კოლხეთი ტორპედოს პრეზიდენტს უჩივის
## ფედერაცია კი სოლოღაშვილს სჯის

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ქართულ ფეხბურთში მორიგი სკანდალი მწიფდება. ფოთის „კოლხეთი" სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს. აპირებს კი არა, მათი მწვრთნელის სოსო ფილიას თქმით, ქუთაისის „ტორპედოს" პრეზიდენტს ბესო ჯიქიას აუცილებლად უჩივლებენ იმ განცხადების გამო, რომელიც წინა „სარბიელში" დაიბეჭდა. შეგახსენებთ, რომ ქუთათურთა პრეზიდენტი ამბობდა, ახლა მართლა დავრწმუნდი, მალალურაძე „კოლხეთის" მსაჯიაო. სწორედ ამან აღაშფოთა კოლხთა არა მარტო მწვრთნელი, არამედ მთელი ქალაქი. ფოთელები გაავებულან და სავსებით შესაძლებელია, „ტორპედოს" ფოთში სტუმრობას აურზაური მოჰყვეს. სოსო ფილიას ქალაქის პოლიცმაისტერიც კი გაუფრთხილებია, ემანდ ტრაგედია არ დატრიალდეს, სტადიონზე პოლიციელები მრავლად გამოგზავნეთო.

— მთელმა საქართველომ ნახოს ის ვიდეოფირი, სადაც „კოლხეთისა" და „დინამოს" ამასწინდელი მატჩია აღბეჭდილი — გვითხრა სოსო ფილიამ — თავად თბილისელებს არ გამოუთქვამთ პრეტენზია მსაჯობის გამო, ტორპედოელთა პრეზიდენტს კი რაღაც-რაღაცეებში ეჭვი ეპარება. დღეიდან ვიწყებთ სათანადო საბუთების გამზადებას, რათა ჯიქიას ვუჩივლოთ.

საიდან მოიტანა ბესიკ ჯიქიამ, თითქოს მსაჯ მერაბ მალალურაძეს ფოთელები „რუსთავთან" მატჩის წინ ესაუბრებოდნენ? ყველა, ვინც კი „კოლხეთში" მუშაობს, ხელმძღვანელებიან-ფეხბურთელებიანად, იმ დღეს გორში ვიყავით. არა, ამას ჯიქიას არ ვაპატიებთ. მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ წყალტუბოში „სამგურალთან" თამაშისას არბიტრი ოთარ გუნთაძე ტორპედოელთა ზეგავლენით მსაჯობდა, მაგრამ ფაქტი არ გვაქვს, ამიტომაც დუმილს ვარჩევთ. „მალაროელთან" მატჩის გახსენებაც შემიძლია, როცა მატჩს ქუთაისელები ესწრებოდნენ.

ღმერთია მოწმე, მე, სოსო ფილიას, არც ერთი მსაჯისთვის არასდროს არაფერი მითქვამს. თუმცა ვაღიარებ, შარშან „მერანთან" წაგებისას გავმწარდი და თამაზ ლაცაბიძეს ერთი-ორი ცუდი სიტყვა ვუთხარი. ეგ იყო და ეგ. მსგავსი აღარ განმეორებულა.

სოსო ფილია აღშფოთებული გახლდათ. ვერაფრით გაეგო ბესიკ ჯიქიასი. ფილიასთან სრულიად სხვა კითხვამ გვალაპარაკა. საქმე ისაა, რომ ფოთის „კოლხეთი" გასული სეზონის მიწურულს „ბათუმში" გადაბარგებული დავით სოლოღაშვილის ტრანსფერის ფულს ითხოვს.

— დიახ, ასეა. ჩვენ ბათუმელებს კუთვნილ 3 ათას ამერიკულ დოლარს ვთხოვთ სოლოღაშვილის სანაცვლოდ. მოთმენა აღარ შეგვიძლია, ფული დეკემბერში უნდა გადაეხადათ, მაგრამ, აგერ აპრილის ბოლოა და კაპიკიც არ მიგვიღია. თავიდან ათი ათასს ვთხოვდით, შემდეგ შვიდს, კიდევ დავაკელით, ხუთი ათასზე ჩამოვედით, საბოლოოდ თავად ფეხბურთელის თხოვნით სამი ათასზე დავყაბულდით. ეს ფული ზაფხულშივე იყო გადასახდელი, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციამ გვთხოვა, „არარატთან" ისედაც დაზარალდნენ, ნუღარ „მიაწვებითო". მაშინ გავითვალისწინეთ თხოვნა და თავი შევიკავეთ. ისე, რომ იცოდეთ, „არარატთან" დაკავშირებულ სკანდალში „კოლხეთი" უდანაშაულოა.

ისევ სოლოღაშვილის საქმე. ეს ფეხბურთელი „ბათუმს" ბოლო ორ მატჩში დააკლდა. ფედერაციამ „ბათუმი" გააფრთხილა, ფოთელებს ფული გადაუხადეთო, აჭარელებმა კი ამხელა მორალურ-მატერიალური ზარალი ვნახეთ და ფულს როგორღა გვთხოვთო. ფედერაცია, რაკი დამნაშავე დღემდე არ დაუდგენია, ისევ ფეხბურთელს სჯის. აბა, საკუთარ თავს ხომ არ დასჯის.

**ძოგა ინასარიძე**

## უეფამ ღარიბებსაც გაუგო

**24 ტური**

**22 აპრილი**

| | | |
|---|---|---|
| რუსთავი | 0:0 | ტორპედო |
| გურია | 1:2 | ლოკომოტივი |
| მარგვეთი | 1:4 | ბათუმი |
| დილა | 0:0 | კოლხეთი |
| დინამო | 5:2 | თსუ |
| სამგურალი | 1:0 | სიონი |

**23 აპრილი**

| | | |
|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 0:0 | მალაროელი |

**24 აპრილი**

| | | |
|---|---|---|
| მერანი | 6:0 | ოდიში |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 23 | 19 | 2 | 2 | 65:12 | 54 |
| ბათუმი | 24 | 15 | 5 | 4 | 53:17 | 50 |
| კოლხეთი | 24 | 14 | 5 | 5 | 45:19 | 47 |
| ტორპედო | 24 | 13 | 7 | 4 | 40:20 | 46 |
| ოდიში | 23 | 13 | 3 | 7 | 35:36 | 42 |
| თსუ | 24 | 11 | 6 | 7 | 32:21 | 39 |
| ლოკომოტივი | 24 | 10 | 6 | 8 | 28:30 | 36 |
| მერანი | 24 | 10 | 6 | 8 | 32:30 | 31 |
| დილა | 24 | 8 | 4 | 12 | 21:29 | 28 |
| ვიტ ჯორჯია | 24 | 6 | 8 | 10 | 20:28 | 26 |
| სიონი | 24 | 8 | 6 | 10 | 36:30 | 25 |
| რუსთავი | 23 | 7 | 2 | 14 | 21:36 | 23 |
| სამგურალი | 24 | 6 | 5 | 13 | 22:45 | 23 |
| გურია | 24 | 4 | 7 | 13 | 23:47 | 19 |
| მალაროელი | 23 | 4 | 4 | 15 | 19:50 | 16 |
| მარგვეთი | 24 | 1 | 6 | 17 | 17:59 | 9 |

„დინამოს", „მერანს" და „სიონს" დაკლებული აქვთ 5-5 ქულა

მატჩების რეპორტაჟები იხილეთ მეორე გვერდზე

INTERTOTO CUP

სამი წლის წინ უეფამ ახალი ევროპული შეჯიბრი დააკანონა. საფეხბურთო ტოტალიზატორებს საზაფხულო საქმეც გაუჩინა — ინტერტოტოს თასის გათამაშება. სამი პრესტიჟული ევროთასის საგზურსგარეშე დარჩენილთა პაექრობას აზრი და სტიმული რომ შეეძინა, ჯერ ორ, შემდეგ კი სამ გამარჯვებულს უეფას თასზე ბრძოლის გაგრძელების ნება დართეს. ეს სატყუარა უფრო დაბალი დონის საფეხბურთო ქვეყნებისთვის თუ იყო, თორემ გრანდებმა თავიდანვე შორს დაიჭირეს სათადარიგოებს ცდიდნენ.

გუშინ ნიონში უეფამ გათამაშების სისტემის შეცვლა გადაწყვიტა. თუკი აქამდე გუნდები ერთწრიანი ჯგუფებიდან გადიოდნენ პლეი ოფში, ამჯერად უეფას თასის სამ ზედმეტ მონაწილეს მიმოსვლით გასამართი ხუთი ეტაპი გამოავლენს.

პირველ ეტაპზე, 20-21 და 27-28 ივნისს რომ ჩატარდება, 40 გუნდი 20 გამარჯვებულს გაარკვევს. ეს 20 სხვა ოციდან 12 განთესილს შეუერთდება და 4-5 და 11-12 ივლისს მეორე ეტაპს გამართავს. ამ ეტაპის 16 გამარჯვებული 8 საუკეთესო განთესილს 18-19 და 25 ივლისს ეთამაშება. 12 საუკეთესო კი 29 ივლისს და 5 აგვისტოს ნახევარფინალს გაითამაშებს. ნახევარფინალში მოგებული ექვსი გუნდი დაწყვილდება და 11 და 25 აგვისტოს მატჩებით გათამაშებასაც დაასრულებს.

განთესილთაგან 8 საუკეთესო იტალიის, საფრანგეთის, გერმანიის, ჰოლანდიის, პორტუგალიის, ინგლისისა და ბელგიის გუნდია. ორ მონაწილეზე მეტი არც ერთ ქვეყანას ეყოლება. ასეთი გადაწყვეტილების მიღება უეფას იტალიისა და ესპანეთის ფედერაციათა განცხადებამ აიძულა.

აპენინელები და პირენეელები უდროობას ჩივიან, ქართული კლუბები კი ჯიბეთხელობას. ინტერტოტოს გათამაშების წინა სისტემა ჩვენებურთათვის კაბალური იყო. ორ-ორჯერ სტუმარ-მასპინძლობა დიდ ხარჯებს ითხოვდა, ხეირი კი ჯგუფში მოგებისთვის მხოლოდ 50 ათასი შვეიცარიული ფრანკი გახლდათ. ქართველებს უეფამ ერთადერთი შეღავათი მისცა, თუ დახარჯვა არ შეეძლოთ, თამაშს დროულად, პირველ ეტაპზევე მარცხით შეეძლოთ შეეშვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი
„სინათლე“
24 აპრილი

**მერანი 6:0 ოდიში**

**მერანი:** ნაჭყებია, ინიაშვილი, ვ. ალადაშვილი, დავითნიძე, ბუხრიკიძე, გეწაძე, კაპანაძე, აბაზაძე, ა. ხორხელი (მაზანაშვილი 62), მესხი (ჩიგოშვილი 66), დავითაშვილი (ბერაია 77)
**ოდიში:** გაბელია, ახვლედიანი, ლურსმანაშვილი (ქურდულია 46), ბარქაია, ტყემალაძე, ებრალიძე (თოლორაია 65), ჩადუნელი, იოსავა, ჭედია (ჯურხაძე 46), ქოიავა, კალანდაძე
1:0 გეწაძე (43), 2:0 აბაზაძე (45), 3:0 ჩიგოშვილი (76), 4:0 მაზანაშვილი (82), 5:0 ჩიგოშვილი (85), 6:0 მაზანაშვილი (88)
**გაფრთხილება:** ქოიავა, დავითნიძე
**მსაჯი:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი)



მიხეილ მესხს ბურთზე პოლონეთიდან დაბრუნებული ბარქაია უფარებს

გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

# როდის მოვა 22 მაისი

**მამუკა კვანტალიანი**

ექვსი უპასუხო ბურთით წაგება „ოდიშისთვის“ უცხო სრულიადაც არ გახლავთ. მსგავსი რამ ზუგდიდელებს ბოლნისშიც შეემთხვათ. მაშინ მეგრელები ძალიან უსუსურად გამოიყურებოდნენ, მაგრამ გუშინ მთლად საცოდაობა იყო მათი ცქერა. არადა, სულ რაღაც სამი ტურის წინ ოდიშელებს სამეულის გუნდად რაცხდნენ.

დღესაც გამოუცნობად რჩება, როგორ ინარჩუნებდა ლიდერებს შორის პოზიციებს დღევანდელი „ოდიში“. გუნდი ყველა სათამაშო რგოლში მოისუსტებს, ფეხბურთელებს ერთმანეთისა ვერ გაუგიათ და თავიანთთვის ცოდვილობენ რაღაცას. ეს რაღაც კი არაფრით არ გამოდის. ლამის ვირწმუნოთ ჭორად მოარული ზღაპრები, „ოდიშმა“ წინა ჩემპიონატში ბლომად თამაშები გააჩუქა და ახლა ვალებს იბრუნებსო. აბა, სხვა ახსნა რა უნდა მოიძიო, გუნდი ევროპას უმიზნებდა და მთელი მატჩის განმავლობაში მეტოქის მეკარე ერთხელაც ვერ გადაახტუნა.

პირველ წრეში ავჭალელები ზუგდიდიდან ძლიერ დაბოღმილები დაბრუნდნენ, გოლი 94-ე წუთზე გაგვიტანეს, ისიც თამაშგარედან და მეტად უპატივცემულოდაც მოგვექცნენო. „სინათლეზე“ გუშინდელი დღისთვის კარგა ხანი ემზადებოდნენ. ამათ დახვედრაც საკადრისი სცოდნიათ.

სტუმრებს ძირითადის ხუთი ფეხბურთელი აკლდათ. სოლოლაშვილი ხელის ტრავმას შეუწუხებია, ენდელაძე თამაშს გაფრთხილებების გამო ტოვებდა, ხოლო ქორიძის, სიდამონიძისა და ცქიფურიშვილის არყოფნის შესახებ ვურაფერს მოგახსენებთ. ესენი ყოფილი მერანელები არიან და ადვილად შესაძლებელია, თამაშზე გასვლა არც ინდომეს.

მიუხედავად ამისა, „ოდიშს“ დებიუტს ვერ დაუწუნებდით. ასე იყო თუ ისე, მასპინძელთა შეტევებს უმკლავდებოდნენ და თავადაც იჩხვლიტებოდნენ, მაგრამ მაშინაც შეინიშნებოდა დაცვის შეუთანხმებელი მოქმედება. ტაიმის ბოლოს ოდიშელთა უკანა ხაზის სისუსტე ძლიერ თვალშისაცემი გახდა და გოლების კორიანტელიც ატყდა.

ანგარიში გეწაძემ გახსნა. მან კაპანაძის ფლანგური გარღვევის შემდეგ ცარიელ კარში შეაგორა ბურთი. ორ წუთში აბაზაძემ მეკარის შეცდომა გამოიყენა და სხვაობა გააორა.

მეორე ტაიმში ჯანელიძემ შეტევის სამი ფეხბურთელი მეორე სამეულით შეცვალა. მაზანაშვილის გამოჩენამ იერიშები უფრო მწყობრი გახადა, ხოლო ჩიგოშვილი ძნელად მოსახელთებელი შეიქნა. შემდეგი ოთხი გოლი ერთიმეორეზე უკეთესი სანახავი გამოდგა, ისეთი, ნებისმიერი ქვეყნის ჩემპიონატს რომ დაამშვენებდა. მაზანაშვილმა და ჩიგოშვილმა დუბლი შეასრულეს.

გაბელიასთვის ოთხივე აუღებელი იყო. სამი ცხრიანში შევარდა, ერთიც მარცხენა დაბალ კუთხეში. არა, გუშინ „ოდიში“ ხელჩაქნეულ გუნდს უფრო ჰგავდა, რომელსაც ყოველგვარი ინტერესი დაჰკარგვია და მაინცდამაინც არც სპორტულ პრინციპს დაგიდევთ. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ამათთვის ჩემპიონატი უკვე დამთავრდა და მინდორზე მხოლოდ იმიტომ გადიან, ფედერაციამ გათამაშებიდან რომ არ მოხსნას, ფეხბურთელთა უმეტესობას კი ერთი სული აქვს, როდის მორჩება წვალებას — ნეტა მალე მოვიდეს 22 მაისი, რათა აქაურობას დროზე გავეცალოთო. სად მიდიან ამჟამინდელი ოდიშელები, ძნელი სათქმელია, ის კი ფაქტია, რომ ზუგდიდში დარჩენას არ აპირებენ.

სამტრედია
„ეროსი მანჯგალაძე“
23 აპრილი

**იბერია ს 4:0 კოლხეთი ხობი**

**იბერია:** ლაბაძე (ჭოლაძე 87), გ. ნიკოლეიშვილი, ქობესაშვილი, გეგეშიძე, ს. გიგიაძე, თოდუა, შ. ჩომახიძე, ამაშუკელი, ვ. გიგიაძე, იგეჩიანი (მუმლაძე 66), ჭელიძე (ბაკურაძე 23)
**კოლხეთი:** ბულია, ონიანი, კაციტაძე, ჯამბურია, ზურაბ აიანადი, ხურცილავა, კვარაცხელია, გვაზავა (ქარდავა 65), კუტალია (დანელია 46), ქაშიბაძე, ზაზა აიანადი
1:0 ვ. გიგიაძე (32), 2:0 თოდუა (69), 3:0 ამაშუკელი (82პ), 4:0 მუმლაძე (85)
**გაფრთხილება:** ბაკურაძე, ზაზა აიანადი, ონიანი, ნიკოლეიშვილი, გეგეშიძე
**გაძევება:** ზურაბ აიანადი (81)
**მსაჯი:** თ. ლაცაბიძე (სურამი)

# ლაცაბიძემ სამტრედიელები შეირიგა

**იუზა კაციტაძე სამტრედიიდან**

ამ თამაშს ძალიან დიდი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სატურნირო ცხრილის სულ ზედა ნაწილში სიტუაციის გასარკვევად. ასკ-ზე აღარ ვლაპარაკობთ. არმიელები ცალი ფეხით პირველ ჯგუფში არიან, სულ ცოტაც და მათი აღზევება ოფიციალურად გაფორმდება. დანარჩენი ჯერაც დასაზუსტებელია და მთავარი — ვინ იქნება ის ბედნიერი მეორე, არმიელთა დარად მაღალი ჯგუფის პირდაპირ საგზურს რომ მიიღებს. კანდიდატი სამია — „იბერია“, „კოლხეთი“, „ივერია“ (მეტად საეჭვოა, რომ ამათ დავაში სხვაც ჩაერთოს). ისე, მესამე-მეოთხე ადგილებზე გასულებსაც რჩებათ შანსი, მაგრამ მათ ჯერ ერთმანეთთან, შემდეგ კი პირველ ჯგუფში მე-13-მე-14 ადგილებზე დარჩენილთა შორის გამარჯვებულთან მოუწევთ შებრძოლება. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ამ სამეულის გუნდებისთვის საუკეთესო გამოსავალი ახლა ერთია — მეორე ადგილზე დამკვიდრება.

მეტოქეებს ამ ტურისთვის მხოლოდ ქულა აშორებდათ. მოიგე და გზა ხსნილი გაქვს. „იბერიას“ დარჩენილ თამაშებში წინააღმდეგობას, ალბათ, ვეღარავინ გაუწევს. „კოლხეთიც“ პრივილეგიურ მდგომარეობაში რჩება — „ივერიას“, ასკ-ს, „ცხინვალს“ შინ ხვდება, სხვებს კი როგორმე მიხედავს...



ლაცაბიძემ „სამტრედია“ — თსუ-ს შემდეგ სამტრედიაში პირველად იმსაჯა

გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

წვიმისგან დამძიმებულ მინდორზე ხისტი, უკომპრომისო თამაში გაჩაღდა. კოლხები მასპინძლებს არაფერს უთმობდნენ, მაგრამ სამტრედიელთა უპირატესობა მაინც შესამჩნევი იყო და პირველ ყოვლისა, თამაშის ორგანიზაციაში. როგორც წესი, მათ იერიშებში ერთდროულად ხუთი-ექვსი კაცი ერთვოდა, რაც სტუმართა დაცვას დიდ პრობლემებს უქმნიდა. პირველი სახიფათო მომენტი ხობელთა კართან მე-10 წუთზე შეიქმნა. ონიანი საჯარიმო ხაზის წინ ვასო გიგიაძეს ეუხეშა. ჩომახიძემ ოსტატურად შეასრულა ჯარიმა, მაგრამ ბულიამ იყოჩაღა, ძნელი ბურთი მოიგერია. მეორედ სტუმრები 26-ე წუთზე გადარჩნენ. ამაშუკელმა გრძელი ფლანგური რეიდი საჯარიმოში ჩაწოდებით დაასრულა, მცველმა გამოიტანა ბურთი, მაგრამ იგი ისევ ამაშუკელს მიუვიდა. განმეორებითი ჩაწოდება და ნიკოლეიშვილმა შეუჩერებლად და ძლიერად დაარტყა. ბურთი ხარიხას მოხვდა. ექვსი წუთიც გავიდა და მასპინძლები დაწინაურდნენ. ჩომახიძემ აუტიდან პირდაპირ საჯარიმოში ჩააგდო ბურთი, მცველმა თითქოს მოიგერია, მაგრამ რა? საჯარიმოს გარე რკალში ვასო გიგიაძე იმყოფებოდა, ბურთს მიწაზე დაშვება არ აცალა, მორგებულად დაჰკრა. ბულია გადახტა, თითებითაც წაეპოტინა ბურთს, მაგრამ შეჩერება ვერ შეძლო — დარტყმა იყო ნამეტანი ძლიერი, პრაქტიკულად აუღებელი. გაშვებულმა სტუმრები არ გატეხა, პირიქით, ისინი უფრო ცოცხლადაც ათამაშდნენ და ორ-სამჯერ საზიფათოდაც შეუტიეს, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. ამასობაში ტაიმიც გავიდა.

არავინ უწყის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, 53-ე წუთზე ხობელებს გატანის უაღრესად ხელსაყრელი შანსი რომ არ გაეშვათ ხელიდან. ზაზა აიანადიმ მარცხენა ფლანგზე ითამაშა კარგად, თითქმის კარის ხაზიდან მასპინძელთა საჯარიმოში ეულად დარჩენილ ხურცილავას ჩააწოდა მაღალი. ამან თავური კი შეაგება, მაგრამ ძალიან სუსტი და ლაბაძემაც ადვილად აუღო. კოლხები კიდევ ეცადნენ გაყაიმებას, ძალას არ იშურებდნენ, თავგამოდებით იბრძოდნენ, მაგრამ... ეს ვიდრე მეორე გოლი არ მიიღეს, რომელიც ძალიან წააგავდა პირველს. თოდუამაც 17-18 მეტრიდან არ დაახანა ბაკურაძის დაგორებულზე. მერე სტუმრები აირივნენ და მოედანზე ვნებათაღელვამაც იმატა. სამტრედიელებმაც კარგად ისარგებლეს ამით. ჯერ იყო და არბიტრმა საკუთარ საჯარიმოში განზრახ ხელით თამაშისთვის ორმაგად დასაჯა „კოლხეთი“ — ზურაბ აიანადი გააძევა და ამაშუკელს პენალტი დაარტყმევინა. ბოლოს კი მასპინძლებმა დიდი ძალით შეუტიეს. ამაშუკელმა ვასო გიგიაძეს გაუჭრა, ამან კარში დაარტყა ახლოდან, ბულიამ მოიგერია, მაგრამ მუმლაძემ უკვე ცარიელ მართკუთხედში დაამატა.

რა უნდა ვქთვათ, „იბერიამ“ კანონიერად კი მოიგო, მაგრამ „კოლხეთი“ ცოდო იყო. ასეთ გამანადგურებელ მარცხს ნამდვილად არ იმსახურებდა. თუმცა ხობელებს ამ წაგებით ყველაფერი არ დაუკარგავთ. მათ „ივერიას“ დამარცხებ ძალუძთ და, კაცმა რომ თქვას, „გურიასიც“ და „სამგურალისაც“. შემოდგომაზე არ იყო, ესენი თასზე რომ გაამწარეს...

ანგარიში სრული არ იქნება, ცოტა ამ მატჩის არბიტრზეც რომ არ ვთქვათ. მერვე ჩემპიონატის ფინიშზე „სამტრედია“ — თსუ-ს გახმაურებული შეხვედრა, ალბათ, გახსოვთ. იმერლების ჩაძირვა თამაზ ლაცაბიძეს ლამის სიცოცხლის ფასად დაუჯდა. სამტრედიელებმა იგი მაშინ პერსონა ნონგრატად გამოაცხადეს. მაგრამ დრო დიდ ტკივილსაც ანელებს. ადგილობრივმა ფანებმაც, თავიდან უნდობლად რომ უყურებდნენ მსაჯს, ბოლოსკენ ძველი წყენა საერთოდ დაივიწყეს. თამაში რომ დამთავრდა, ერთმა ისიც კი წამოიძახა: ძაღლი ვინც მოკლა, იმან გადაათრიაო. არადა, „იბერიას“ გადასათრევი არაფერი სჭირს, პირველ ჯგუფში ღირსეულად ბრუნდება...

თბილისი
„შევარდენი“
23 აპრილი

**ვიტ ჯორჯია 0:0 მაღაროელი**

**ვიტ ჯორჯია:** დავით ჯანელიძე, გ. ილურიძე, კველიშვილი, ქოხონელიძე, მ. ბურდული, დვალიშვილი, მაისურაძე, რუხაძე (დ. დოლიძე 46), გოჩაშვილი, ჭუმბურიძე, ალავიძე (ვ. ქუთათელაძე 69)
**მაღაროელი:** გველესიანი, კიპაროიძე, ოობაშვილი, ბიწაძე, მ. გაბრიჭიძე, ბარამიძე, შეყლაშვილი, ბუიშვილი, თ. სამხარაძე, კავთელაძე, მწყერაშვილი
**გაფრთხილება:** კველიშვილი, ბურდული, რუხაძე, გველესიანი, კიპაროიძე
**მსაჯი:** ს. კახიანი (თბილისი)

# დაარტყი და მოათავე!

**კობა ინასარიძე**

„მაღაროელისთვის“, როგორც ჯგუფიდან გაავარდნის ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატისთვის, თბილისში, ისანში ბურთაობა მეტად პრინციპული საქმე გახლდათ. სტუმრებს არ უნდა წაეგოთ, მთავარი მიზანი ეს იყო, დანარჩენს კი თავად მატჩი აჩვენებდა. ჭიათურელებმა ვაჟკაცურად იბრძოლეს და სასურველი ერთი ქულითაც დაუბრუნდნენ ზემო იმერეთს. თბილისურმა ქულამ მათ იმედი ჩაუსახა — ეგებ გადათამაშებასაც გამოჰკრან ხელი, რაც ნაკლებმოსალოდნელია, მაგრამ იმის გარანტია კი არსებობს, რომ „მაღაროელი“ ბოლომდე იბრძოლებს კიდევ ბევრს გაამწარებს. ვინ იქნება მათ შორის, ახლა ძნელი სათქმელია. კალენდარში, მართალია, ამათი მომავალი მეტოქეები ჩამოთვლილია, მაგრამ იმერლებთან თამაშისას ვის რა დაარტყამს თავში, არავინ უწყის. აბა, რა ახალი იქნება, თუ ვიტყვი, რომ ჭიათურელები ხელებდაკაპიწებულები არიან და არავის არაფერს დაუთმობენ, თუ პირიქით არ მოხდა. „მაღაროელს“ დასაკარგი აღარაფერი აქვს. ჰოდა, მოსალოდნელია, ჯგუფში დასარჩენად ყველა ხერხი გამოიყენონ. მათ შორის... ყველაზე კარგი ის იქნება, ვიტელებთან თამაშის დარად თუ შეებრძოლებიან სხვებსაც, თავდაუზოგავად გაირჯებიან და ღვთითნაბოძვარი მომენტებისგან ერთს მაინც გამოიყენებენ. დიახ, „შევარდენზე“ სტუმრებმა ბასტიონი ააგეს, მთელი გუნდით თავს იცავდნენ, ხოლო როცა ღმერთი მოწყალებით გადმოხედავდათ და გოჩაშვილის რეალურზე რეალური მომენტიდან ერთ-ერთს გადაურჩებოდნენ, თავადვე ეძლეოდათ კონტრშეტევის კარგი საშუალება. ვერ იყენებდნენ, რადგანაც კლასი არ ჰყოფნით. დაარტყი ზუსტად და საქმე მოთავებულია. „ვიტ ჯორჯია“ ხუთშაბათს მარცხენა ფეხზე ამდგარა, გოჩაშვილს კი საერთოდ, ალბათ, არც გახსენებია, ადამიანს მარცხენის გარდა მარჯვენაც რომ აქვს. გინდ უბედობა დაარქვით, გინდ დაბალი ოსტატობა, ჯანდაბას, ტალახიანი მინდორი მოიმიზეზეთ, გამართლება მაინც არ ექნება ფეხბურთელს, რომელმაც ოთხი ისეთი საგოლე მომენტი გააცუდა, ბოლოს თანაგუნდელთა რისხვაც რომ დაიმსახურა. ეტყობოდა, თავადაც განიცდიდა. რამდენიც დაარტყა, იმდენი გველესიანს მოარტყა. ერთხელაც, ორი მეტრიდან, ბურთი ლამის იყო ხმელნიცკის ქუჩაზე გადააგდო. ისე, უსამართლობა იქნება, გველესიანს გარჯა წყალში ჩაუყარო. იმ პოზიციასაც შერჩევა უნდა, ბურთი რომ დაგიმიზნონ. მეკარისა და თავდამსხმელის დუელი უშელავათო კი გამოდგა, მაგრამ უშედეგოც. ეს თითქმის იგივე გახლდათ, რაც შეყლაშვილ — ჯანელიძისა, ოღონდ, გაცილებით იოლ ფორმებში. აქაც მეკარემ იმარჯვა.

წვიმიან, ქარიან, სუსხიან ამინდში კარის მშრალად შენახვა, რაღა თქმა უნდა, „მაღაროელისთვის“ მიღწევაა, ვიტელთათვის კი დანაკარგი. ჭიათურელებთან მოგებით, ისინი ფაქტობრივად გაინაღდებდნენ ჯგუფში დარჩენას. ვერ გაიმარჯვეს და საქმე სამომავლოდ გადადეს. 26 ქულა სამშვიდობოს გასვლას როდი ნიშნავს, მით უმეტეს, როცა 6 ტურია წინ.



გოჩაშვილი ჭიათურელებს, კიპაროიძეს და გაბრიჭიძეს ვერ გასცდა

გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

**მეორე ჯგუფი**

XXIV ტური
სამეგრელო — მერცხალი 5:3
ცხინვალი — ასკ 0:1
ივერია — შსს აკადემია 3:1
იბერია (ს) — კოლხეთი 4:0
იბერია (ქ) — ფაზისი 1:1
იმერეთი — თორი 4:3
კოდაკო — საპოვნელა 4:0
მეშახტე — სქური 4:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ | 24 | 21 | 3 | 0 | 77:12 | 66 |
| იბერია (ს) | 24 | 17 | 4 | 3 | 57:17 | 55 |
| ივერია | 24 | 16 | 4 | 4 | 58:23 | 52 |
| კოლხეთი | 24 | 16 | 3 | 5 | 57:38 | 51 |
| ცხინვალი | 24 | 13 | 3 | 8 | 53:28 | 42 |
| აკადემია | 24 | 13 | 4 | 7 | 62:26 | 38 |
| ფაზისი | 24 | 9 | 5 | 10 | 45:42 | 32 |
| მერცხალი | 24 | 10 | 1 | 13 | 36:43 | 31 |
| თორი | 24 | 9 | 4 | 11 | 43:52 | 31 |
| სქური | 24 | 9 | 2 | 13 | 34:54 | 29 |
| მეშახტე | 24 | 9 | 2 | 13 | 39:47 | 29 |
| სამეგრელო | 24 | 7 | 5 | 12 | 35:53 | 26 |
| კოდაკო | 24 | 6 | 2 | 16 | 24:47 | 20 |
| იბერია (ქ) | 24 | 6 | 3 | 15 | 31:54 | 16 |
| იმერეთი | 24 | 5 | 1 | 18 | 30:93 | 16 |
| საპოვნელა | 24 | 2 | 2 | 20 | 24:77 | 8 |

# ისტორია ყველას და ყველაფერს იმახსოვრებს

ყიფიანი წავიდა, ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც. გუნდს კი მთავარი მწვრთნელი სჭირდებოდა და კლუბის ხელმძღვანელებმა უცხოს ისევ შინაური კაცი არჩიეს, ისეთი, „დინამოს“ სამზარეულოში არავისზე ნაკლებად რომ არ არის გარკვეული. მორიგი ცვლილება, ისიც ჩემპიონატის მიწურულს. მაგრამ „დინამოსთვის“ მსგავსი სიტუაცია უჩვეულო სულაც არ გახლავთ. მწვრთნელი გუნდიდან ადრეც წასულა. კიდევ მრავალჯერ წავა და მოვა. „დინამოს“ კი თავისი ამბიციები გააჩნია. სეზონის წინ დასახულ ამოცანას შესრულება უნდა. ჩემპიონობა და თასი — ურყევი პრინციპი. არა, ჩემპიონები უცილობლად გახდებიან, აი, თასის მოპოვებაზე კი რა მოგახსენოთ. გორელები დათმობას არ აპირებენ, თბილისელებმა დაიქადნეს, „დილას“ უმოწყალოდ დავამარცხებთო. ვნახოთ, აღდგომა და ხვალეო...

მანამდე კი „დინამოს“ ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ნოდარ აკობიამ ჟურნალისტებისთვის პირველი პრესკონფერენცია გამართა. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, აკობიას ჩვენში კარგ მეორე მწვრთნელად, ჩინებულ დამხმარედ იცნობენ, არადა, მას გუნდებში პირველ კაცადაც უმუშავია. გონების ძლიერ დაძაბვა სულაც არ არის საჭირო, რათა აკობიასეული „ანცი“ ანაც „შევარდენი“ გავიხსენოთ. იროდიჩს ყიფიანიც არაერთხელ შეუცვლია. მოკლედ, მასზე ვერავინ იტყვის, გამოუცდელიაო.

სამდურავი სიტყვები არც ჟურნალისტებს დაგვცდება. აკობიასგან განაწყენებული კაცი არ გვეგულება. მას მიღება და მოკითხვა არასდროს შეშლია. მუდამ მორიდებული და გულღია, ტაქტიანი მოსაუბრეც გამოდგა.

აკობიას „დინამოსთვის“ ძნელ პერიოდში მოუწია პირველობამ. ჩემპიონებს მუდამ უჭირდათ ფოთში თამაში. აკი წააგეს კიდეც. ახლა გორში უძნელესი მატჩი და ასევე გასვლითი შეხვედრა ელით ბოლნისში, რომელიც ქართულ ფეხბურთში აუღებელ ციხესიმაგრედ ითვლება. აუღებლად ფეხბურთის ფედერაციისთვის, თორემ ბოლნისიდან ქულა არაერთს წამოუღია.

ნოდარ აკობიასთან საუბარი „დინამოს“ აწმყოსა და მომავალს ეხებოდა. მწვრთნელს მტკიცედ სწამს, რომ გუნდში ნიჭიერი ფეხბურთელები არიან, მაგრამ სამუშაოც უამრავი აქვთ. აშვეთიაზე ვთქვათ. მიხოს ტალანტი არავისთვისაა საეჭვო, მან ძვირფასი დრო დაკარგა თვითმფრინავებსა და აქეთ-იქით წანწალში, მაგრამ გოლის, თანაც ერთიმეორეზე უკეთესის, გატანის ალღოს ვერავინ წაართმევს. ის უძლიერესია კარის წინ და იქ უნდა იტრიალოს. სწრაფიცაა და დასწრებაზე თამაშიც იცის. ბოლო მატჩებში დრიბლიორობას მიჰყო ხელი, თავის სტილს უღალატა და ეს აკობიას შეცდომად მიაჩნია. მწვრთნელსა და ფეხბურთელს უსაუბრიათ. მათი აზრები ერთმანეთს დამთხვევია.

რა ვუშველოთ მუჯირს? იროდიჩს შეუჩერებელი მუმუ ახსოვს. ახლა მთლად ჩვეულ ფორმაში ვერ არის, მაგრამ მისი ნიჭის პატრონი არ დაიკარგება.

მუმუს თავად გავესაუბრე, არ დაუმალავს, რომ წნევა აწუხებს, ღამე ცუდად სძინავს, თავიც ხშირად სტკივა და ზოგჯერ მოთელვისას დაღლასაც კი გრძნობს. ის კი მაინც თამაშობს. შიგადაშიგ ჩინებულად, მაგრამ ძნელად სათქმელია, ასე როდემდე გაგრძელდება. იქნებ ბიჭის ორგანიზმის საფუძვლიანად გამოკვლევა სჯობდეს ყველაფერს, რათა ერთხელ და სამუდამოდ მორჩეს მუმუ და ფრთებიც თავისუფლად გაშალოს. ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ მწვრთნელს მისი სჯერა.

ცქიტიშვილი და კიკნაძე ვეტერანები არიან ახლანდელი „დინამოსთვის“. გასაგებია, ამათ ეროვნულ ჩემპიონატში ბურთაობა რომ მობეზრებიათ, მაგრამ ასეთ დროს არც გუნდის მიტოვება ივარგებს. ამბობენ, ცქიტო შეცდომას მიხვდაო, ხოლო ჟორიკას მაინც იძულებითი დასვენება მოუწევს. ნახევარმცველს ფეხი დაჩირქებია, წყლული არ უამდება და ბუნებრივია, ვერც გორში ითამაშებს.

ითქვა კვარაცხელიასა და ბურდულის შესახებაც, იმედისმომცემი ბიჭები არიან, თითქოს არც გარჯა ეზარებათ, მაგრამ... საჭოჭმანო ის არის, რომ გამოცდილება აკლიათ. არაა გამორიცხული, პრინციპულ თამაშში ფეხები აუკანკალდეთ. ყიფიანს კვარაცხელიას იმედი ჰქონდა. არა მარტო დავიდიჩს — გივი თვრამეტწლამდელთა ნაკრების კაპიტანიც იყო და არაერთხელ გაძლოლია ბიჭებს. რატომღაც არავინ ამბობს, რატომ თამაშობდა იგი ასე იშვიათად. გივის ზედმეტი წონის პრობლემა გასჩენია, დაკლება უჭირს, მაგრამ თუ ფეხბურთის თამაში სურს, თავსაც უნდა სძლიოს და სხვა რამესაც. აკობიას მიაჩნია, რომ კვარაცხელიას გარკვეულწილად უთამაშებლობამაც დაასვა დაღი და აცხადებს, ოთხი-ხუთი ტურის შემდეგ მას ვერ იცნობთო.

ეპილოგად ისევ ხვალინდელი ნახევარფინალური თამაში მოგვევლინა. იროდიჩს უკვე უსაუბრია ფეხბურთელებთან. დღეის შემდეგ ბევრი წყალი ჩაივლის, „დინამოში“ არაერთი თაობა და მწვრთნელი შეიცვლება. დარჩება მხოლოდ ისტორია. დაამახსოვრებენ თავს გულშემატკივრებს. ისტორია ყველას და ყველაფერს მიუჩენს თავის ადგილს. წლების გადასახედიდან უკანმოხედვისა არავის უნდა შერცხვეს. დრო კი ულმობელია. მას ბევრი ჩაუძირავს, ბევრი წაულეკავს და ბევრიც სასახელოდ წარმოუჩენია. ვნახოთ, ვის როგორ ხვედრს არგუნებს ბედისწერა. ვნახოთ, ვინ გასწევს ჭაპანს.

**მამუკა ძვანტალიანი**



ვალერი [illegible] ფოტო

სწორება დინამოს დროშაზე: ყოფილი მწვრთნელი დავით ყიფიანი და ახლანდელი — ნოდარ აკობია




## აქედანა და გორამდე

ხვალა, გორის მაზრაში, ჩვენი ფეხბურთის ისტორიის ერთი ხმაურიანი, ცოცხალი ფურცელი დაიწერება.

ასე თქვი, ისე თქვი, „დინამო“ მოიგებს, თუ „დილა“ შეძლებს ფინალში გასვლას, ფურცელი დაიწერება. „დილა“ რომ თასის ფინალში გავიდეს, ეს ფურცელი უფრო ხმაურიანი და ფეთქებადი იქნება, უფრო ბევრი რამ დაიტევა ზედ, „დინამო“ ივარგებს და ამბავი მაინც შედგება. თუმცა, მასში ჩვეულებრივობა მეტი იქნება.

აქეთ გორის ჯვარი, იქეთ გორის ციხე, შუაში კიდევ ფეხბურთი. თანაც ისეთი, რომ ჩვენს სინამდვილეში ისტორიას ქმნის. განა ბევრი ასეთი შეყრა ყოფილა?

გორელებმა პაიჭაძეზე დასცეს „დინამო“. თასის ხიბლი და სიკეთეც ხომ სწორედ ეს არის.

რთული თამაში იქნება.

აბა რომელია იოლი ჩვენს სინამდვილეში. შეიძლება უვარგისი იყოს, ფეხბურთს არც კი ჰგავდეს, მაგრამ იოლი, არც ერთი არ არის. ახლა, იმის გამო არ ვამბობთ, გუნდი რომ გუნდს ქართველურად ასესხებს და მერე ის რომ ჩაასესხებს. ანდა, მსაჯი რომ წაიეშმაკებს ყველასთვის მისახვედრი ეშმაკობით.

ეს რომ გამოვაკლოთ (თუმცა ეს არც ისე პატარა რამ გახლავთ) რთულია და ომიც მიმდინარეობს ხოლმე. მაგრამ ხვალ სრულიად განსაკუთრებული ომია.

ამ თამაშის გამო ლაპარაკი რომ იყო ფეხბურთზე დამწერ ხალხს შორის, შავი ფეხბურთი, ანუ ფეხბურთის უკან მდგომი ფეხბურთი სრულიად გამოირიცხა, ნაღდი ბრძოლა იქნებაო, ასე მითხრეს და მეც დავიჯერე, თუმცა ხშირად კი მიჭირს ასეთი რამეების დაჯერება.

მაგრამ ხვალინდელი გორული ჯახი აუცილებლად გაქაჩავს მოტივაციით.

პირველი ის, რომ გორის გუნდი თავის ისტორიაში უდიდესი მიღწევის პირას დგას და თავს დასდებს. მეორე კიდევ ის, რომ „დინამოში“, თუმცაღა ხმაური იყო და ერთგვარი არეულობაც, მაგრამ თასის ფინალში თამაში ისეთივე წესია ამ გუნდისთვის, როგორც ჩემპიონობა. თანაც, აბა როგორ წარმოიდგენს უცვლელი ჩემპიონი თასის გათამაშების ნახევარფინალში დატოვებას?

„დინამო“ — „დილას“ თბილისურ თამაშში მსაჯობა კარგი იყო. გორშიც იგივე რეფერი იმსაჯებს. ესეც კიდევ ერთი მიზეზია, თამაში რომ კარგი და ვარგისი გამოვიდეს.

და რაც მთავარია, მთელი ქართლის გული იქ არ მოიყრის თავს?

ბოლო დროს, როგორც ვატყობ, მაყურებელი ფაქტორი ხდება. ეგებ ბევრიც ემდუროდეს ქუთაისელ ფანობას, პირის ამყრალების გამო, მაგრამ ფანობას ორი მხარე აქვს. ტრიბუნაზე მჯდომი მაყურებელი იმისთვისაა მაყურებელი, რომ ფეხბურთელს აკონტროლებს. ფანის საქმე ისეა, რომ მისთვის ობიექტურობა და ეგეთი რამეები უცხოა. მაგრამ მოქალაქე მაყურებელს ორი რამ ევალება — თავისი გუნდის მხარდაჭერა და თამაშის სამართლიანად აღქმა.

ახლა არ ვიცი თბილისიდან ვინ დაიძრება და რა ოდენობითა, მაგრამ გორელები რომ იქ იქნებიან, ნაღდია.

ეს სეზონის უპირველესი თამაშია და ეს თამაში, ჯერაც არშემდგარი, გორის „დილამ“ გვაჩუქა თავისი თბილისური გამარჯვებით.

სეზონი ისე ილეოდა, რომ ერთი დაშხოშიანი გაფრენა არ ყოფილა. დამთავრდებოდა და მოსაგონებლად ის დაგვრჩებოდა, ქუთაისელებმა რომ იღრიალეს მცხეთის სტადიონზე. მთელი სეზონიდან ეს ამბავი უნდა გაგვხსენებოდა და ისიც მინდვრისა კი არა, მის გარშემო მყოფი ხალხისა.

ახლა კი, ხვალინდელი თამაში გვაქვს.

გორიდან მომავალი ცნობებით, ქართლის გულის ქომაგობა ფეხზე დგას. ზუსტად ასე მითხრეს, თბილისში რომ „ლივერპულის“ მოლოდინი იყო, აი, ეგეთი ამბავიაო.

გვაქვს ეს თამაში და შევირგოთ.

განა ხშირად გამოვა ხოლმე? განა მდიდრები ვართ?

ერთი კი არის, რომა სეზონის ყველაზე დაძაბულ, ყველაზე ხმაურიან თამაშში „ფეარ ფლეის“ სული უნდა ტრიალებდეს. „დინამოსაც“ ბევრი აქვს საომარი და გორელებსაც, ორივე ბევრს კარგავს ფინალის გარეშე და „ფეარ ფლეის“ სული აქ თუ არ აღზევდა, ვერც ვერაფერს დავივიწყებთ და ვერც ვერაფერს ვისწავლით.

და მოკლედ, ხვალა,

გორის მაზრაში!

მთელი ქართველობა იქ იყრის თავსა, როგორც ძველ დროში.

# პატარა გორი დიდია

როგორც მოგეხსენებათ, გორი ერთადერთი ქალაქია მსოფლიოში, რომელიც ერთდროულად შეიძლება იყოს როგორც პატარა, ასევე დიდი. ეს საქვეყნოდ ცნობილი აქსიომა (როგორც ჩანს) თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობამ უბრალოდ ვერ გაითვალისწინა და საკუთარ მოედანზე, საქართველოს თასის ნახევარფინალში, გორის „დილასთან“ დამარცხდა. პატარა გორი რო თან დიდია, ამის მოსმენა ქართველ კაცს ნებისმიერ იმ დუქანსა თუ რესტორანში შეუძლია, სადაც თბილისელი ფანოლები (აგერ, მერამდენე ათეული წელია) ჯიუტად არ ცვლიან რეპერტუარს. მაგრამ გასაგები მიზეზების (პირველ რიგში, მოუცლელობის) გამო თბილისის „დინამოს“ მწვრთნელებს თავისუფალი დრო არ რჩებათ და შედეგიც სახეზეა — გორის „დილა“ ამ მატჩისთვის უფრო მობილიზებული აღმოჩნდა და გაიმარჯვა კიდეც. თუმცა ამ თამაშის შედეგი ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ყველაგზის ჩემპიონს სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა სხვა ქართულ კლუბებს შორის. სამწუხაროდ (ჯერჯერობით), ვერც გორის „დილა“ და ვერც რომელიმე ჩვენებური გუნდი თბილისის „დინამოზე“ ძლიერი ნამდვილად არ არის, მაგრამ ჩვენი, ეროვნული ჩემპიონატისთვის (მისი პრესტიჟულობისთვის თუნდაც) არათუ სასურველი, აუცილებელიც კია რამდენიმე მართლა სერიოზული საფეხბურთო კლუბის არსებობა. ჩემთვის, დაბადებიდან თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრისთვის, ცოტა უცნაური წარმოსათქმელია, მაგრამ საქართველოს ჩემპიონის ტიტულმა დედაქალაქიდან პროვინციისკენ (თუნდაც დროებით) რომ გადაინაცვლოს, იქნებ ქართული ფეხბურთისთვის უკეთესიც იყოს. თუმცა დღეისთვის თბილისელებს ვერავინ ეცილება ჩემპიონობას და ჯერჯერობით, მხოლოდ თასის მფლობელის რეალური, ახალი კანდიდატი გამოჩნდა. გორის „დილამ“ ერთი დიდი ნაბიჯი წლევანდელი ქართული თასისკენ უკვე გადადგა და გორელებისთვის თბილისში, პირველ მატჩში გამარჯვება ისეთ დღესასწაულად იქცა, რომ ჩემმა გორელმა მეგობარმა, ჩხაკუნა, იგივე გია ქერდიყოშვილმა, სიხარულისგან ამსუბუქებულმა მატჩის შემდეგ თბილისიდან გორის მიმართულებით შეუჩერებლად ირბინა და ძალაგამოცლილი და ულონო მხოლოდ გორის მისადგომებთან დაეცა. ჩხაკუნამ, იგივე გია ქერდიყოშვილმა, აპკურეს რა თანაქალაქელებმა მას ატენური, ქართლის მინდვრებს ამაყად მოავლო თვალი და ზუსტად ორი სიტყვა თქვა: „ჩვენ გავიმარჯვეთ!...“

გორელების გამარჯვებაზე მეტად მე გორელთა გულშემატკივრობამ გამაკვირვა და ვინც ამ მატჩის ტელერეპორტაჟი ნახა, დამეთანხმება, როგორი მონდომებით, ხალისითა და ენერგიით ქომაგობდნენ გორელები თავიანთ გუნდს. თბილისში, „დინამოს“ სტადიონზე ძირითადად გორელები ესწრებოდნენ თამაშს და მთელი მატჩის მანძილზე ომახიანი ყიჟინა არც შეუწყვეტიათ. ჩვენ ამ თამაშს ტელევიზიით ვუყურეთ და სწორედ ეგ მიკვირს, სწორედ ეგ მინდა გავიგო, როდის და რატომ ვიქეცით ერთმანეთისთვის უცხოებათ — თბილისის „დინამო“ და ჩვენ — თბილისის „დინამოს“ ყველაზე ერთგული გულშემატკივრები. რატომ გვეზარება ჩვენ, ფეხბურთითა და თბილისის „დინამოთი“ დაავადებულებს ჩვენი სათაყვანებელი გუნდის მატჩებზე დასწრებაც კი. არადა, ჩვენ ნამდვილი ავადმყოფები ვიყავით, ავადმყოფები ფეხბურთისა — ერთადერთი ხალხი მსოფლიოში, ტელევიზორებით ხელში, პანტიანის გორაკებზე, თურქულ არხებს რომ ვეძებდით, რათა საკუთარი თვალით გვეხილა „რეალი“ თუ „ბარსა“, „არსენალი“ თუ „იუვე“...

ჩვენ დავდიოდით პანტიანში, დავდიოდით ზოგჯერ ღამისთევით, ლვინით, ტელევიზორებით. გვეზარებოდა ყვირილი, მაგრამ დავდიოდით ჩვენი „დინამოს“ თამაშებზე და იყო სეზონი, როცა არც ერთი მატჩი არ გაგვიცდენია. შეიძლება არც გვეზარებოდა ყვირილი და უბრალოდ ვთვლიდით, რომ აუცილებელი მხოლოდ დასწრება იყო. შეუტევდნენ, ვყვიროდით, არ შეუტევდნენ - ვდუმდით. მაგრამ ტრიბუნებს პატიოსნად ვავსებდით. პატიოსნად ვნახულობდით სიზმრებს (ჩვენი კერპების მონაწილეობით) მნიშვნელოვანი შეხვედრების წინ და ჩვენი საყვარელი გუნდის თუნდაც უმნიშვნელო მარცხს ისევე განვიცდიდით, როგორც ჩვენი მშობლების თაობა სტალინის სიკვდილს. ჩვენ ვკერავდით დროშებს, ვსწავლობდით შეძახილებს (ჰიმნი არ გვქონდა), ვიპარავდით საყვირებს პიონერთა ოთახიდან და ვხატავდით ბილეთებს. ვძვრებოდით ღობეებზე, ვხტებოდით ხეებიდან და ვეხვეწებოდით კონტროლიორებს, უფულოდ შევეშვით სტადიონზე — იქ, სადაც სასწაული ხდებოდა. ამ სასწაულს ფეხბურთი ერქვა, ხოლო სასწაულის ავტორი ჩვენთვის ერთადერთი და განუმეორებელი თბილისის „დინამო“ იყო. მაშინ არ არსებობდა საქართველო და შესაბამისად, არც საქართველოს ნაკრები. ფეხბურთი, ალბათ, ერთადერთი ასპარეზი იყო ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობისა და ამბიციების დასაკმაყოფილებლად და ჩემთვის, თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკს“ შორის ნებისმიერი მატჩი საქართველოსა და რუსეთს შორის ომის ტოლფასი იყო და რა დამავიწყებს კოკისპირულ წვიმაში, 1980 წლის ზაფხულს, „სპარტაკის“ კარში დავით ყიფიანის მიერ გატანილ ზღაპრულ გოლს. ის თამაში წავაგეთ 2:4, მაგრამ ყიფიანის გოლი გულის მოფხანაზე მეტი იყო ჩვენთვის, რადგან მათთან ბრძოლის ასპარეზი მართლაც არ არსებობდა. ამიტომაც ჩვენთვის თბილისის „დინამო“ (ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე) იყო სამშობლო, ჩვენს მიერვე შექმნილი, მოგონილი და, რაც მთავარია, ილუზიური, მაგრამ ჩვენ მაშინ სხვა სამშობლო, უბრალოდ არ გაგვაჩნდა...

ახლა კი, როცა ჩვენ, თბილისის „დინამოს“ ერთგულ გულშემატკივრებს თბილისის „დინამოსადმი“ გულგრილობას გვსაყვედურობენ, „დინამოს“ ხელმძღვანელებს ავიწყდებათ, რომ დასავლეთში, ნებისმიერი სერიოზული საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელიცა და მოთამაშეც, კლუბის ერთგულ გულშემატკივრებს სახელითა და გვარით პირადად იცნობს. დასავლეთი კი იმიტომ ვახსენეთ, რომ ჩვენი „დინამოს“ ხელმძღვანელობა კარგა ხანია და რამდენჯერმე უკვე დაგვპირდა, რომ ჩვენი საყვარელი გუნდისგან სწორედ დასავლური ტიპის სუპერ-კლუბს შექმნიდა. სუპერ-კლუბი კი, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, საკუთარ გულშემატკივარზეც უნდა ფიქრობდეს და როცა გუნდს აღარ აინტერესებს ტრიბუნა, გაუცხოებაც ჩნდება.

არსებობს ამ გაუცხოების მარტივი, გასაგები და ობიექტური მიზეზები, მაგრამ „დინამოსა“ და მისი გულშემატკივრის ურთიერთდაგორებას სუბიექტური მოტივი და ახსნა გააჩნია და როცა კლუბს არ აინტერესებს საკუთარი გულშემატკივრის აზრი გუნდის პრობლემებზე, უკვე გაჩენილი ბზარი უფრო და უფრო ღრმავდება.

ჩვენგან უსინდისობა და ჩვენი მხრივ, ალბათ, სიდებილეც იქნება „დინამოს“ ხელმძღვანელს ან რომელიმე ფეხბურთელს ის მოვთხოვოთ, რომ პირადად იცნობდეს „დინამოს“ გულშემატკივართა მრავალათასიანი ლაშქრის თითოეულ წევრს, მაგრამ თვეში თუნდაც ერთხელ მათთან შეხვედრა და მათი აზრის მოსმენა (ინტერესების გათვალისწინებას არ ვგულისხმობ) ურთიერთობის საწინდარიც იქნება და ვინ იცის, ორივე მხარეს სამომავლოდ უთუოდ წაადგეს.

რა დაერქმევა ასეთ შეხვედრა-დიალოგს, „გულშემატკივრის დღე“ თუ „გულშემატკივრის საღამო“, მნიშვნელობა არა აქვს, მნიშვნელოვანი იქნება აღიარება იმისა (ჩვენი საერთო ქართული ხასიათის სისუსტიდან გამომდინარე), რომ ჩვენს, ტრიბუნაზე ჩახლეჩილ ხმას პატივს სცემენ და უფრო მეტიც — აფასებენ.

ქართული ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდას და ამჟამად თბილისის „დინამოს“ გადამდგარ მთავარ მწვრთნელს ბატონ დავით ყიფიანს ორი წლის წინ ვუთხარი და ახლაც შემიძლია სიტყვასიტყვით გავიმეორო ჩემი თხოვნა, რადგან თბილისის ქუჩებში უსახლკარო ბავშვთა რაოდენობა სამწუხაროდ არ შემცირებულა. უსახლკარო ქართველ ბავშვთა საკმაოდ დიდ ნაწილთან საკმაოდ ხშირი და კარგი ურთიერთობა მაქვს და თუ „დინამო“ გადაწყვეტს „ფან-კლუბის“ შექმნას მათი დახმარებითა და საშუალებით, დამიჯერეთ, რომ მსოფლიოში არ იქნება საფეხბურთო გუნდი, რომელსაც (ამ ბავშვების სახით) უფრო ერთგული, დაუღლელი და ფანატიკოსი გულშემატკივარი ეყოლება.

ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ ერთგულები, მიუხედავად იმისა, რომ ახლა საკუთარი ჩემპიონატი გვაქვს და მოსკოვის „სპარტაკის“ ნაცვლად ჩვენი „დინამო“ ქართულ კლუბებს ხვდება.

ჩვენც შეგვიძლია ვიყოთ ერთგულები, მიუხედავად იმისა, რომ ხვალ გორის „დილას“ ვხვდებით საქართველოს თასის ნახევარფინალში და თანაც პატარა გორი საკმაოდ დიდია.

ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ ერთგულები ჩვენი საყვარელი გუნდისა, მიუხედავად იმისა, რომ ვერაფრით დავადგინეთ, თბილისელ გულშემატკივართათვის გამოყოფილი ავტობუსი გორის მიმართულებით საიდან გავა...

**დათო ტურაშვილი**



# ჯუმბერ ხაჭალია: ტორპედოს ცხვირის შეწირვა

**60–იანი წლები. ქართულ ფეხბურთში ბევრი ვარსკვლავი კაშკაშებს. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: მესხი, მეტრეველი, ჩოხელი, იამანიძე, კალოევი, ბარქაია, სიჭინავები, დათუნაშვილი, ხურცილავა, ძოძუაშვილი, ასათიანი... ამათ ყველა ეთაყვანება. ჩვენ, ქუთაისელი ბიჭებიც. ეგრეა, მაგრამ ჩვენ, ქუთაისელ ბიჭებს, საკუთარი კერპიც გვყავს „ტორპედოს“ მეათე ნომერი ჯუმბერ ხაჭალია.**

**იგი 1938 წლის 19 აგვისტოს სამტრედიაში დაიბადა. ქუთაისის „ტორპედო-ში“ ცხრა სეზონი ითამაშა, მათ შორის შვიდი (1962–1968 წ.წ.) საკავშირო პირველობის „ა“ კლასში (იგივე უმაღლესი ლიგა), სადაც 188 მატჩში ქუთაისელთა-გან ყველაზე მეტი 48 ბურთი გაიტანა. დანარჩენზე ჯუბა თავად გიამბობთ.**

**— ფეხბურთს, როგორც ყველა, ალბათ ბავშვობიდან თამაშობდით...**

— ახლა რასაც გეტყვით, ძნელი დასაჯერებელი კია, მაგრამ სრული ჭეშმარიტებაა. ბავშვობაზე ამბობთ. ძალიან მოუსვენარი ვიყავი. სამტრედიის პირველ საშუალო სკოლას კარგი სპორტული კომპლექსი ჰქონდა. იქ ვათენებდი და ვაღამებდი. ვთამაშობდი ფრენბურთს, კალათბურთს, მაგიდის ჩოგბურთს, სირბილი, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაც მიყვარდა. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც კალათბურთი მიტაცებდა. სამტრედიის და თქვენ წარმოიდგინეთ, საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებშიც ვირიცხებოდი. მაგრამ, აგერ 18 წლისა შევიქენი და, შევატყვე, სიმაღლეში აღარ ვიმატებდი, უფრო და უფრო მიჭირდა თამაში. კალათისკენ ნასროლს იოლად მიფარებდნენ, მაღალი ბურთისთვის ბრძოლას უმეტეს შემთხვევაში ხომ ვაგებდი და ეს იყო. კალათბურთს თავი დავანებე.

როგორ უნდა გავამხილო, მაგრამ ფეხბურთი მაინცდამაინც არ მაინტერესებდა. ჩემი ბედი ერთმა შემთხვევამ გადაწყვიტა. კარგად მახსოვს, რკინიგზელის დღე იყო. დილით სახლიდან გამოვედი, გავიარ-გამოვიარე. სადგურთან ნაცნობ ბიჭებს მოვკარი თვალი. სამტრედიის „ლოკომოტივის“ ახალგაზრდული გუნდის წევრები იყვნენ. შორაპანში მიდიოდნენ ამხანაგური მატჩის სათამაშოდ. ამ გუნდის მწვრთნელი ჩვენი სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი გივი ჩიქობავა გახლდათ. და ვთხოვე, მეც გამოგყვებით-თქო. საქმე თუ არაფერი გაქვს, წამოდიო — მიპასუხა. ჩავედით შორაპანში. ყვირილისპირა კოხტა მინდორი. აქ ნამდვილი ზეიმია: უამრავი ხალხი, დოლ-მუსიკა. მალე თამაშიც გაჩაღდა. მასპინძლებმა ჯერ ერთი გაგვიტანეს, მერე მეორე. გავიდოდა თუ არა გოლი „დუხავოი“ ტუშს დასცხებდა. იყო ერთი ამბავი. ვუყურე, ვუყურე და ვერ მოვითმინე. მასწავლებელს ვთხოვე: სიმონიჩ, ამგენზე ნაკლებად არ ვითამაშებ. მოედანზე შემიშვი-მეთქი. კაი, შედიო — ვიღაცას ფორმა გამოვართვი. „კეტები“ მაგრად მიჭერდა, გეტრები უკუღმა ჩამიცვამს. მოედანზე შესვლა და ბურთიც არ მომიგორდა! მასპინძელთა კარისკენ გავქანდი, ოთხი თუ ხუთი კაცი მოვატყუე და შევაგდე. ასე მეორედ, მესამედ, მეოთხედ. ჰო, 4:3 მოვიგეთ. თამაშის შემდეგ მასპინძლებმა პურმარილი გაშალეს. „მუზიკანტებიც“ მოიწვიეს. ერთ-ერთმა მათგანმა იყო რომ გაიხუმრა: — ის ბიჭი მაჩვენეთ, ყბები რომ დაგვისია, უნდა გავლახოო.

— ხვალიდან ვარჯიშს დაიწყებ, იცოდე არ გამიცდინო — გამაფრთხილა ჩიქობავამ. ნამდვილად ასეა, მაშინ 18 წლის ვიყავი.

**— მერე, მერე...**

— 1956 წლის შემოდგომა იყო. სამტრედიას საქართველოს პირველობის მესამე ჯგუფშიც ჰყავდა გუნდი და იქ ვთამაშობდი. გასვლითი შეხვედრა გვქონდა ჩოხატაურში. 5:1 მოვიგეთ და ხუთივე მე გავიტანე. ამ თამაშს რესპუბლიკური ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის, ფშმ-ს რომ ეძახდნენ, უფროსი მწვრთნელი გოგი ანთაძე სჯიდა. დამთავრებისთანავე იგი ჩემთან მოვიდა, ყველაფერი გულდასმით გამომკითხა და ფშმ-ში გადასვლა შემომთავაზა. ასე აღმოვჩნდი თბილისში. ცოტა ხანში სკოლის პირველმა გუნდმა ხარკოვში საკავშირო პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა. მე თავდასხმის ცენტრში ვთამაშობდი. ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ბევრი კი გავიტანე. იმ გუნდში ჩემთან ერთად თამაშობდნენ ნოდარ ახალკაცი, გივი მუმლაძე, მერაბ იაშვილი, ოთარ რუხაძე, ანზორ სალუქვაძე... წელიწადნახევარი ვიყავით ერთად: კარგი გუნდი იყო, მაგრამ ასაკის გამო დაშლა მოგვიხდა. ზოგი სად წავიდა სათამაშოდ და ზოგი სად. ჩემით ყველაზე მეტად თბილისის „ლოკომოტივის“ თავკაცი ლუკა რამიშვილი იყო დაინტერესებული. მთხოვდა, აქ დარჩიო, მაგრამ გულმა სახლისკენ გამიწია. ერთი სეზონი სამტრედიაში ვითამაშე. მერე ქუთაისელ მწვრთნელებს უშანგი სალდაძეს, სტეფანე ერქომაიშვილს და გივი ფირცხალავას ხათრი ვეღარ გავუტეხე. „ტორპედო“ „ბ“ კლასში თამაშობდა და მეც ეს ვარიანტი ვამჯობინე. სახლთან მაინც ახლოს ვიქნები-მეთქი.

**— „ტორპედოში“ მისვლა კარგად გახსოვთ?**

— რა დამავიწყებს. 1960 წლის იანვარი იყო. ციოდა. უცნობ ქალაქში ჩავედი. დაბარებული ჰქონდათ, ტყეში (მუხნარის ტყეში, „ტორპედოს“ საწვრთნელ ბაზაზე — ავტ.) ამოდიო. აბა, მე ტყე რა ვიცოდი? ძებნაძებნაში საბილიარდეს არ მივადექი! მართლა მაგრად ვთამაშობდი ბილიარდს და გულმა არ მომითმინა, შევედი. ჩემთვის კუთხეში ჩამოვჯექი. არავინ მიცნობდა. მერე ერთი მოვიდა და „მაზიანი“ შემომთავაზა. სხვებმაც გამომხედეს–და, არიქა, არიფი ჩავიგდეთ ხელშიო, ჩემთან სათამაშოდ რიგი დადგა. დიდი ფული მოვიგე. ტყავის ქურთუკი მეცვა. ჯიბეებში აღარ ჩამეტია და უბეც გავიტენე. საბილიარდოდან გამოსვლა, ცოტა არ იყოს, შემეშინდა. სხვა გზა არ მქონდა, გამოვტყდი ვინც ვიყავი. ეგენიც მაგარი „ბალელშჩიკები“ გამოდგნენ. მანქანა დამიქირავეს და თავად გამაცილეს ბაზამდე. ერთ-ერთი ამ კომპანიიდან ჩვენი ცნობილი მსაჯი ზურაბ თოდაძე გახლდათ. ქუთაისში ორი კვირა ვივარჯიშე. მერე უშანგი სალდაძემ ოჩამჩირეში ჩაგვიყვანა შეკრებაზე. თანაგუნდელებს მალე გავუშინაურდი. გაზაფხულზე „ტორპედოს“ შემადგენლობაში პირველი ოფიციალური მატჩიც ვითამაშე ლენინაბადის „პამირის“ წინააღმდეგ. სალდაძემ მეორე ტაიმი მომცა. გოლიც გავიტანე. გომელაურმა კუთხური ჩამოაწოდა და მე თაური დავახვედრე. იმ წელს „ტორპედომ“ პირველი ადგილი დაიკავა მოკავშირე რესპუბლიკების მესამე ზონაში. ეს წარმატება მომდევნო წელსაც გავიმეორეთ.

**— და უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვეთ. ასე არ იყო?**

— კიშინიოვში „ბ“ კლასის ზონებში გამარჯვებული სამი გუნდი შეიკრიბა — ტალინის „კალევი“, თბილისის „ლოკომოტივი“ და ქუთაისის „ტორპედო“. მართალია, პირველ მატჩში ესტონელებთან დავმარცხდით, მაგრამ დანარჩენი სამი (ტურნირი წრიული სისტემით ჩატარდა — ავტ.) მოვიგეთ. ტორპედოელთა შვიდი ბურთიდან ოთხი მე გავიტანე და ახლაც ვამაყობ ამით. „ტორპედომ“ ხომ „ა“ კლასის საგზური მოიპოვა, რაც საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა იყო. ისეთი პატარა ქალაქი, როგორიც ქუთაისია, „ა“ კლასში მანამდე არასდროს ყოფილა წარმოდგენილი. რა ამბავი იყო მაშინ! დიდი და პატარა ზეიმობდა, ყველას უხაროდა. კიშინიოვიდან ჩამოსულებს როგორც გმირებს ისე დაგვხვდნენ. ეჰ, ნეტა იმ დროს...

**— თუ ნებას დამრთავთ, მაშინდელი ყოველკვირეული „ფუტბოლიდან“ ერთ ციტატას მოვიტან. აი, რას წერდა თქვენს შესახებ რუსი ჟურნალისტი: „ხაჭალია ფორვარდთაგან ყველაზე სახიფათო იყო. კარზე დაგეშილობა, მისკენ უმოკლესი გზების მოძიება, გოლის დაუოკებელი წყურვილი და ამას დამატებული დახვეწილი ტექნიკა — აი, ხაჭალიას თამაშის დამახასიათებელი თვისებები“. რას იტყვით? რუსები ქართველების მიმართ ასეთ ეპითეტებს იშვიათად იმეტებენ...**

— რა უნდა ვთქვა, თავად განსაჯეთ. ერთს კი განვმარტავ. მარტო კაცი, ვინც არ უნდა იყოს, მოედანზე ვერაფერს გახდება. „ბ“ კლასში აბრეკ მინჯიას, გურამ გომელაურის, გარი სორდიას, გურამ ნიშნიანიძის, ამირან ზარდანიას, გივი ლეჟავას, გურამ ცხოვრებოვის, რამაზ ურუშაძის, იუზა ლოსაბერიძის და სხვათა გვერდით თამაში მიიოლდებოდა.

**— „ტორპედოს“ მაშინდელ მწვრთნელზე უშანგი სალდაძეზე რას იტყვით?**

— უფეხბურთოდ ცხოვრება არ შეეძლო. მწვრთნელს რომ მოთამაშის ფორმა გაერეცხოს, გსმენიათ? ცხონებული ამას არ თაკილობდა. შვილებივით გვვლიდა. ამასთან ძალიან მომთხოვნიც იყო. მკაცრი დისციპლინა ჰქონდა. ფიზიკურ მომზადებას აქცევდა დიდ ყურადღებას. შუა აზიაში, სამარყანდში, ფერღანაში, აშხაბადში 50-გრადუსიან სიცხეში გვითამაშია და გამძლეობაში მასპინძელისთვის გვიჯობნია... ჩემი აზრით, ამ კაცს ბევრჯერ უსამართლოდ მოექცნენ.

**— ქუთაისში ხშირად ჩიოდნენ და ახლაც ჩივიან: „დინამო“ ფეხბურთელებს გვართმევსო...**

— მოცვეთილ ფრაზას გავიმეორებ — თბილისის „დინამო“ ქართული ფეხბურთის ფლაგმანია. ამ გუნდში თამაში ყოველთვის საპატიო იყო და იქნება. ამაზე ორი აზრი არ უნდა არსებობდეს. „დინამო“ გვართმევსო? მე ჩემს დროინდელებზე გეტყვით. ვინც „დინამოში“ გადავიდა, ყველა საკუთარი სურვილით.

**— მაშინ თქვენ რომ შეგიშალათ ხელი, „დინამო“ ხომ გეპატიჟებოდათ?**

— „დინამოც“ და სხვებიც — ცსკა, ერევნის „არარატი“, ბაქოს „ნეფთჩი“. მინსკის „დინამოს“ ადმინისტრატორი ორი დღე მიჯდა სახლში, უშენოდ უკან არ გავბრუნდებიო. არსად წამსვლელი არ ვიყავი. ქუთაისს შევეჩვიე, „ტორპედო“ სხვაზე ვეღარ გავცვალე, მე ჩემი პრინციპი მქონდა. თბილისის „დინამოზე“ გეტყვით. ანდრო ჟორდანიამ მე და იუზა ლოსაბერიძე გამოგვიძახა. ჩაუსვლელობა არ იქნებოდა. ვეახლეთ. პასუხი ორივეს მზად გვქონდა: „დინამო“ უჩვენოდაც გაძლებს, „ტორპედოში“ დარჩენა გვირჩევნია. ჩვენი აღარც გადავთქვით... მაშინდელმა „დინამოს“ გუნდის უფროსმა ნესტორ ჩხატარაშვილმა კი ხელი ჩამავლო. ჯერ რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს სერგო სიხარულიძეს წააკითხა ნოტაცია, მერე უფრო „ზემოთ“ წამიყვანა — ცკ-ში ტაბატაძესთან, ეს კაცი სპორტს განაგებდა. არ გაჭრა. მერე ვიქტორია სირაძესაც მაახლეს იქნება ქალმა დაიყაბულოსო. არ გაუვიდათ. — „დინამოში“ თუ არ გინდა, ვერც „ტორპედოში“ ითამაშებო — ასეთი იყო თავდაპირველი განაჩენი. ქუთაისში დავბრუნდი. ორ დღეში ლოსაბერიძეც მომყვა.

ვინ რა იცის, რაც ამის გამო გადამხდა. ლამის ოჯახი დამენგრა. მეუღლე მიჯიჟინებდა, მთელი ნათესაობა თბილისში გვყავს, რა გემართება, წავიდეთო. ჭავჭავაძის 56-ში ოროთახიანი ბინაც გვქონდა გამოყოფილი.

**— ბოროტი ენები ამბობენ, ხაჭალია „დინამოში“ იმიტომ არ წავიდა, იცოდა, ძირითადში ვერ მოხვდებოდაო?**

— ვისაც რა უნდა, ის თქვას. ანდრო ჟორდანია ტყუილუბრალოდ არავის დაუძახებდა. შიში კი არასდროს მქონია. თავდასხმის ცენტრში „დინამოს“ მაშინ კალოევი და ბარქაია ჰყავდა. თბილისში რომ დავრჩენილიყავი, შესაძლოა, ბევრს მივაღწევდი. მაგრამ რა მექნა, „ტორპედო“ იყო ჩემი ბედი.

**— „ტორპედოს“ პირველი მატჩი „ა“ კლასში მოსკოველ თანაკლუბელებთან ჰქონდა. გახსოვთ ის შეხვედრა?**

— მეკითხებით?! 1962 წლის 2 მაისი. ახლაც თვალწინ მიდგას ხალხით გადაჭედილი ჩვენი სტადიონი. დიდი აჟიოტაჟი იყო. 4:2 მოვიგეთ. იმ სეზონში 22 გუნდს შორის მე-15 ადგილზე გავედით. ურიგო შედეგი არ იყო.

**— პირველად ვის გაუტანეთ?**

— მერვე ტურში ხარკოვის „ავანგარდს“. გივი მუმლაძემ ჩამიწოდა, სტუმართა ცენტრალურ მცველს შემდგომში ცნობილ მწვრთნელს ვიქტორ მარიენკოს დავუსხლტდი და მეკარეს ბურთი თავზე გადავუგდე.

**— 48 გოლიდან ნახევარზე მეტი მოსკოვის და ლენინგრადის გუნდებს შეუგდეთ: „ტორპედოს“ — 8, ცსკა-ს და „სპარტაკს“ — 5-5 და ა.შ. ეს რას მივაწეროთ?**

— მოსკოვის გუნდებთან თამაში მიხაროდა. მაღალი კლასისანი იყვნენ და ვიცოდი, იმას არ იკადრებდნენ, რასაც, ვთქვათ კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“, დონეცკის „შახტიორი“, ალმა-ათის „კაირატი“. ესენი არაფერს ერიდებოდნენ, ფეხებს დაგილეწავდნენ. თუმცა მე არც მათთვის დამიკლია ხელი.

**— ცნობილ მეკარეებს ანზორ კავაზაშვილს, ვიქტორ ბანიკოვს და სხვებსაც საჯაროდ განუცხადებიათ: ყველაზე მეტად ხაჭალიასი გვეშინიაო.**

— ისინი მე არ დამირიგებია. ალბათ, გადააჭარბეს. ამასთან დაკავშირებით გამახსენდა. ფეხი მტკიოდა და მოსკოვის „ტორპედოსთან“ სათამაშოდ ვერ გავდიოდი. მატჩის წინ კავაზაშვილმა სამოქალაქოში რომ დამინახა, ხელები გაასავსავა: ბიჭო, მოროზოვი (მოსკოველთა მთავარი მწვრთნელი — ავტ.) „უსტანოვკაზე“ მარტო იმაზე გველაპარაკა, ხაჭალია როგორ უნდა დავიჭიროთო...

**— ამტკიცებენ, ხაჭალიასდარი იმპროვიზატორი „ტორპედოს“ არ ჰყოლიაო...**

— ფეხბურთელს მოედანზე გასვლამდე ჰყავს მწვრთნელი. მერე ყველაფერი თავად უნდა განსაზღვროს, რობოტივით არ უნდა იქცეოდეს აზროვნებაა საჭირო, არასტანდარტული სვლები. არ მიყვარს მორბენალი ფეხბურთელები. ჩემს დროს ტექნიკური მომზადება უფრო ფასობდა. პუბლიკაზე კი არასდროს მითამაშია. იმას ვაკეთებდი, რასაც სიტუაცია მკარნახობდა. მთავარი იყო, პარტნიორებს გაეგოთ.

**— ვისთან იყავით შეთამაშებული?**

— ვალერიან ჩხარტიშვილთან, ჯემალ ხერხაძესთან, არჩილ ერქომაიშვილთან, სერგო კუტივაძესთან.

**— მაინც, რა იყო თქვენი კოზირი?**

— ალბათ, ტექნიკა და მაღალი სასტარტო სიჩქარე.

**— მეტოქის საჯარიმოში თქვენი გამოჩენა ხშირად პენალტს მოასწავებდა...**

— საჯარიმოში სწრაფად შეჭრა ჩვევად მქონდა, დაცვას ისე ვერ დააბნევ. ოდნავი შეხება და თავს ვეღარ ვიკავებდი. ბევრს ეჩვენებოდა, განგებ ვეცემოდი ძირს. თუ დამიჯერებთ, ასე არ ყოფილა. ისე, 11-მეტრიანი ჩემს გამო ბევრჯერ დანიშნულა.

**— ახლა ისიც არ თქვათ, ხრიკები არ მეხერხებოდაო...**

— რატომაც არა. აბა, ჩემზე ერთი თავით მაღალ ალბერტ შესტერნიოვთან (წლების განმავლობაში სსრ კავშირის ნაკრების კაპიტანი — ავტ.) საჰაერო ბრძოლა როგორ უნდა მომეგო?! მარტივად ვწყვეტდი ამ საკითხს. ასახტომად რომ მოემზადებოდა, ფეხზე ფეხს დავაჭერდი, დავაყოვნებდი. მერე კი ნახტომს დავასწრებდი. ქუთაისში ცსკა-ს ერთი ასე გავუტანე. მსაჯმა ვერ დაინახა, შესტერნიოვს კი არაფერი გაუვიდა. ასეთი სხვაც ბლომად ყოფილა.

**— 60-იანი წლების „ტორპედო“ კარგი გუნდი იყო, თუმცა სულ გასავარდნად ჰქონდა საქმე...**

— უკვე გითხარით, მაშინ ქუთაისზე ათჯერ დიდ ქალაქებს კი არა, მოკავშირე რესპუბლიკებსაც კი არ ჰყავდათ „ა“ კლასში წარმომადგენლები, საქართველოს კი ორი გუნდი ჰყავდა — მარტო ეს ფაქტი რად ღირდა. მთავარი საზრუნავი „დინამო“ იყო, „ტორპედო“ მაინც უკანა პლანზე რჩებოდა. 1964 წელს, „დინამო“ რომ პირველად გაჩემპიონდა. ჩვენ ტაშკენტში გადათამაშება გვქონდა გორკის „ვოლგასთან“. 4:2 მოვიგეთ და „ა“ კლასში დავრჩით. მაშინ ორი ბურთი გავიტანე.

**— თქვენი აზრით, „ტორპედომ“ დატოვა თავისი კვალი საბჭოთა ფეხბურთში?**

— ვფიქრობ, დატოვა. ჩვენი წილი გამარჯვებები გვიზეიმია, ბევრი გაგვიმწარებია. 1965 წელს კიევის „დინამოს“ ოქროს მედლები ვინ დააკარგვინა? ეს ამბავი ახლაც ბევრს აქვს სალაპარაკოდ. ანდა დაითვალეთ, რამდენი ფეხბურთელი მისცა „ტორპედომ“ ჯერ თბილისის „დინამოს“ და მერე საბჭოთა კავშირის ნაკრებს. სადაც არ უნდა ჩასულიყო, მაყურებელი „ტორპედოს“ თბილად ხვდებოდა.

**— თქვენ რამდენიმე მწვრთნელის ხელში მოგიწიათ თამაში. მათგან ვის მიანიჭებდით უპირატესობას?**

— უშანგი სალდაძეზე უკვე ვთქვი. ანდრო ჟორდანიასთანა მწვრთნელი ქართველებს საერთოდ არ გვყოლია. ნამდვილი გენიოსი იყო.

**— თქვენზე ჭორები დადიოდა?**

— რამდენიც გნებავთ. თუნდაც ეს: ხაჭალიამ თამაშის წინ ერთი-ორი უნდა გადაჰკრასო. ტყუილია ეს. შემიძლია ხატზე დავიფიცო, მსგავსი არაფერი ყოფილა. რაღა თამაშის წინ, რა გაჭირვება იყო. თუ მინდოდა თამაშის შემდეგაც მოვასწრებდი. ერთხელ ტრიბუნაზე ვიჯექი. დუბლიორთა შეხვედრას ვადევნებდი თვალს. ჩემი გვარი ახსენეს და წინ მჯდომთ მივუგდე ყური. ერთი მეორეს ეკითხება: ნეტა, ხაჭალია თუ ითამაშებს ხვალო... — რა უნდა ითამაშოს, ახლახან დავტოვე რესტორანში, ერთად ვსვამდითო, უპასუხა მეორემ. იცოცხლე, კარგად კი შევახურე ის კაცი.

**— თქვენი კარიერა კურიოზებით იყო აღსავსე. ერთი მაინც მოგვიყევით...**

— 1966 წლის ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო თამაში კიევში გვქონდა. იქიდან გუნდი ბულგარეთში უნდა გამგზავრებულიყო ტურნეზე. ნამყოფი ვიყავი ამ ქვეყანაში. იქაურ ცხარე კერძებს ვერ ვიტანდი და ხელმძღვანელობას სახლში გაშვება ვთხოვე. გუნდის უფროსი გვყავდა გადამდგარი პოდპოლკოვნიკი ალიოშა კაციტაძე. ქვა აგდო და თავი შეუშვირა, გუნდის კაპიტანი ხარ და ამას როგორ ბედავო. გახუმრება ვცადე — ბატონო ალიოშა, მე კაპიტანი ვარ, თქვენ კი პოდპოლკოვნიკი, ბიჭებს ჩემზე უკეთ გაუძღვებით-მეთქი. არც ხუმრობამ გაჭრა, სასტიკი უარი მივიღე. მაშინ გუნდი მივატოვე და ქუთაისში გადმოვფრინდი. მართალი არ ვიყავი, მაშინვე ვინანე რაც გავაკეთე. „ტორპედომ“ უჩემოდ მოიარა ბულგარეთი და მეორე წრის პირველ თამაშზე მოსკოვში ჩავიდა. „სპარტაკს“ უნდა შეხვედროდა. სახლში-რა გამაჩერებდა, მეც იქ ვიყავი, უფრო მოსაბოდიშებლად, თან ფორმაც არ წამილია, ვიცოდი, უვარჯიშებელს „სპარტაკთან“ არ დამაყენებდნენ. მოხდა პირიქით. ნორაკიძემ შემნიშნა თუ არა, მომაძახა: „ხაჭალია, გაიხარე, ითამაშებო“. ცივმა ოფლმა დამასხა, მაგრამ კედელთან ავიტუზე. პირველი ტაიმი „სპარტაკმა“ ერთი ბურთით მოგვიგო. შესვენებაზე გასახდელში ყურადღება რომ არავის მოექცია, ისე შევიპარე. „ხაჭალია, მოემზადე, გადიხარო“. რა გაეწყობოდა. ბიჭებს გავყევი. თავიდან მაგრად შევრცხვი. ჩემსკენ წამოსულ ბურთს რაც ძალა მქონდა ფეხი მოვუქნიე და... არ ავაცილე, წავიქეცი და ცხვირით მიწა მოვხანი. ტრიბუნებზე ხარხარი ატყდა. ეს იყო და... ისე ავთამაშდი, როგორც არასდროს. „სპარტაკს“ ჯერ ერთი გავუტანე და მერე თერთმეტმეტრიანიდან, რომელიც თავად ავკიდე მცველს, მეორე. 3:2-ს ვიგებდით, თუმც საბოლოოდ მაინც მოსკოველებმა იმარჯვეს, ორიც შეგვიგდეს. მართალია წავაგეთ, მაგრამ კმაყოფილები დავრჩით ყველანი, ერთი კაცის გარდა. ეს კაცი მაშინდელი პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი შოთა კობახიძე გახლდათ. ახლაც ღიმილს მგვრის, რაც მან ნორაკიძეს უთხრა: ხაჭალია პირველ ტაიმში რომ გამოგეყვანა, ორ ბურთს მაშინაც გაიტანდა და 5:4 მოვიგებდითო. ფიქრობთ იხუმრა? არა, სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა.



„ტორპედო“ — „ავანგარდი“ (ხარკოვი). ხაჭალიას მარიენკო ებრძვის

**— ცხვირი თამაშის დროსაც გაიტეხეთ?**

— მოსკოვის „ტორპედოსთან“ ვხვდებოდით. ასეთი მცველი იყო, ბრედნევი — სახეში მუხლით წამოვიდა. აცილება ვერ მოვასწარი. სწორედ მაშინდელი იარაა. „ტორპედოს“ ცხვირიც შევწირე. ისე, ტრავმების გამო ბევრი თამაში გამომიტოვებია.

**— თამაშს ადრე დაანებეთ თავი.**

— 68-ში, ჩემპიონატი რომ დამთავრდა, მაშინ დავანებე. 30 წლის ვიყავი. კიდევ შემეძლო თამაში, მაგრამ მე ჩემი თავმოყვარეობა მქონდა. ძველებურად ვეღარ გავირჯებოდი. თან გუნდშიც აირია საქმე. მოკლედ, წავედი.

**— სად?**

— ქუთაისში სამუშაოს კი დამპირდნენ, მაგრამ აღარ მაღირსეს. წელიწადზე მეტი ოჯახი მშობლების კისერზე მყავდა. მერე ისევ სამტრედიელებმა გამიმართეს ხელი. „ლოკომოტივში“ ვმწვრთნელობდი.

**— დროგამოშვებით...**

— ხუთჯერ მომიწია გუნდში მისვლა. საქართველოს პირველობა, საკავშირო მეორე ლიგა, პირველი ეროვნული ჩემპიონატი გამივლია გუნდთან ერთად.

**— არ ვიცი, გახსოვთ თუ არა, ძალიან დიდი ხანი არ არის, გაზეთმა „ქუთაისმა“ მკითხველებს შორის გამოკითხვა მოაწყო. მათ უნდა დაესახელებინათ „ტორპედოს“ ყველა დროის საუკეთესო მოთამაშეები. გამოკითხვის შედეგები არ გამოქვეყნებულა, არადა, პირველ ნომრად თქვენ იყავით დასახელებული. ამაში ბევრი კოლეგა დამემოწმება, პუბლიკაცია ვეტო ქალაქის ერთ-ერთმა მაშინდელმა ხელმძღვანელმა დაადო. მოტივი: ხაჭალია ნავთობბაზაში მუშაობსო და გაზეთში ამაზე ვერ დავწეროთ.**

— კომუნისტები არ ამბობდნენ ყველა პროფესია საამაყოაო. იმ კაცის სინდისზე იყოს. სახელმწიფო დამნაშავე ხომ არ ვიყავი...

**— გუნდი რომ კაცის სახელით მონათლოთ, ერთის გარდა არც მსმენია. ოჩამჩირეში ამირან ტყებუჩავას ერგო ასეთი პატივი. შარშან სამტრედიელებმა კლუბს „ჯუბა“ დაარქვეს. ეს სიცოცხლეში ძეგლის აგებას ნიშნავდა...**

— მაგრად კი გამიხარდა, მაგრამ ხუთ თვეში კლუბს ახალი სახელი მოუძებნეს. მოიბოდიშეს, რა ვქნა, არ ყოფილა ჩემი იღბალი.

**— ჩვენი ფეხბურთი რაა, ვიცით. მაგრამ მაინც, ვის ქომაგობთ?**

— გუნდს, რომელსაც ჩემი საუკეთესო წლები შევალიე — „ტორპედოს“. მინდა ახალმა თაობებმა ის შეძლონ, რაზეც ჩვენ საერთოდ არ გვიფიქრია, ევროთასებზე ითამაშონ. მაგრამ თამაში ერთია, შედეგიც უნდა გქონდეს.

**— იცით, ჩვენთან უჩვეულო მატჩის ჩატარებას აპირებენ. ქუთაისის და მოსკოვის ტორპედოელები 36 წლის წინანდელი შემადგენლობებით უნდა შეხვდნენ ერთმანეთს. თქვენ თუ ითამაშებთ?**

— ვნახოთ, თუკი მართლა ის ხალხი შეიკრიბა, ვინც 1962 წლის იმ დაუვიწყარ მატჩში მონაწილეობდა. ეგებ ვითამაშო კიდეც. თუ არა და, ახლა „ტორპედოს“ ვეტერანობას ისეთები იბრალებენ, საერთოდ რომ არ გაუვლიათ გუნდში. მათთან მე არ მესაქმება.

**— ცოტა ოჯახზეც გვითხარით.**

— მეუღლე პედაგოგია. ქალიშვილს საკუთარი ოჯახი აქვს და თბილისში ცხოვრობს. ვაჟი ჯუმბერი წყალტუბოს პროკურატურაში მუშაობს გამომძიებლად. მინდოდა ფეხბურთს გაჰყოლოდა, მაგრამ დედის მხარე დაიჭირა. ისევ შვილიშვილების იმედად ვარ. 12 წლის დათო ბუაძეში საკუთარ თავს ვხედავ, 35-ე სკოლაში სწავლობს. 10 წლის მერაბიც იმავე სკოლაში დადის და მგონი უფროს ძმას გაასწროს...

**— აგვისტოში 60 გისრულდებათ.**

— დროს ვერავინ შეაჩერებს.

**იუზა კაციტაძე**

# დაარიგე, მეგობარო, თამაში გრძელდება

### დაუსრულებელი პარტია

ჯოკერი ორვეს ჰყავს და მისი გამოყენების დრო დაუდგათ. ერთმა უნდა მოიგოს, ვა ბანკაა — ყველაფერი ან არაფერი.

გენუაში, 70-იან წლებში ცხოვრობდა ორი მეგობარი. ისინი ფეხბურთს თამაშობდნენ, ოღონდ ქალაქის სხვადასხვა გუნდებში. „სამპდორიაში" რომ იყო, მას მარჩელო ლიპი ერქვა, „ჯენოაში" კი ლუიჯი ანუ იგივე ჯიჯი სიმონი.

ცხოვრებამ ისე მოაწყო, რომ მეგობრებს ღღენიადაგ ერთმანეთთან შეჯიბრება უწევდათ. უპირველეს ყოვლისა, ცხადია, საქმის გამო. გენუის გუნდები სულ მცირე წელიწადში ორჯერ უპირისპირდებოდნენ ერთურთს. მოსახლეობაც ოდითგანვე გაყოფილი იყო, ნაწილი „ჯენოას" უჭერდა მხარს, ნაწილი „სამპდორიას". ქიშპში ლიპი და სიმონიც გახლდნენ ჩართულები, მაგრამ ხშირად, საღამოობით ისინი ბანქოს მაგიდასაც მიუსხდებოდნენ ხოლმე. ლიპი თუ სიმონი? ამ კითხვაზე პასუხი მწვანე ხავერდით დაფარულ მაგიდას უფრო ხშირად გაუცია, ვიდრე მწვანე ბალახით დაფარულ საფეხბურთო მოედანს.

ლიპი თუ სიმონი? ცხოვრებამ ეს კითხვა დღეს, ოცი წლის შემდეგ, მეტი სიმწვავით დასვა. მეგობრების დავას დასასრული არ აქვს. როგორც ჩანს, სანამ ლიპი და სიმონი ცოცხლები არიან, მათ შორის ქიშპიც გაგრძელდება. მარჩელო ლიპი „იუვენტუსის" მწვრთნელია, ჯიჯი სიმონი — „ინტერის" და ხვალ, ტურინის „სტადიო დელლე ალპიზე" მათი გუნდები ქვეყნის ჩემპიონის ტიტულისთვის დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ხვალინდელი შეხვედრა გადამწყვეტია, გამარჯვებული „სკუდეტოს" აღარ გაუშვებს ხელიდან. ო, ამ სიმაღლეზე ლიპი და სიმონი არასდროს შებმიან. ახალგაზრდობის დროინდელი თამაში ეტყობა დიდი პარტიის გეიმები იყო.


სარბიელის არქივიდან
მარჩელო ლიპი

„ყველაფერი ისე იქნება, როგორც 70-იან წლებში, გენუის დერბის დროს. იქნებ მატჩის შემდეგ ბანქოს სათამაშოდაც დავიტოვოთ დრო" — უთხრა ლიპიმ „გაძეტა დელო სპორტის" კორესპონდენტს.

ლიპიმ ამ კვირაში ორდღიანი დასვენება ითხოვა და მამისეულ ვიარეჯოში ზღვის პირას ფიქრს მისცა თავი.

„იუვენტუსის" მწვრთნელს ურუგვაელი მცველის პაოლო მონტეროს ფეხი და ფილიპო ინძაგის ნატკენი სახე აწუხებს. რა იყო ეს! მონაკოში, ჩემპიონთა თასის საპასუხო ნახევარფინალურ მატჩში ინძაგის ტუჩი გაუსკდა და 24 ნაკერი დაადეს.

ნიღბით უნდა ათამაშოს?

პირველ წრეში, „სან სიროზე" ჯორკაეფის გოლით „ინტერმა" რომ მოუგო, ლიპის არ აღარდებს.

„ბედნიერი ვიქნები, ჩემმა ფეხბურთელებმა ისევე რომ ითამაშონ" — ამბობს ტურინელთა თავკაცი, რომელსაც კარგად ახსოვს, რომ მაშინ გუნდი ჩინებულ ფორმაში ჰყავდა. „ინტერთან" წააგეს, მაგრამ შემდეგ მოდგნენ და ზედიზედ ხუთი მეტოქე დაამარცხეს.

სიმონის საწუხარი ჯუზეპე ბერგომის დისკვალიფიკაციაა. 34 წლის „ძია ჯუზეპეს" „ინტერში" 496 შეხვედრა აქვს ჩატარებული და დაცვაში თამაში არ ესწავლება. მის გარეშე კი რა იქნება? ბერგომის საქმე 21 წლამდელთა ნაკრების წევრს სალვატორე ფრეზის უნდა ანდოს. არადა, ფრეზი ის ბიჭია, ბერგომის გამო სათადარიგოთა სკამზე ჯდომით რომ დაღალა და ბოლოჟამს „სალერნიტანაში" დამაბრუნეთო, რომ ეხვეწება.

ფრეზის წინ სიმონი ლუიჯი სარტორს, ფრანჩესკო კოლონეზესა და ტარიბო ვესტს დააყენებს. მათი იმედი აქვს, პირველ დარტყმას ისინი მიიღებენ.

ნახევარდაცვაში? პორტუგალიელი პაულუ სოუზა ცუდ ფორმაში კია, მაგრამ „იუვენტუსიდან" დორტმუნდის „ბორუსიაში" უცერემონიოდ რომ გაჰყიდეს, დღემდე ვერ დაივიწყა და ეს კარგია. თუმცა არა, სიმონი მაინც გამოცდილ ოთხეულს, არგენტინელ ხავიერ ძანეტის, ბრაზილიელ ზე ელიასს, ფრანგ ბენოი კოეს და ერთადერთ იტალიელს, ფრანჩესკო მორიეროს ამჯობინებს.

წინ, ცხადია, რონალდომ უნდა ითამაშოს. ბრაზილიელმა ბოლო ექვს შეხვედრაში ექვსი გოლი შეაგდო და ამით ყველაფერია ნათქვამი. მაგრამ ვინ იქნება მისი მეწყვილე? ფრანგი იური ჯორკაეფი სანამ დაშავებული იყო, რონალდოს ჩილელი ივან სამორანო უწევდა პარტნიორობას, მაგრამ ახლა ჯორკაეფი მომჯობინდა, წინა შეხვედრაში „უდინეზეს" მეტად საჭირო გოლიც გაუტანა და იქნებ მისი თამაში უფრო უპრიანი იყოს?

ფიქრისთვის სიმონის ხვალამდე აქვს დრო. ხვალამდე ლიპიც დათვლის ვარიანტებს. ოცი წლის წინ დაწყებული პარტია, რომელიც ცხოვრებამ დააწესა, გრძელდება.

### ერერათა ბრძოლა

„დელლე ალპიზე", ხვალ ის გუნდები ითამაშებენ, 131-ჯერ რომ შეხვედრიან ერთმანეთს, მაგრამ, ბუნებრივია, ამ მატჩებიდან ყველა „სკუდეტოს" ბედის გადამწყვეტი არ იყო. ასეთი ახლაა და იგი 1967 წელს გვაგონებს.

სეზონის დამთავრებამდე მაშინაც ოთხი ტური რჩებოდა. „ინტერს" სახელგანთქმული ელენიო ერერა ედგა სათავეში, „იუვეს" მისი მოგვარე ერიბერტო ერერა.

„იუვეს" და „ინტერის" ახლანდელი თავკაცები თითქოს ერერების ფესვებზე აღმოცენებულანო, სიმონი ელენიოს დარ „კატენაჩოს" მისდევს, ლიპი — ერიბერტოსეულ შეტევას. განსხვავება 1998 წლის 26 აპრილსა და 1967 წლის 14 მაისს შორის ისაა, რომ ახლა, დიდ მატჩამდე „იუვენტუსია" ერთი ქულით წინ, მაშინ კი 4 ქულით მილანის გუნდი ლიდერობდა.

1967 წლის 14 მაისს „იუვემ" 1:0 მოიგო. შემდეგ კი, ბოლო ტურში „ინტერმა" მეკარის საბედისწერო შეცდომის გამო „მანტოვაშიც" მარცხი იწვნია და ჩემპიონის გვირგვინი „ბებერ ქალბატონს" დაულოცა. მაშინ „ინტერი", ისევე როგორ ახლა „იუვენტუსი", ჩემპიონთა თასის ფინალისტი გახლდათ. „მანტოვასთან" შეხვედრამდე ხუთი დღით ადრე ელენიო ერერას გუნდმა ლისაბონში გლაზგოს „სელტიკთან" წააგო.

„იუვენტუსისა" და „ინტერის" დიდი ბრძოლები 60-იან წელბს გაჰყვა ისტორიის წიგნში. ეს ის ეპოქა გახლდათ, როდესაც მათ იტალიურ გუნდებს შორის პირველებმა ამოიქარგეს მაისურებზე ვარსკვლავი, ვარსკვლავი კი ამ ქვეყანაში ათგზის ჩემპიონობას ნიშნავს.

მას მერე, რაც 1931 წელს იტალიაში დიდი ლიგა დაარსდა, „იუვე" და „ინტერი" მოწინავენი იყვნენ, მაგრამ 60-იან წლებში მათი ალმავლობის ხანა პირველად დაემთხვა. ტურინელებმა ოთხჯერ მოიპოვეს „სკუდეტო", მილანელებმა — სამჯერ, თუმცა მეოთხედაც შეეძლოთ. 1965 წელს რომის „სტადიო ოლიმპიკოზე" „ინტერს" „ბოლონიამ" სძლია. ორი გუნდის პოპულარობა იმდენად გაიზარდა, რომ მათ შეხვედრებს „ეროვნული დერბიც" კი შეარქვეს, არადა ჩვეულებრივ, მოგეხსენებათ, დერბის ერთი ქალაქის ორი გუნდის დაპირისპირებას უწოდებენ.

60-იან წლებში „ინტერმა" მაინც დაჩრდილა „იუვე". „ილ კატენაჩო", აი, რა დარჩა მეხსიერებასა და მსოფლიო ფეხბურთს — ელენიო ერერას მოგონილი და დანერგილი ტაქტიკა, ბევრის აზრით ულამაზო, მაგრამ პრაქტიკული. ეს იყო ახალი სიტყვა, რომელმაც შექმნა „დიდი ინტერი", ევროპის ჩემპიონთა თასის ორგზისა და ორი საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი. „სან სიროზე" დღესაც შეამჩნევენ ხოლმე იმ გუნდის აჩრდილს, მაგრამ როგორც ყველა აჩრდილი, იგი გამოჩნდება და გაქრება.

„იუვენტუსს" ისტორიაში ორი „ჩიკლი" ანუ წარმატებათა ციკლი ჰქონდა. პირველი ჯოვანი ტრაპატონის, მიშელ პლატინის და დიდი იტალიელი ფეხბურთელების თანავარსკვლავედის სახელს უკავშირდება, მეორე — ლიპის, რობერტო ბაჯოს (1995), ჯანლუკა ვიალის (1996), კრისტიან ვიერის (1997) და რა თქმა უნდა, ალესანდრო დელ პიეროს სახელებს.

80-იანი წლების ბოლოს „ინტერმა" წარმატებათა იმ გზაზე შედგომა განიზრახა, „იუვენტუსი" რომ იდგა. „შავ-ლურჯებმა" ჯოვანი ტრაპატონი მიიწვიეს, 1989 წელს ჩემპიონებიც გახდნენ, მაგრამ საბოლოოდ მიხვდნენ, რომ კურსის შეცვლა უპრიანი არ იყო და ისევ „კატენაჩოს" მიაკითხეს.

და მაინც, ტურინსა და მილანში, ასი კილომეტრით დაშორებულ ამ ორ ქალაქში, კლუბებს ერთნაირად უძლვებიან. „იუვენტუსის" გენერალური მენეჯერი რობერტო ბეტეგა აღიარებს, რომ ისინი ცალი თვალით საფეხბურთო მინდორს უყურებენ, მეორეთი — ბალანსის ფურცელს. მილანშიც ასეა, უცხოელი ვარსკვლავებით დახუნძლული „ინტერის" შესაქმნელადა და შესანარჩუნებლად მისი პრეზიდენტი მასიმო მორატი, მამის, („დიდი ინტერის" ეპოქის პრეზიდენტის), ანჯელო მორატის დარად ნავთობის ბიზნესით მდიდარი ოჯახის ფულს გვარიანად ხარჯავს. გასულ სეზონში ყოველგვარი ფილოსოფია რომ დამარცხდა და „ინტერმა" ცხრილში მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავა, ხოლო უეფას თასის ფინალში „შალკესთან" წააგო, მორატიმ მარტივი და უებარი გზა გამონახა, გახსნა საფულე და „ბარსელონასგან" რონალდო იყიდა.


ლუიჯი სიმონი

ისევ გამოჩნდა „სან სიროზე" ძველი „ინტერის" აჩრდილი.

და მორატის გაახსენდა, რომ 1967 წლის შური აქვს საძიებელი, მამის სისხლი უნდა აიღოს.

### ჯოკერი

თუ ფეხბურთი რაიმეთი ჰგავს ბანქოს, უთუოდ ჯოკერით. ჯოკერი ყოვლისშემძლე ქაღალდია, რომელმაც ხანდახან შეიძლება თავ-ბედიც გაწყვეტინოს თუ სწორად არ გამოიყენე. ჯოკერი ლიპისაც ჰყავს და სიმონისაც.

ერთი წლის წინ, იტალიის ნაკრების მწვრთნელად ჩეზარე მალდინი დანიშნეს. ახალი თავკაცის პირველი შემოწმება სიცილიაზე, პალერმოში, ჩრდილო ირლანდიასთან მატჩში მოხდა. მაშინ მართალია, „სკუადრა აძურამ" გაიმარჯვა, მაგრამ ხალხი უკმაყოფილო დარჩა.

„რა ვქნა, სამწუხაროდ, იური ჯორკაეფი იტალიელი არ არის" — ხელები გაშალა მალდინიმ.

ხვალ ალესანდრო დელ პიერომ ნაკრების მწვრთნელს ერთხელაც უნდა გასცეს პასუხი იტალიურად. თითქმის 12 თვის წინ დელ პიერო ცუდ ფორმაში იყო და ლიპიმ ჩემპიონთა თასის ფინალშიც კი არ ათამაშა ძირითად შემადგენლობაში, სამაგიეროდ, ჯორკაეფი დაფრინავდა. ამ სეზონში დელ პიეროს რონალდოს აჯიბრებენ, ჯორკაეფს კი დიდი ბრაზილიელის გვერდით ყოველთვის არც აყენებენ მოედანზე. შემდეგ ტრავმამაც ითამაშა როლი.

ბოლო ტურში ჯორკაეფმა „უდინეზესთან" შეხვედრის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე გოლი გაიტანა.

„ბნელი ტუნელიდან გამოსვლას ჰგავდა ეს გოლი" — აღიარა ჯორკაეფმა.

კიდევ ამბობენ, ჯორკაეფს საფრანგეთის ნაკრებში ადგილი დაბევებული სულაც არ აქვსო, დელ პიეროსგან კი პაოლო როსისა და რობერტო ბაჯოს დარ გმირობას ელიან. აი, რას ამბობს ახლა თავად მალდინი:

„დელ პიეროს ყველა პირობა აქვს საიმისოდ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ვარსკვლავი გახდეს".

იტალიელი რონალდო — ასე უწოდეს დელ პიეროს გაზეთებმა.

გასულ წელს, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენ გამოკითხვაში იტალიელმა რონალდომ ნამდვილ რონალდოზე 12 ადგილით დაბალი პოზიცია დაიკავა.

ჰა ბურთი, ჰა მოედანი, ხვალ ისინი პირისპირ წარსდგებიან. ბომბარდირობისთვის ბრძოლაში დელ პიეროს დღეისთვის რონალდოზე ორით ნაკლები აქვს გატანილი. მავანთ მიშელ პლატინიც გაახსენდათ.

„მართლაც რაღაც შეიცვალა. იტალიური პრესა ბოლოხანს სხვაგვარად მიყურებს" — ამბობს დელ პიერო, რომელიც გაცილებით თავდადებული და დაკუნთული გახდა, მის საუცხოო ჯარიმებზე კი საგანგებოდ ლაპარაკობენ. „მონაკოსთან" ჩემპიონთა თასის პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში გატანილი ჯარიმის წინა დღეს იგი ტელევიზიით გამოვიდა და ხალხს დაწვრილებით აუხსნა, როგორ აყენებს მეტოქის ცოცხალ კედელში თავის მეგობრებს, რათა მეკარე დააბნიოს.

დელ პიერო ნამდვილი ჯოკერია.

რონალდო და ჯორკაეფიც ჯოკერები არიან.

ხვალ რომელიმემ ბანკი უნდა მოხვეტოს.

**ბაჩუნა ძიდია**

### იუვენტუსი

დაარსდა 1897 წელს. თავიდან „სპორტ კლუბ იუვენტუსი" ერქვა, ორ წელიწადში კი „იუვენტუს ფუტბოლ კლუბი" დაარქვა.

იტალიის ჩემპიონი: 1905, 1926, 1931, 1932, 1933, 1934, 1935, 1950, 1952, 1958, 1960, 1961, 1967, 1972, 1973, 1975, 1977, 1978, 1981, 1982, 1984, 1986, 1995, 1997

იტალიის თასი: 1938, 1942, 1959, 1965, 1979, 1983, 1990, 1995

ჩემპიონთა თასი: 1985, 1996

უეფას თასი: 1977, 1990, 1993

თასების თასი: 1984

საკონტინენტთაშორისო თასი: 1986, 1996

ევროპის სუპერთასი: 1984, 1996

სტადიონი: „სტადიო დელლე ალპი" — 71012

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

ყველაზე მეტი მატჩი: ჯამპიერო ბონიპერტი — 444

ყველაზე მეტი გოლი: ჯამპიერო ბონიპერტი — 178

### ინტერი

დაარსდა 1908 წელს. 1930-იან წლებში ცოტა ხნით ერქვა „ამბროზიანა"

იტალიის ჩემპიონი: 1910, 1920, 1930, 1940, 1953, 1954, 1963, 1965, 1966, 1971, 1980, 1989

იტალიის თასი: 1939, 1978, 1982

ჩემპიონთა თასი: 1964, 1965

უეფას თასი: 1991, 1994

საკონტინენტთაშორისო თასი: 1964, 1965

სტადიონი: „ჯუზეპე მეაცა" იგივე „სან სირო" — 85700

მწვრთნელი: ლუიჯი სიმონი

ყველაზე მეტი მატჩი: ჯუზეპე ბერგომი 496

ყველაზე მეტი გოლი: ჯუზეპე მეაცა 197

## JUVENTUS vs INTER

ეს გუნდები სერია A-ში 131-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. 68-ჯერ გაიმარჯვა „იუვენტუსმა", 39-ჯერ „ინტერმა", 30 შეხვედრა კი ფრედ დამთავრდა.

ტურინში 46 თამაში მასპინძლებმა მოიგეს, სტუმრებმა მხოლოდ 8. 11 მატჩი ფრედ დამთავრდა. 123 გოლი „იუვენტუსმა" გაიტანა, 53 „ინტერმა".

პირველად მეტოქეები 1930 წლის 19 მარტს დაპირისპირდნენ. ტურინელებმა წააგეს 1:2.

1961 წლის 10 ივნისს „იუვემ" „ინტერს" 9:1 მოუგო. ეს იყო გადადებული შეხვედრა, რომელსაც პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა (ტურინის გუნდი უკვე ჩემპიონი გახლდათ, პირველობა კი ფაქტობრივად დამთავრებული), რომელშიც მილანელებმა ახალგაზრდული გუნდი გაიყვანეს მოედანზე. 1932 წლის 17 იანვარს კი „ინტერმა" ტურინში 2:6 წააგო. ეს ორი შეხვედრა „იუვენტუსის" ყველაზე დიდი გამარჯვებით დასრულდა. რაც შეეხება „ინტერის" ყველაზე დიდ წარმატებას ტურინში, იგი 1961 წლის 22 ნოემბრითაა დათარიღებული — 4:2. „სან სიროზე" „ინტერმა" 1954 წლის 4 აპრილს 6:0 აჯობა „ბებერ ქალბატონს" და ეს დღემდე „იუვეს" ყველაზე დიდი წაგებაა არა მარტო „შავ-ლურჯებთან", არამედ საერთოდ. ბოლო ცხრა სეზონში „იუვენტუსისა" და „ინტერის" ტურინული დაპირისპირება ასე დასრულდა: 1:1, 1:0, 4:2, 2:1, 0:2, 1:0, 0:0, 1:0, 2:0.

როგორც ხედავთ, ბოლოს „დელლე ალპიზე" „იუვემ" 2:0 მოიგო. ეს მოხდა 1996 წლის 20 ოქტომბერს. მაშინ თამაშს 65 ათასი მაყურებელი დაესწრო. გოლები გაიტანეს ალენ ბოკშიჩმა (მე-40 წუთზე) და ზინედინ ზიდანმა (62-ე წუთზე).


GUERIN SPORTIVO
პირველ წრეში „სან სიროზე" ჯორკაეფის გოლით „ინტერმა" „იუვენტუსს" 1:0 მოუგო

# LONG LIVE THE KINK

## ქინქლაძე დღეს სიტელებს ემშვიდობება

რაღა გიოს „სიტიში“ ყოფნა და რაღა მცხეთაში 4 კილოგრამი ურანისა — ძვირი შესანახი და ამავე დროს არსებულ მდგომარეობაში და პირობებში გამოუსადეგარი. თითქმის ერთდროულად ორივეს საშველი დაადგა.

და მართალია, პირადად მე მგონია, რომ ბოლო წუთს რომელიმე პრემიერლიგელი გრანდი გიოში „აიაქსზე“ მეტს გადაიხდის და ისიც ინგლისში დარჩება, ამას დიდი მნიშვნელობა არც აქვს — რაც მთავარია, გიორგი ქინქლაძის 32-თვიანი მანჩესტერული კარიერა დღეს დამთავრდება. ძნელი სათქმელია, რის გაკეთებას შეძლებს ქართველი თავის ბოლო სიტურ თამაშში. ერთი მხრივ, დღევანდელ გადამწყვეტ მატჩში მონაწილეობა გიოს დიდი სურვილიც იყო, მაგრამ ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ ერთ დროს გუნდის ლიდერი ბოლო ხანს ოდენ სათადარიგო გუნდში ვარჯიშობდა. ამიტომაც იყო, ჯო როილმა გუშინ გიოს რომ ჰკითხა — 60 წუთი სათანადოდ გარჯა თუ შეგიძლიაო. პასუხად, ჰოოეო, გაიგო.



სიტელი გიორგი ქინქლაძე ბოლოჯერ დღეს თუ გაახარებს

მანამდე კი- „სიტის“ გულშემატკივრებს ვინ ჩივის, ჯო როილმა პრესის ისეთი კომენტარები დაიმსახურა გიოს უთამაშებლობის გამო, თქვენს მტერს. რომ გამართლებოდა და გუნდი სახიფათო ზონას აეცილებინა, კიდევ არაფერი, მაგრამ თითქმის ახალი გუნდით ძველის დარი შედეგებით ვინ დაინდობდა?

სამაგალითოდ „შეფილდ იუნაიტედთან“ შინ 0:0 წათამაშევი მატჩის მირორისეული რეცენზიაც გამოდგება. გგონიათ, იქ აღწერილია, ვინ როგორ გაისარჯა ამ შეხვედრაში და რომელ წუთზე რა მოხდა? ცდებით:

„გიორგი ქინქლაძე ამ მატჩში არ მონაწილეობდა, მაგრამ მისი აჩრდილი მაინც „მეინ როუდზე“ ტრიალებდა, სტადიონის მაღაზიაში კი ჩარჩოში ჩასმული მისი პორტრეტები 46 გირვანქად (111 ლარი - ზ.მ.) იყიდებოდა. ქართველის არყოფნა ოფიციალურად სურდოთი ახსნეს, თუმცა ჯო როილმა ისიც განაცხადა, რომ ქინქლაძის გონება ახლა მომავალი ტრანსფერებითაა დაკავებული და მას მაინც არ ათამაშებდა.

როილმა იწყინა, როცა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტთა პირველი კითხვები სწორედ ქართველის არყოფნას შეეხებოდა და თქვა, რომ ახლა მას ომი ელის და საამისოდ მებრძოლები სჭირდება.

კი ბატონო, ალბათ ქინქლაძეს მართლაც ჯერ არ წაუკითხავს ვინი ჯოუნსის წიგნი პრემიერლიგაში ქულების კბილებით გამოგლეჯვის სისტემაზე და ისიც მართალია, რომ გიორგი ხასიათის მოთამაშეა და ზოგ შეხვედრაში დანარჩენებზე ნაკლებ ოფლს ღვრის; მითუმეტეს, ვეთანხმები „სიტის“ მწვრთნელს, რომ მის გუნდს ახლა ომი ელის და მებრძოლები სჭირდება, მაგრამ რომელი ომი გაგიგიათ, ჯარისკაცებს ფელდმარშლის გარეშე მოეგოთ? ჩვენ ხომ ვიცით, რომ ქართველი გენიოსის ერთ ნაპერწკალს თამაშები მოუგია, ქინქლაძის გარეშე კი ამ ნაპერწკალს „მეინ როუდზე“ ვერავინ გააჩენს.

არ ვიცი, შესაძლოა, ასე მხოლოდ მე ვფიქრობ, მაგრამ გუშინ „მეინ როუდზე“ შეკრებილი 29 ათასი კაცისთვის რომ გეკითხათ, გეტყოდნენ, როგორ დააკლდა მათ ქართველი მაესტროს ფუნჯის ერთიორი გასმა.

ისე, ყველაფერს რომ თავი ვანებოთ, ქინქლაძემ „სიტიში“ სამი წელი გაატარა თავდადებით და იმის ღირსი მაინცაა, ამ კლუბში კარიერა ღირსეულად დაამთავროს“.

ჰო, წერილის სათაური გამომრჩა — Long live the Kink ანუ „გაუმარჯოს ქინქს“. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ გიოს იმ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია.

და აი, დღეს, თუ როილმა სიტყვა შეასრულა, ქინქლაძე „მანჩესტერ სიტიში“ ბოლო მატჩს ითამაშებს. მიუხედავად იმისა, როგორ, ის ამ გუნდის ისტორიაში ერთ-ერთ ლეგენდად დარჩება, მერე კი... მერე გიოს უმნიშვნელოვანესი სეზონი ელის — მან უნდა დაამტკიცოს, უპირველესად, ქართველების წინაშე, რომ მართლაც დიდი ფეხბურთელია.

**ზურაბ მეძველია**

# გულიტის დარდიანი სიტყვები

უმუშევარი რუდ გულიტი ლონდონშია და თავის „ჩელსიურ“ თავგადასავალზე საუბრობს. ლონდონელ ფლეიბოითა გუნდის ოდინდელი მენეჯერი იმ დროს იხსენებს, როცა „სტემფორდ ბრიჯის“ ვარსკვლავთკრებულის საჭესთან გლენ ჰოდლი შეცვალა და მეოთხედი საუკუნის განმავლობაში მთვლემარე კლუბის გამოღვიძება გადაწყვიტა.

მენეჯერად ქცეული გულიტის პირველი დიდი შენაძენი „იუვენტუსის“ ვარსკვლავი ჯანლუკა ვიალი იყო. სწორედ ის, ვინც წელიწადნახევრის შემდეგ გულიტის ადგილი დაიჭირა „ჩელსიში“.

მაშინ რუდმა კვირაში 25 ათასი ფუნტი დაუდო ჯამაგირად ლუკას და ახლადდაწყებულ სეზონში „ჩელსი“ ამ ორ სახელთან გაიგივდა. მაგრამ ძმაბიჭობა დიდხანს არ გაგრძელებულა. შუა სეზონში დასავლეთ ლონდონში ჯანფრანკო ძოლა გამოჩნდა და „შუშხუნად“ წოდებულ მარკ ჰიუზთან ერთად „ჩელსის“ დამკვრელი წყვილი შეადგინა, რითაც ვიალიმ ადგილი დაკარგა.

ახლა რუდ გულიტი უმუშევარია. ვიალი კი მის შემცვლელად მაშინ დაინიშნა, როცა ჰოლანდიელმა ხეირიანად არც კი იცოდა, რომ გადააყენეს. გულიტს კი რაღა დარჩენია? მის ნალაპარაკევს ერთგვარი სინანულიც კი სდევს თან, ადვილი მისახვედრია, რუდს გული სტკივა, მიაჩნია რომ მისი ნამუშევარი წყალს გაჰყვა, რადგან...

მოკლედ კი, თავად გულიტი ყვება:

„ჯანლუკა ვიალიმ გუნდი საჩემპიონო ჭიდილს ჩამოაშორა ის გუნდი, რომელსაც ტიტულისთვის საბრძოლველად მოვამზადე. მისმა მოსვლამ ორ თამაშში გადაუსვა ხაზი ყველაფერს.

სეზონი რომ იწყებოდა, ვუთხარი: „ცდებით, თუ გგონიათ, რომ ჩემპიონობა „მანჩესტერის“ ან „ლივერპულის“ დამარცხებით მიიღწევა. ჩემპიონები მაშინ გახდებით, როცა პატარა კლუბებთან არ დაკარგავთ ქულებს“.

და ასევე ვუთხარი: „თქვენ ქვეყნის საუკეთესო გუნდი ხართ“.

ლუკამ კი მოახერხა და ლესტერთან წააგო“.

### ფრონტი

„როდესაც ჩემს მეორე სეზონს ვიწყებდი, გადავწყვიტე ორ ფრონტზე მებრძოლა — პრემიერლიგისა და თასების თასისთვის. თუ პრემიერლიგის ტიტულზე არ იფიქრებ, ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდები. იქ კი დიდი ფული და ელიტაა. თუ თავი რამედ გიღირს, იქაც უნდა თქვა სიტყვა.

„ჩელსი“ ყოველთვის ელიტად რაცხდა თავს, მაგრამ ჩემს მოსვლამდე შინაურ წრეში იხარშებოდა. ჩემი ერთ-ერთი პირველი ამოცანა კლუბში დამკვიდრებულ შეხედულებათა ცვლა იყო.

როდესაც გადამაყენეს, სულ იმას ვფიქრობდი, რომ საქმე დაუმთავრებელი დამრჩა. ვატყობდი, რომ ფეხბურთელები იმედითა და სურვილით იყვნენ აღვსილნი, მიუხედავად იმისა, რომ წინ მძიმე გზა გვედო. ჩვენ ახალ გზებს ვეძებდით, მაგრამ როცა სეზონის დასაწყისში 2:2 ვითამაშეთ „ოლდ ტრეფორდზე“, ბევრმა ირწმუნა, ტიტულისთვის ჭიდილი შეგვეძლო.

ტრავმების, ავადმყოფობის, სასჯელების მიუხედავად თებერვალში მეორე ადგილი გვეჭირა. ბრძოლა გრძელდებოდა.

ვიალი არ იყო იმ ფეხბურთელთა შორის, რომლებიც გადაყენების შემდეგ მირეკავდნენ. მე მესმის მისი. „მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს“, — საფეხბურთო პრინციპია. ყოველივე კარგს ვუსურვებ.

მაგრამ ჩემი გადადგომიდან ერთი კვირის თავზე „ჩელსი“ საჩემპიონო ოცნებას გამოეთხოვა.

მე მინდოდა ტიტული მოგვეგო, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის საგზურს მეორე ადგილიც ჰყოფნიდა.

გულის სიღრმეში მჯეროდა, რომ ჩემპიონები გავხდებოდით. ეს არასოდეს მითქვამს საჯაროდ, მაგრამ საფუძველი მქონდა: სწორად შერჩეული ფეხბურთელები და ნიჭი.

გადაყენების შემდეგ ბიჭებს ერთსა ვთხოვდი, ფარ-ხმალი არ დაეყარათ და იმედი არ მოშლოდათ. მე დღემდე „ჩელსიში“ ვირიცხები, რადგან კონტრაქტის ვადის გასვლამდე ხელფასი უნდა მიხადონ და კლუბის წარმატების შემთხვევაში პრემია მეც მერგება. სხვა რომ არაფერი იყოს, ამაზე მაინც ინაღვლებდა კაცი!

„ჩელსი“ რომ დავტოვე, წინ მხოლოდ „მანჩესტერი“ იყო, ამიტომ ამაყი და თავაწეული ვარ.

ერთ ჰოლანდიურ გაზეთში სტატია დაიბეჭდა, ამოვჭერი და შევინახე: „გულიტის მოსვლამდე „ჩელსი“ უტვინო გუნდი იყო. ის მოვიდა. მან ნახა და გაიმარჯვა. მან მოიტანა ხიბლი, ბრწყინვალება და დიდება. ზოგიერთი ბრიტანელი ამბობდა, ღმერთიაო. შემდეგ კარისაკენ მიუთითეს და მისი ადგილი მისმა მოწინააღმდეგემ, ვიალიმ დაიკავა. მაგრამ „ჩელსის“ არ აწყენდა გაფრთხილება: „ღმერთს სპილოს მეხსიერება აქვს“.

ბევრი მთხოვს, ვიალიზე ილაპარაკეო.



ძველი მწვრთნელი

რა თქმა უნდა, მე პატივს ვცემ მას. რა თქმა უნდა, მას სურს დაამტკიცოს, რომ ვცდებოდი, როცა იშვიათად ვათამაშებდი. ძალიან კარგი! ეს კაცის ხასიათზე მეტყველებს. მაგრამ ჩემს გადაწყვეტილებაზე ლუკას თამაშით და შედეგით უნდა ვიმსჯელოთ.

ყველამ იცის, რომ პირველივე სეზონში შედეგი მქონდა, თასი მოვიგეთ. მეორე სეზონშიც არ ვიყავით ჩვეულებრივი გუნდი. ინგლისში ჩემი მბრუნავი სისტემის გამო მაკრიტიკებდნენ, შემადგენლობას ცვლისო. იტალიაში უბრალოდ იტყოდნენ: „რახან ლუკას არ ათამაშებს, რუდი ნაგავია“.

ლონდონის რომელიმე იტალიურ რესტორანში რომ შევიდოდი, ერთადერთ რამეს მეკითხებოდნენ: „რატომ არ თამაშობს ვიალი?“ ამ კითხვის პასუხი მხოლოდ თავად ვიალის ჰქონდა.

ჩახედეთ ცნობარებს. „ჩელსიდან“ ჩემი წამოსვლის დროს ვიალი კლუბის საუკეთესო მეგოლე იყო 15 ბურთით. თანაც, ის მხოლოდ იმ შემთხვევაში თამაშობდა, როცა საჭიროდ ჩავთვლიდი.

მე ვიცოდი, როდის გამომეყვანა მოედანზე, ვიცოდი, როდის ითამაშებდა კარგად. სწორად ვიცოდი.

მბრუნავი სისტემა კონტინენტზე გამოიყენება და ინგლისში „მანჩესტერიც“ მიმართავს, მაგრამ განა ვინმე ეუბნება ალექს ფერგიუსონს, ეს ფეხბურთელი რატომ დასვიო?

მე შევამჩნიე, ახალი გადამდგარი ვიყავი, როცა ფერგიუსონმა ხორდი კრუიფი და მისნაირი ფეხბურთელები გამოაჩინა. სხვები კი დიდი ბრძოლებისთვის დაასვენა“.

### კამათი

„ფეხბურთელებთან ხშირად ვკამათობდი, მაგრამ ვიალისთან არასოდეს. ამბობდნენ, რომ ჩვენ ცუდი ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ ეს ტყუილი იყო.

ვიალის ამბავი კი ასეა: „ჩელსიში“ რომ მოვიდა, ყოველთვის დამტვრეული იყო. ვერ მოახერხა, თამაშს სრულ მზადყოფნაში შეხვედროდა. ინგლისში კი, თუ ასი პროცენტით მზად არ ხარ, დაიჩაგრები.

მაგრამ ვიალი დიდი ვარსკვლავი იყო და მე მისი ამოგდება მიჭირდა. მის ვარსკვლავური ღირსების შელახვას ვერიდებოდი. არადა, ჰიუზი და ძოლა საუცხოოდ შეეწყვნენ ერთმანეთს და მეც ლუკას ვუთხარი, რომ მათ ვანიჭებ უპირატესობას. ვიცი, გული ეტკინა.

მე სულაც არ მიხაროდა ეს. ერთხელ ვეცადე, წვრილად და წრფელად ამეხსნა ყველაფერი, მაგრამ გზად მისი სიამაყე გადამეღობა. მიჭირდა მისი ყურება და ასოციაციის თასის ფინალში ბოლო წუთებზე გავუშვი მოედანზე, ვცადე, დღესასწაულის მონაწილე გამეხადა.

შემდეგ მითქმა-მოთქმა ატყდა, კლუბს ტოვებსო, მაგრამ ვიცი, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში წავიდოდა, თუ ამ უხერხულ სიტუაციასთან და ფეხბურთთან გამოთხოვებას ერთდროულად გადაწყვეტდა.

არავის უნდოდა მისი წასვლა. მან გვიჩვენა, რომ სრული გამოჯანსაღებით და თავდაუზოგავი ვარჯიშით აპირებდა დაბრუნებას. სიგარეტსაც კი დაანება თავი.



ახალი მწვრთნელი

ლუკა ჩემი ერთ-ერთი „ოქრო ბიჭი“ იყო. მე მოვიყვანე გუნდში. „ოქრო ბიჭი“ ჩემი ტერმინი იყო, ასე ვეძახდი იმ ფეხბურთელებს, რომელთა შეძენაც გადავწყვიტე და რომლებსაც „ჩელსის“ სამოსი ჩავაცვი.

გლენ ჰოდლის ადგილი რომ დავიჭირე, ვიფიქრე, დადგა დრო ჩემს ნაოცნებარს ფრთა შევასხა, ჩემი „ოქროს ბიჭები“ შევკრიბო-მეთქი.

ასე მოვძებნე ვიალი, რობერტო დი მატეო და ფრანკ ლებეფი.

ლუკა ჩემი პირველი შენაძენია. ლებეფის თამაში კასეტაზე ვნახე, მანამდე არც კი გამეგონა მისი სახელი. ორიოდ თვეში ძოლაც მოვიყვანე. ოთხივე ტრანსფერი იოლად გამომივიდა.

ვფიქრობ, არ ვიყავი ცუდი მენეჯერი და ბიჭებიც კარგი მყავდა. მე ტიტულზე ვოცნებობდი“.

**„მირორიდან“ გადმოაქართულა ირაკლი ბამყრელიძემ**

## საჭირბოროტო კითხვა-პასუხი

**— გავიგე, ამხანაგურებისთვის გიყურებია.**

— კაი ამხანაგურიც ეგ იყო. თუ თამაში ამხანაგურია, ფრედ უნდა დამთავრდეს.

**— რატომ?**

— აბა რა ამხანაგობაა, თუ მე მოგიგე...

**— ამხანაგური იმიტომ ჰქვია, რომ იმის მოგებით ვერაფერს მოიგებ.**

— აბა კანუ და მიოლერი ამხანაგები არიან?

**— ეგ რა შუაშია?**

— თუ ამხანაგები არ არიან, როგორ ითამაშებენ ამხანაგურად?

**— ეგრე არ შეიძლება. შეკითხვები მე უნდა დაგისვა.**

— დამისვი, ძმაო. შენ რაღაცეებს ამბობ და მე რა ვქნა?

**— კარგი. აბა რას ნიშნავს ამხანაგური თამაში?**

— ამხანაგური თამაში უმიზეზოდ დედის შეგინებას ნიშნავს. აი, პროსტო რო უთხრა კაცს, მე მაგარი ვარ, შენ ბითურიო.

**— ესე იგი, კარემბუს ამხანაგი არ ჰყავს?**

— კარემბუს და მთელ მაგ ბრიგადას ერთადერთი ამხანაგი ჰყავს — ჟან მარკ ბოსმანი. ოღონდ ახლა არავინ არ იცის სად არის.

**— სად არის?**

— ბოლოს დიმიტროვის სტადიონზე უნახავთ, გუნდში მიმიღეთო, იხვეწებოდა.

**— მათეუსს ჰყავს ამხანაგი?**

— მათეუსის ყველა ამხანაგი მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა. მათეუსს მარტო შვილიშვილები ჰყავს.

**— ამხანაგურებზეც მაგიტომ არ ეძახიან?**

— მე თუ მკითხავ, ეგეთ კაცს უნდა დაუძახო ამხანაგურ თამაშზე. აბა, ზიდანის შეწუხება იქნება?

**— რა მაგარია ეს გარი კელი, როგორ უნდოდა გატანა. არ მოგეწონა?**

— გაიტანდა კიდეც, ირლანდიურ წესს რომ არ შეეშალა ხელი.

**— რა წესია ეგეთი?**

— გოლი კომბინაციით არ უნდა გავიდეს, არამედ შემთხვევით. ეგ კიდევ სულ კომბინაციას ხლართავდა.

**— არგენტინამაც ამიტომ მოუგო?**

— აბა რა. მე მაინც კელი მირჩევნია ბატისტუტას.

**— რატომ?**

— აბა რა არის საინტერესო ბატისტუტას თამაშში? მოიქნევს — გაიტანს, მოიქნევს — გაიტანს. დიდი-დიდი, ძელს მოახვედროს. გარი კელი კიდევ მაღლა გააფრენს, დაბლა გააფრენს — სულ აცილებს. უფრო მიმზიდველია.

**— კასკარინოზე რაღას იტყვი? იმანაც ხომ მოარტყა ძელს?**

— კასკარინო უნდა ჩადგეს პარაგვაის ნაკრების კარში და პარაგვაი მსოფლიოს ჩემპიონი გახდება.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ შილავერს თავდასხმაში თამაშის საშუალება მიეცემა. გოლის გამტანი ხომ უნდა ჰყავდეს იმ პარაგვაის?

**— არ ჰყავს გოლის გამტანი?**

— კოსტაკურტა ჰყავს, მაგრამ ყოველთვის იტალიას ხომ არ შეხვდება?

**— ამერიკამ რომ მოუგო ავსტრიას, ამაზე რაღას იტყვი?**

— კალათბურთი რომ ყოფილიყო, არ გამიკვირდებოდა. არც იმ თამაშში იყო რაიმე ამხანაგური.

**— ჰოდლიც გახარებული ყოფილა, ბოლოს და ბოლოს მოვიგეთო.**

— აი, გულზე ხელი დაიდე და ისე მითხარი, ინსი ეთამაშება ვინმეს ამხანაგურად?

**— რატომ მეკითხები?**

— ეჰ, დასუსტდა რუსეთი.

**— კი, თურქებთან გაუჭირდა.**

— მაგას არ გეუბნები. ინსის არსებობა რომ იცოდნენ, ხომ გაუშვებდნენ ჩეჩნეთში? ერთ დღეში აიღებდა.

**— ესე იგი, ინსის მეშვეობით მსოფლიოს ჩემპიონიც გახდება კაცი.**

— ეჰ, ფეხბურთი რომ ომი იყოს, კი. მაგრამ ორტეგასნაირი რომ დაგეჩითება, რაღა ომზეა ლაპარაკი? სულ იმის ცდაშია, როგორ მოგატყუოს.

**— და გაზა?**

— რა გაზა?

**— გაზა რატომ არ თამაშობს ამხანაგურად?**

— გაზას ხომ დაავიწყდა?

**— რა?**

— რომ ფეხბურთელია.

**— შირერს გაახსენდა და გაზას დაავიწყდა?**

— შირერს დავიწყებული ჰქონდა, რომ სხვაც ფეხბურთელია და ახლა გაახსენდა, რომ თვითონაც ფეხბურთელია.

### ირლანდია 0:2 არგენტინა

ირლანდია: გივენი (ალან კელი 46), კენა (დელაპ 75), სტონტონი, კერსლი, ბრინი, მარტვ (მები 46), კინსელა, გარი კელი, ქუინი, კინი, კილბეინი (ირვინი 46)

არგენტინა: ბურგოსი, აიალა, ვივასი, სენსინი, ალმეიდა, ლოპესი (დელგადო 83), სიმეონე, ბატისტუტა, ორტეგა, ვერტი (პინედა 62), ვერონი

0:1 ბატისტუტა (28), 0:2 ორტეგა (40)

მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეებმა „ლენსდაინ როუდზე" ადვილად დაამარცხეს მასპინძლები. პირველი გოლი „ფიორენტინას" მეგოლემ, ბატისტუტამ შეაგდო 28-ე წუთზე. ეს ბატიგოლის 38-ე ბურთი იყო ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ნათამაშევი 54 მატჩიდან. მეორე გოლი, რომელიც ტაიმის მიწურულს ორტეგამ გაიტანა, შესანიშნავი გამოდგა. „ეს გოლი მართლაც დიდებული რამ იყო" — თქვა მატჩის შემდეგ ირლანდიელთა მთავარმა მწვრთნელმა მიკ მაკარტიმ.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გამარჯვება არგენტინელთათვის მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ წინა კვირაში 10-კაციან ისრაელთან 1:2 მარცხის შემდეგ. ოთხშაბათს ისინი ბრაზილიას ეთამაშებიან.

### ბელგია 1:1 რუმინეთი

ბელგია: დე ვილდე, დე ბრული (კრასონი 46), ვან მეიერი (დე ბუკი 46), ვერსტრაეტენი (ვერმეიენი 57), ვან კერკჰოვენი, კლემენტი, ფრენკი ვან დერ ელსტი, ვილმოტსი, ბოფინი, ნილისი (ლოკანდა მპენზა 87), ოლივეირა (გუსენსი 70)

რუმინეთი: სტელია, პეტრესკუ, პროდანი, დობოში, გალცა (დულცა 89), გაბრიელ პოპესკუ, ფილიპესკუ, მუნტეანუ, მოლდოვანი (ნიკოლესკუ 79), ჰაჯი (სერბანი 75), ილიე (სელიმეში 60)

0:1 მოლდოვანი (45), 1:1 ნილისი (77)

ბელგიელებს ფრე ლუკ ნილისის 77-ე წუთზე გატანილმა გოლმა მოუტანა. რუმინელები ტექნიკურად უკეთეს ფეხბურთს თამაშობდნენ, მაგრამ არც უხეშობას ერიდებოდნენ. ხუთ ყვითელ ბარათს ანტონ დობოშის გაძევებაც დაემატა და იძულებულნი გახდნენ, მთელი მეორე ნახევარი 10 კაცით ჩაემთავრებინათ. ისე, მატჩი საკმაოდ ულიმღამო გამოდგა და მხოლოდ ბოლო 15 წუთში გამოცოცხლდა, როცა ბელგიელებმა რიცხობრივი უპირატესობა ბოლოსდაბოლოს გოლად აქციეს.

იმ საღამოს მოთამაშეებს შორის ხელჩართული შეტაკების საშიშროებაც შეიქმნა.

„მსურს, ბოდიში მოვუხადო ჩემს კოლეგას ლეეკენსს მისი რამდენიმე მოთამაშის დაშავების გამო" — თქვა რუმინელთა მწვრთნელმა ანგელ იორდანესკუმ.

### ბულგარეთი 2:1 მაროკო

ბულგარეთი: ზდრავკოვი, კიშიშევი, იორდანოვი, პეტკოვი, ზაფიროვი, იანკოვი, ხრისტოვი (ივანოვი 52), სტოილოვი, პენევი (პავლოვი 79), ილიევი, გრუევი (ნანკოვი 61)

მაროკო: ბენზაკრი, საბერი, ელ ჰადრიოი, ნეყროიზი (ლარუში 46), ნაიბეტი, შიბა, ოაკილი (რედა 71), ბოუნოუა (როკი 46), ბასირი, ხიპო, ხელამი (ირინდოუ 46)

1:0 პენევი (103), 2:0 სტოილოვი (79), 2:1 ბასირი (80)

ბულგარეთის ნაკრებმა აჩვენა, რომ მას მოგება მსოფლიოს წინა ჩემპიონატის გმირების გარეშეც შეუძლია. მასპინძელთათვის ეს გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანი იყო არგენტინასთან და მაკედონიასთან დამარცხების შემდეგ.

„წამყვანი ფეხბურთელების ტრავმების გამო იძულებული გავხდი, ახალი გადაწყვეტილებები მიმეღო და მიხარია, რომ ახალგაზრდებმა გამიმართლეს" — ბულგარელთა თავკაცი ხრისტო ბონევი მატჩის შემდეგ აშკარად კმაყოფილი ჩანდა. ხრისტო სტოიჩკოვმა თეძოს ტრავმის გამო თამაშს ტრიბუნიდან ადევნა თვალი. ასევე ტრავმის გამო არ იყო ბალაკოვიც.

### ხორვატია 4:1 პოლონეთი

ხორვატია: ლადიჩი (მრმიჩი 46), რუკავინა (ტომასი 59), იარნი (კრზნარი 46), სტიმაჩი (სიმიჩი 46), იურიჩი (მამიჩი 46), შილიჩი (ტუდორი 72), ასანოვიჩი (ვლაოვიჩი 46), შუკერი (კოზნიკუ 82), ბობანი (იურჩიჩი 64), ბოკშიჩი (ცვიტანოვიჩი 65), სტანიჩი (მარიჩი 64)

პოლონეთი: მატისეკი, ვალდოხი (ბუკალსკი 71), ჰაიტო, პატაიჩიკი, კოზმინსკი, ზელინსკი, იოზვიაკი (ლედვონი 63), ხვიერჩევსკი, მიელჩარსკი (ტრზეჩიაკი 50), კოვალჩიკი (კულაიკი 80), ივანი

1:0 ბობანი (6), 2:0, 3:0 სტანიჩი (21, 42), 4:0 ბოკშიჩი (47), 4:1 რატაიჩიკი (67)

ხორვატებმა რისხვა დაატეხეს თავს პოლონელებს და მწვრთნელ მიროსლავ ბლაჟევიჩის ახალმა მიგნებამ, პარმელი სტანიჩი თავდასხმაში გაემწესებინა, აშკარა შედეგი გამოიღო.

ანგარიში მე-6 წუთზე ბობანმა გახსნა. ამის შემდეგ კი სტანიჩის დრო დადგა. 21-ე წუთზე მან ალენ ბოკშიჩის უზუსტესი პასით იხეირა, ხოლო 42-ზე ვეტერანი ასანოვიჩის გადაცემა ოთხიოდ მეტრიდან გაგზავნა კარში. მეორე ტაიმის მე-2 წუთზე ბოკშიჩმა დაასრულა პოლონელთა განადგურება.

პოლონელებმა სანუგეშო გოლი 67-ე წუთზე გაიტანეს: კრისტოფ რატაიჩიკმა დაახლოებით 25 მეტრიდან ზუსტად შეასრულა საჯარიმო დარტყმა.

# შოტლანდიას რა აქვს დასამალი?



REUTERS კითლინიდან

გერმანია — ნიგერია. ოკპარამ (მარცხნივ) მიოლერს წიხლი ჰკრა

ამ დროისთვის საწყისი შემადგენლობიდან ხორვატებს 9 ფეხბურთელი ჰყავდათ შეცვლილი.

პოლონელებს მატჩის მიწურულს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტიც ჰქონდათ, მაგრამ გოლკიპერმა მრმიჩმა ივარგა.

### ინგლისი 3:0 პორტუგალია

ინგლისი: სიმენი, გარი ნევილი (ფილ ნევილი 81), ადამსი, კემპბელი, ლე სო, ინსი, ბექჰემი (მერსონი 46), ბეტი, სქოულზი, შირერი, შერინგემი (ოუენი 77)

პორტუგალია: ბაია, ხავიერი, დიმაში (ბარბოსა 55), ხეევრო, კოუტუ, სოუზა (ოსვანუ 76), ფიგუ, ჟოაო პინტუ (კაპუჩო 68), სალადო, ხანტოსი, კადეტე

1:0 შირერი (5), 2:0 შერინგემი (46), 3:0 შირერი (65)

ინგლისმა პირველი ნახევარი ძალიან სუსტად ჩაატარა. შესარჩევ ტურნირში ასეთი თამაში რომ ეჩვენებინათ, მსოფლიოს ჩემპიონატზე, ალბათ, ვერც მოხვდებოდნენ. მართალია, მეორე ტაიმში გუნდი გარდაისახა და პორტუგალიის ძლიერ ნაკრებს 3 მშრალი გოლი გაუტანა, მაგრამ ამ თამაშმა საეჭვო გახადა ინგლისის ნაკრების პერსპექტივები მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზე.

ალან შირერის ორ გოლს ერთიც შერინგემმა დაამატა. პორტუგალიას ინგლისთან 1969 წლის შემდეგ არ წაუგია. მათ უფერული თამაშით შეწყვიტეს ეს სერია და მატჩიც 10 კაცით დაამთავრეს. შეცვლაზე შესულმა კაპუჩომ 12 წუთი დაჰყო მოედანზე და მსაჯის გინებისათვის გააძევეს. ინგლისელთა მწვრთნელი გლენ ჰოდლი მატჩის შემდეგ კარგ ხასიათზე იყო:

„კმაყოფილი ვარ ბიჭების თამაშით, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, ბოლოს 5:0 მოგებაც კი შეგვეძლო. პორტუგალია კარგი გუნდია. ერთ-ერთი საუკეთესო მათგან, ვინც საფრანგეთში ვერ მოხვდა და მათ დღეს ძალიან დიდი პრობლემები შეგვიქმნეს".

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი 18 წლის მაიკ ოუენის გარღვევა იყო, რომელიც საჯარიმოში ბაიამ მოცელა, მაგრამ მსაჯმა პენალტის დანიშვნა არ ინება.

### შვედეთი 0:0 საფრანგეთი

შვედეთი: ჰედმანი, ლუკიჩი, პატრიკ ანდერსონი (მიოლბიუ 46), ბიორკლუნდი, კამარკი, შვარცი, ზეტერბერგი (დანიელ ანდერსონი 46), მილდი (პეტერსონი 76), ბლომკვისტი, ლარსონი, ანდრეას ანდერსონი

საფრანგეთი: ლამა, ლიზარაზუ, ტეტუ, ბლანი, დეშამპი (ვიეირა 67), ზიდანი (პირესი 46), ტურამი, ლამუში, კარუმბუ, ანელკა (ტრეზეგე 67), დიუგარი (ჯორკაეფი 46)

უფერული თამაში და უფერული ნულები ტაბლოზე — აი ყველაფერი, რაც შეიძლება ითქვას „რასუნდაზე" გამართულ წვიმიან მატჩზე.

„ყველაფრის მიუხედავად შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი იყო ახალგაზრდებისთვის, რათა გაეგოთ, თუ რას ნიშნავს მაღალ დონეზე თამაში" — იხტიბარს არ იტეხდა მატჩის შემდეგ ემე ჟაკე.

პირველ ტაიმში უნაყოფო შეტევების შემდეგ დიუგარი და ანელკა ჯორკაეფით და ტრეზეგეთი შეცვალეს, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო, ფრანგთა შეტევებს არაფერი დაეტყო. ეს მათმა მწვრთნელმაც აღიარა პრესკონფერენციაზე.

„ჩვენმა დაცვამ თავისი სიძლიერე აჩვენა და არც თავდასხმაში დავაკელით ხელი" — უფერული ნულოვანი ფრით შვედების თავკაცი სოდერბერგიც არ ჩანდა უკმაყოფილო.

### გერმანია 1:0 ნიგერია

გერმანია: კანი, ბაბელი, ტარნატი, ვიორნსი, ივერმიესი (როიტერი 46), ტონი, მიოლერი (ფრიინდი 80), ჰამანი, კირსტენი, ჰასლერი, ბირჰოფი

ნიგერია: შორონმუ (ვილი ოკპარა 46), ვესტი, კანუ, ოკეჩუკუ, ფინიდი (ბაბანგიდა 70), ადეპოჟუ (აკპობორი 73), ოკოჩა, ამოკაჩი (იკპება 46), ოლისე, პატრიკი, აიდე (გოდვინ ოკპარა 46)

1:0 მიოლერი (57)

გერმანელთა თავდასხმისა და ნახევარდაცვის შემაკავშირებლის ფუნქციები ამ საღამოს ტომას ჰესლერმა იტვირთა. მატჩის ერთადერთი გოლიც მისი გადაცემის შემდეგ გავიდა. 58-ე წუთზე ანდრეას მიოლერმა საჯარიმო მოედნის ხაზიდან ბურთი მიწაზე დაუშვებლად გადაგზავნა ნიგერიელთა კარში. ეს მიოლერის 28-ე გოლი იყო 77 შეხვედრაში.

ნიგერიელებმა კარგად დაიწყეს და პირველი 20 წუთის განმავლობაში სულ უტევდნენ, მაგრამ ოლივერ კანის კართან რამე სერიოზული მომენტი არ შეუქმნიათ.

შესვენების შემდეგ სტუმრები შესამჩნევად დაიღალნენ, რაც საბოლოო შედეგშიც აისახა.

— საწყის 20 წუთში პრობლემები გვქონდა, ჩვენს თამაშს ვერაფრით მივაგენით, მაგრამ შემდეგ, ვფიქრობ, გამოვასწორეთ და სამართლიანად გავიმარჯვეთ. საბოლოო ჯამში ჩემი ბიჭებით კმაყოფილი ვარ. ჩვენ ხომ ძალიან ძლიერი გუნდი დავამარცხეთ. ანგარიში 2:0-იც კი შეიძლებოდა ყოფილიყო — ფოგტსის შეფასება, როგორც ყოველთვის, გაწონასწორებული იყო.

— თავს არ ვიმართლებ, მაგრამ ჩვენ ცოტა დრო გვქონდა ნაყოფიერი მუშაობისთვის — ეს „არწივების" მწვრთნელის ბორა მილუტინოვიჩის სიტყვებია.

რაც შეეხება კლინსმანის მოედანზე არყოფნას, იგი ფოგტსმა ახალი ტაქტიკური მინახზით ახსნა, თუმცა დაადასტურა, რომ იურგენი ნაკრების კაპიტნად რჩება.

### იტალია 3:1 პარაგვაი

იტალია: პერუცი (ბუფონი 46), კანავარო, ნესტა (სარტორი 50) კოსტაკურტა, მალდინი, მორიერო, დ.ბაჯო, დი მატეო (დი ბიაჯო 46), ალბერტინი, დელ პიერო (რავანელი 74), ვიერი (კაზირაგი 55)

პარაგვაი: ჩილავერი, სარაბია, გამარა, აკუნია, როხასი, ბენიტესი, ენკისო, აგილერა (ბრისუელა 46), რამირესი (ვერგოსი 75), კანისა, არსე

1:0 მალდინი (4), 2:0 მორიერო (17), 2:1 კოსტაკურტა (57 ს.კ.), 3:1 მორიერო (60)

„ინტერის" ფრანჩესკო მორიერომ ნაკრებში თავისი დებიუტი ბრწყინვალე თამაშითა და ორი გოლით აღნიშნა.

ანგარიში მე-5 წუთზე პაოლო მალდინიმ გახსნა, რითაც ძლიერ ასიამოვნა მწვრთნელ მალდინის, მაგრამ ამ საღამოს მთავარი გმირი მაინც მორიერო იყო. მე-18 წუთზე მისი დარტყმული „მაკრატელა" მართლაც თამაშის მშვენება გახლდათ.

მეორე ნახევარში პარაგვაელებმა თამაში გამოასწორეს და უკვე 57-ე წუთზე ალესანდრო კოსტაკურტას თავური დარტყმით დაალაშქრინეს საკუთარი კარი შეცვლაზე შესული ჯანლუიჯი ბუფონის კარი, თუმცა სამიოდ წუთში მორეირომ დამსხვრია პარაგვაელთა იმედები, მატჩი ფრედ დასრულებულიყო. 25 მეტრიდან მისმა უძლიერესმა დარტყმამ იტალიელებს გამარჯვება მოუტანა, ხოლო ჩეზარე მალდინის ალბათ, საბოლოოდ გაუფანტა ეჭვები მორიეროს საფრანგეთში წაყვანის თაობაზე.

იმედი მაქვს, ბოლოს და ბოლოს დავიმსახურე საფრანგეთის ვიზა — თქვა მორიერომ მატჩის შემდეგ.

### დანია 0:2 ნორვეგია

დანია: შმეიხელი (კროგი 46), შონბერგი (იორგენსენი 82), რიპერი, ჰოგი, ჰაინცე, ჰელვეგი, ალან ნილსენი (ვიეგჰორსტი 60), ფრანდსენი (კოლდინგი 70), სანდი, მიქაელ ლაუდრუპი, ბრაიან ლაუდრუპი

ნორვეგია: გროდასი (მიჰრე 60), სტეინარ ნილსენი, ეგენი, ბერგი, როჯერ ნილსენი (ბიორნებუ 45), ჰავარდ ფლო (რისეტი 80), სოლბაკენი, ლეონარდსენი, ტორე ანდრე ფლო, რეკდალი (ჰესტადი 72), სტრანდლი

0:1 ლეონარდსენი (26), 0:2 ტორე ანდრე ფლო (58)

ჩვენმა მომავალმა მეტოქემ გასვლით მატჩში მეზობელი დანია დაამარცხა. 26-ე წუთზე ბრემენის „ვერდერში" მოთამაშე ჰავარდ ფლომ მახვილგონივრულად დაუგდო თავით ოივინდ ლეონარდსენს და „ლივერპულის" ნახევარმცველმაც უშეცდომოდ დაურტყა შმაიხელს. 58-ე წუთზე უკვე შმაიხელის შემცვლელი მორგენს კროგი იყო უძლური ჰავარდ ფლოს ბიძაშვილის ტორე ანდრე ფლოს თავურის წინაშე.

— ნორვეგიელთა თავდამსხმელებმა პრობლემები შეგვიქმნეს ჰაერში. ისინი უზომოდ ძლიერნი არიან მეორე სართულზე თამაშში — დანიელთა მთავარ მწვრთნელ ბო იონაჰსონის სიტყვების გათვალისწინება სამომავლოდ არც ჩვენი ფეხბურთელებისთვის იქნება ურიგო.

დანიელებმა კარგად დაიწყეს, მაგრამ მათი შეტევები ზედმეტად იყო კონცენტრირებული ბრაიან ლაუდრუპზე. რეინჯერსის თავდამსხმელმა მაინც მოახერხა რამდენიმე სახიფათო მომენტის შექმნა, მაგრამ ნორვეგიელთა ორივე გოლკიპერი — ძირითადი ფროდე გროდასი და მე-60 წუთზე შეცვლაზე შესული ტომას მაირე კარგად ირჯებოდნენ და ლაუდრუპსა და მის თანაგუნდელებს შანსი არ დაუტოვეს.

— რამდენიმე კარგი კომბინაცია ვერ გამოვიყენეთ — თქვა იოჰანსონმა და დაამატა, რომ მისი გუნდი აშკარად მოიკოჭლებდა ნახევარდაცვაში.

ნორვეგიას ყურადღება გრძელ პასებზე ჰქონდა გადატანილი, რეაქტიული თავდამსხმელების იმედად იყო, თუმცა ფლანგებზე ხშირად ექმნებოდა პრობლემები.

— კმაყოფილნი ვართ, რომ შევძელით დანიელთა დამარცხება სტუმრად, მაგრამ ეს ჩვენთვის არ იყო დიდი მატჩი. ფაქტობრივად, გაგვიმართლა და ალტაცების საბაბი სულაც არა მაქვს — თქვა ოლსენმა.

ლაუდრუპი თვლის, რომ ეს მარცხი დანიელი გულშემატკივრების იმედებს გააქარწყლებს — 3:0 რომ მოგვეგო, ხალხი ჩვენს ჩემპიონობას ირწმუნებდა, ახლა კი მათ მცირედი დარჩათ სანუგეშოდ.

### რუსეთი 1:0 თურქეთი

რუსეთი: ფილიმონოვი, ხლესტოვი, ნიკიფოროვი (არიფულინი 76), ჩუგაინოვი, იანოვსკი (ხოხლოვი 45), ონოპკო (კოვტუნი 85), ალენიჩევი, ტიხონოვი (სემაკი 46), ციმბალარი (გერასიმენკო 45), იურანი (ზუბკო 59), ბესჩასტნიხი

თურქეთი: ენგინი, კორკმაზი, ფატიჰი, ჰაკანი, საფეტი, ტაიფური, ოკანი (იასინი 76), ტაიფუნი, ჰასანი, აკუაზი (უგური 74), აიჰანი

1:0 ბესჩასტნიხი (80)

რუსებმა განაგრძეს თავიანთი წაუგებელი სერია ამ სეზონში, თუმცა მათი თამაში, გამარჯვების მიუხედავად, მაღალ შეფასებას ნამდვილად არ იმსახურებდა.

### შოტლანდია 1:1 ფინეთი

შოტლანდია: ლეიტონი, ელიოტი (ვეირი 46), უაიტი, კალდერვუდი (დიური 70), ჰენდრი, დაილი (ბოიდი 85), გემილი (ლამბერტი 75), მაკინლი, ბუთი (დონელი 75), ჯეკსონი (გალაჰერი 46), კოლინზი

ფინეთი: ნიემი, ილონენი, ტუომელა (კინუნენი 65), ჰიპია, კოსკინენი, მალიო, რეინი (ტურპაინენი 46), ვალაკარი, სუმიალა (კოლკა 39), ლიტმანენი (რიჰილაჰტი 46), იოჰანსონი (ჰაატელაინენი 58)

0:1 იოჰანსონი (10), 1:1 ჯეკსონი (15)

მსოფლიოს ჩემპიონატზე შოტლანდიელებთან ერთად პირველ ჯგუფში მოხვედრილ მაროკოელებსა და ნორვეგიელებს დამკვირვებლები ჰყავდათ გაგზავნილი ამ თამაშზე, მაგრამ საეჭვოა, რომ მათ რაიმე ახალი და საგულისხმო შეეტყოთ.

ედინბურგში გათამაშებულ ფრეს კლასიკური ხრიკიც კი შეიძლება ეწოდოს შოტლანდიელთა შესრულებით. ალბათ, მართალი იყო ბრაზილიელთა მწვრთნელი მარიო ზაგალო, როცა ამბობდა, შოტლანდიელთა დაზვერვას აზრი არ ექნებაო.

ეს იყო შოტლანდიელთა ბოლო საშინაო მატჩი ჩემპიონატამდე. მაისში მათ ორი გასვლითი მატჩი აქვთ დაგეგმილი ამერიკისა და კოლუმბიის ნაკრებებთან.

### ავსტრია 0:3 აშშ

ავსტრია: კონსელი (ვოლფარტი 46), ჩერნი (შოპი 57), შოტელი, ჰიდენი, პფეფერი (კოგლერი 46), მაელიხი, ვასტიჩი, კუხბაუერი, ოლსტერი (ჰაასი 46), ჰერცოგი (რაინმაიერი 57), პრილესინგი (ამერჰაუზერი 46)

აშშ: კელერი, ჰაიდუკი (ობრაიენი 80), პოპი, ბარნსი, დული, სტიუარტი (აგუსი 87), მეისონიუვი (რადოსავლიევიჩი 70), ვაგნერი (მაკბრაიდი 46), ჯონსი, დერინგი, რეინა

0:1 ჰაიდუკი (54), 0:2 მაკბრაიდი (89), 0:3 რეინა (90)

ამ გამარჯვებით ამერიკელმა ფეხბურთელებმა გააოგნეს ავსტრიელები.

— ეს იყო ჩვენი საუკეთესო მატჩი. ამჟამად გაცილებით უკეთ გამოვიყურებოდით, ვიდრე ბრაზილიასთან თამაშისას — ამერიკელთა მწვრთნელი სტივ სიმპსონი ბრაზილიელებთან 1:0 თებერვლის გამარჯვებას გულისხმობდა.

— ჩვენ მოვიგეთ არა იმიტომ, რომ ავსტრიელები თამაშობდნენ ცუდად, არამედ შეუდარებელნი ვიყავით და ყველა მოთამაშე ჩინებულად გაისარჯა — თქვა აშშ-ის ნაკრების თავკაცმა და დაამატა — თუ ჩემპიონატზეც ასე ვიასპარეზებთ, ვფიქრობ, ადვილად გავალთ ჯგუფიდან.

ეს იყო ავსტრიელთა ზედიზედ მეორე საშინაო მარცხი. წინა შეხვედრა მათ უნგრელებთან 2:3.

— პირველი გოლის შემდეგ ჩვენ ხელიდან გავუშვით თამაშის სადავეები — მატჩის შემდეგ ავსტრიელთა მთავარი მწვრთნელი ჰერბერტ პროჰაზკა სრულიად გაოგნებული იყო — ბევრი ჩვენი მოთამაშე შორსაა საუკეთესო ფორმისგან, თუ ისინი სრულ მზადყოფნაში არ იქნებიან, ქულასაც ვერ ავიღებთ საფრანგეთში.

### იუგოსლავია 3:1 კორეა

იუგოსლავია: ლეკოვიჩი, მირკოვიჩი, ნადი, იოკანოვიჩი, საველიჩი, სტანკოვიჩი (გოვედარიცა 68), იუგოვიჩი (სტევიჩი 45), სავიჩევიჩი (კოვაჩევიჩი 45), დრობნიაკი (ოგნიენოვიჩი 58), სტოიკოვიჩი, მიხაილოვიჩი

კორეა: კიმ ბუნგ ი, ჩოი სუნგ იონგ, ლი კი ჰუინგ, იუ სანგ ჩუი, კიმ დო კეუნ (იუნ იონგ ჰვან 83), ჩოი იონგ სუ (პარკ კუნ ჰა 72), სეო იუნგ ვონ, ლი სანგ იუნ, ჰვანგ სუნ ჰონგ, იანგ დაე ილ (ლი მინგ სუნგ 66), იანგ ჰუინგ სეოკ

0:1 ჰვანგ სუნ ჰონგ (14), 1:1, 2:1 სტანკოვიჩი (46, 57), 3:1 იოკანოვიჩი (63)

19 წლის დეიან სტანკოვიჩმა ნაკრებში დებიუტი ორი გოლით აღნიშნა. მან ბრწყინვალე თამაშით მეტოქის კართან შექმნა ის სიმწვავე, რომელიც თითქოს უნდა ჰკლებოდა იუგოსლავიის ნაკრებს — ამ დღეს ხომ ორი პირველხარისხოვანი თავდამსხმელი — პრედრაგ მიატოვიჩი და სავო მილოშევიჩი არ იყო მოედანზე.

— უფრო მეტი აგრესიულობა გვმართებს. ჩემი მოთამაშეები პირველ ტაიმში ბევრს არ დარბოდნენ — თქვა მატჩის შემდეგ სანტრაჩმა.

### სლოვენია 1:3 ჩეხეთი

სლოვენია: სიმეუნოვიჩი (ზოშკოვიჩი 61), კნავსი (პოლისაკი 61), ბულაიჩი (გალიჩი 32), მილანიჩი, ენგლარო, ჩეჰი, პავლინი (აჩიმოვიჩი 68), ნოვაკი, ზაჰოვიჩი, შილიაკი, რუდონია (ისტენიჩი 65)

ჩეხეთი: მაიერი, ვლჩეკი, ჰორნაკი, რეპკა, სუხოპარეკი (ლასოტა 46), ბეიბლი, გალაშეკი, ვონაშეკი, პობორსკი (ვაგნერი 70), ლოკვენცი, შმიცერი (ლუკეში 55)

1:0 ბულაიჩი (22), 1:1 შმიცერი (28), 1:2, 1:3 ლუკეში (58, 60)

### ჩილე 2:2 კოლუმბია

1:0 მარგასი (21), 1:1, 1:2 პრესიადო (79, 82), 2:2 სალასი (84)

77-ე წუთზე მარსელო სალას კიდევ ერთი გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ კოლუმბიელმა მეკარემ პენალტი მოიგერია.

**ირაკლი ხმელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარჩა FRANCE 98 45 დღე

# ფეხბურთის დროშით

## ბრაზილია

ბრაზილიელი ფორვარდი მიულერი მარიო ზაგალომ ოთხშაბათს რიო დე ჟანეიროში, არგენტინასთან სათამაშოდ არ გამოიძახა, რაც იმას ნიშნავს, რომ მიულერს მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლის შანსი ფაქტობრივად არ აქვს.

მიულერს 1994 წლის შემდეგ ეროვნულ გუნდში ერთადერთი შეხვედრა აქვს ჩატარებული. სწორედ ეს ფაქტი გამოდგა ზაგალოს განწყობის განმსაზღვრელი. ფეხბურთელი, რომელსაც ამხანაგური მატჩებიც კი არ ჩაუტარებია, მსოფლიოს ჩემპიონატზე როგორ წავიყვანოო — ამბობს მწვრთნელი.

ზაგალო საფრანგეთში წასაყვანთა ვინაობას საზოგადოებას 5 მაისს გააცნობს. მანამდე კი ამხანაგური შეხვედრა აღარ იქნება.

არადა მიულერი თავის კლუბში, „სანტოსში" საუცხოოდ თამაშობს და ბუნებრივია, ნაკრებში მიწვევის პრეტენზია აქვს. მეორე მხრივ, ყველას კარგად ახსოვს, რომ ნაკრებში ყოფნისას თავდამსხმელი სანიმუშო ყოფაქცევით არ გამოირჩეოდა.

ბოლო თვეებში საგრძნობლად გამოცოცხლდა „ვასკუ და გამას" 36 წლის მცველი მაურო გალვაოც, მაგრამ ზაგალოს არც ის მოუდის თვალში. სხვა სიურპრიზები არ ყოფილა, მწვრთნელმა არგენტინელების წინააღმდეგ დაცემულ ბანაკში შინ მოთამაშე 11 ფეხბურთელს უხმო.

— მიულერი და მაურო გალვაო ბრწყინვალე ფეხბურთელები არიან, მაგრამ ნაკრებში ვერ მოხვდნენ. ბრაზილიაში იმდენი კარგი მოთამაშეა, რომ ვიღაც ყოველთვის გარეთ დარჩება — თქვა ზაგალომ.

შეხვედრა არგენტინის წინააღმდეგ ისტორიულ „მარაკანაზე" გაიმართება, სადაც ბრაზილიის ნაკრებს 1993 წლის სექტემბრის, ურუგვაისთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის მერე არ უთამაშია.

რაც შეეხება მეტოქეთა ურთიერთდაპირისპირებას, იგი 1995 წლის მერე არ შემდგარა. მაშინ, ბუენოს აირესში, ამხანაგურ შეხვედრაშიც ბრაზილიამ იმარჯვა და იმავე წელიწადს, კოპა ამერიკაზე 2:2-ის მერე პენალტებით მანვე გაიკაფა გზა ნახევარფინალისკენ.

მეკარეები: კარლოს ჟერმანო (ვასკუ და გამა), ტაფარელი (ატლეტიკო მინეირო); მცველები: ალდაირი და კაფუ (რომა, იტალია), რობერტო კარლოსი (რეალი, ესპანეთი), ზე რობერტო და ჟუნიორ ბაიანო (ფლამენგო), გონსალვეში (ბოტაფოგო), ზე კარლოსი (სან პაულუ), კლებერი (პალმეირასი); ნახევარმცველები: სეზარ სამპაიო (ანა სატო კოგიო, იაპონია), დორივა (პორტუ, პორტუგალია), ფლავიო კონსეისაო (დეპორტივო ლა კორუნია, ესპანეთი), ლეონარდო (მილანი, იტალია), რაი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), ზე ელიასი (ინტერი, იტალია), დენილსონი (სან პაულუ), ზინიო (პალმეირასი); თავდამსხმელები: ედმუნდო (ფიორენტინა, იტალია), რონალდო (ინტერი, იტალია), რომარიო (ფლამენგო), ბებეტო (ბოტაფოგო).

# ო რევუარ, რაი

დღეს პარიზის „პარკ დე პრენსზე" ბრაზილიელი რაი ქომაგებს ემშვიდობება. იგი „პარი სენ ჟერმენიდან" სამშობლოში, „სან პაულუში" მიდის.

ვინ თქვა, რომ პარიზულმა კლუბმა ამ სეზონის პროგრამა ამოწურა? 2 მაისს „სტად დე ფრანსზე" საფრანგეთის თასის ფინალია „პარი სენ ჟერმენი" — „ლანსი", 9 მაისს კი ჩემპიონატის ბოლო შეხვედრა „შატორუ" — „პარი სენ ჟერმენი", მაგრამ პრინცთა პარკის საზოგადოება „მონაკოსთან" თამაშის შემდეგ კაპიტანს ველარ იხილავს ჩვეულ გარემოში.

— სანამ „პარი სენ ჟერმენთან" გავაფორმებდი კონტრაქტს, „პარკ დე პრენსი" უკვე მიყვარდა. აქ ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში მქონდა ნათამაშევი და გოლი გატანილი. შემდეგ, რომ გადმოვბარგდი, ცუდ ფორმაში გახლდით და გულშემატკივრები ამრეზით მიყურებდნენ, მაგრამ თანდათან მათი გულები მოვიგე — ამბობს 33 წლის მსოფლიო ჩემპიონი.

1994 წელს „პარი სენ ჟერმენი" საფრანგეთის ჩემპიონი გახდა და ამაში რაის წვლილი ერთობ დიდი იყო.

1995-ში გუნდმა ქვეყნისა და ლიგის თასები მოიგო. რაიმ კვლავ დიდი ჭაპანი გასწია.

1996 წელს „პარი სენ ჟერმენი" ევროპის თასების მფლობელთა თასს ეუფლება.

— აქ „პარკ დე პრენსზე" სამი დიდებული საღამო მქონდა: 1995 წელს ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალური მატჩი „ბარსელონასთან", 1996 წელს თასების თასის ნახევარფინალი „პარმას" წინააღმდეგ და რა თქმა უნდა გასული აგვისტოს შეხვედრა „სტიაუასთან". ეს მატჩები არასდროს დამავიწყდება.

რა გახსენება უნდა. „სტიაუას" ჩემპიონთა თასის წინასწარი ეტაპის პირველ მატჩში „პარი სენ ჟერმენთან" 3:0 მოგება ჩაუთვალეს, რადგან პარიზელებმა შეცდომით, დისკვალიფიცირებული ლორან ფურნიე ათამაშეს. საპასუხო მატჩი პრინცების პარკზე შედგა. 5:0, ასეთი იყო მისი შედეგი. რაიმ ხუთიდან სამი გაიტანა.

რაი სოუზა ვიერია დე ოლივეირა „პარი სენ ჟერმენში" 1997 წელს სწორედ იმ „სან პაულუდან" გადავიდა, რომლის შემადგენლობაშიც 1992 წელს „კოპა ლიბერტადორესი" და საკონტინენტთაშორისო თასები მოიპოვა და რომელშიც ახლა ბრუნდება. 1998 წელს მას კვლავ შეუძლია ორი ფრანგული თასით დაიმშვენოს ჯილდოთა კოლექცია.

მაგრამ „პარკ დე პრენსზე" დღეს ბოლო თამაშია.

თუმცა რატომ? განა გამორიცხულია, რომ რაი ბრაზილიის ნაკრებში აიყვანონ და მსოფლიოს ჩემპიონატში მიაღებინონ მონაწილეობა? და განა ბრაზილია ჯგუფურ ეტაპს ვერ დაძლევს? ჰოდა, თუ ყველაფერი ასე მოხდა, 27 ივნისს განა სწორედ „პარკ დე პრენსზე" არ მოუწევს თამაში?

მომავალ კვირაში ბრაზილია ამხანაგურ შეხვედრას მართავს არგენტინასთან. რაი ყველა ღონეს იხმარს, რათა მწვრთნელს, მარიო ზაგალოს თავი მოაწონოს და მაშინ...

ნახვამდის რაი, იტყვიან ამ საღამოს პარიზელები — ო რევუარ 27 ივნისამდე.

## ჰოლანდია

**ბრედა 1:3 ვიტესი**
0:1 ჩუროვიჩი (13), 1:1 ბოგდანოვიჩი (37), 1:2 ჩუროვიჩი (61), 1:3 მახლასი (75)

**სიტარდი 1:2 ეინდჰოვენი**
0:1 ბრუგინკი (11), 1:1 ჯეფრი (24), 1:2 ბრუგინკი (52)

**ფეიენოორდი 1:0 როდა**
1:0 ვოში (54)

**ტვენტე 3:1 ჰერენვენი**
1:0 დე ვიტი (6), 1:1 გუსატუ (18), 2:1 სტეინმანი (70), 3:1 აბენშუისი (90)

**აიაქსი 6:1 ტილბურგი**
1:0 ბაბანგიდა (18), 2:0, 3:0 რ. დე ბური (29, 37), 4:0, 5:0 არველაძე (35, 44), 6:0 მაკართი (73), 6:1 ვიეპარდი (80)

**ვოლენდამი 1:2 მაასტრიხტი**
0:1 ტაივო (15), 1:1 ლიფლანგი (32), 1:2 ემერსონი (68)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 31 | 28 | 2 | 1 | 103:17 | 86 |
| ეინდჰოვენი | 31 | 20 | 8 | 3 | 86:36 | 68 |
| ვიტესი | 31 | 18 | 7 | 6 | 78:46 | 61 |
| ფეიენოორდი | 31 | 18 | 6 | 7 | 58:33 | 60 |
| ტილბურგი | 31 | 15 | 4 | 12 | 57:53 | 49 |
| ჰერენვენი | 30 | 14 | 6 | 10 | 49:51 | 48 |
| სიტარდი | 31 | 13 | 5 | 13 | 45:49 | 44 |
| სპარტა | 31 | 10 | 10 | 11 | 49:53 | 40 |
| ტვენტე | 31 | 10 | 9 | 12 | 36:39 | 39 |
| ბრედა | 31 | 11 | 6 | 14 | 36:42 | 39 |
| უტრეხტი | 30 | 11 | 4 | 15 | 52:60 | 37 |
| გრააფსხაპი | 31 | 9 | 9 | 13 | 40:39 | 36 |
| ნაიმეგენი | 31 | 11 | 2 | 18 | 35:57 | 35 |
| როდა | 31 | 8 | 8 | 15 | 37:41 | 32 |
| მაასტრიხტი | 32 | 9 | 4 | 19 | 33:71 | 31 |
| ვალვაიკი | 31 | 8 | 6 | 17 | 44:63 | 30 |
| გრონინგენი | 31 | 6 | 10 | 15 | 38:57 | 28 |
| ვოლენდამი | 32 | 4 | 6 | 22 | 28:97 | 18 |

## გერმანია

XXXII ტური

**ჰერტა 1:1 არმინია**
0:1 კუნცი (18), 1:1 სვერისონი (80)

**კაიზერი 3:2 გლადბახი**
0:1 ჰაუსვეილდერი (16), 0:2 პეტერსონი (43), 1:2, 2:2, 3:2 მარშალი (45, 60, 90)

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XXXII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 25 აპრილი | | | |
| ბოხუმი — კარლსრუე | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| კიოლნი — მიუნხენი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| შალკე — ვერდერი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| ჰამბურგი — დუისბურგი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ჰანზა — შტუტგარტი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ვოლფსბურგი — დორტმუნდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 26 აპრილი | | | |
| ბაიერნი — ლევერკუზენი | 1,5 | 3,3 | 6,0 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XXX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 26 აპრილი | | | |
| აინტრახტი — მეპენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 3,0 |
| ლაიპციგი — ფიურტი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| კარლ ცაისი — უნტერჰახინგი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| კოტბუსი — ცვიკაუ | 1,2 | 5,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,9 |
| ნიურნბერგი — მაინცი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,9 |
| 27 აპრილი | | | |
| ფრაიბურგი — ზტ. პაული | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXXVI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 25 აპრილი | | | |
| ასტონ ვილა — ბოლტონი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ბარნსლი — არსენალი | 4,0 | 3,3 | 1,7 |
| ბლექბერნი — უიმბლდონი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ჩელსი — ლივერპული | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 26 აპრილი | | | |
| დერბი — ლესტერი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ევერტონი — შეფილდი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ლიდსი — ქოვენთრი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ტოტენჰემი — ნიუკასლი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ვესტ ჰემი — საუთჰემპტონი | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 27 აპრილი | | | |
| კრისტალი — მანჩესტერი | 5,6 | 4,0 | 1,4 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXXV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 25 აპრილი | | | |
| ბერი — იფსვიჩი | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| ჩარლტონი — ტრანმერი | 1,15 | 6,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ქრიუ — ბრედფორდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| სიტი — ქუინზ პარკი | 1,6 | 3,4 | 4,4 |
| ნორვიჩი — სვინდონი | 1,6 | 3,4 | 4,4 |
| 26 აპრილი | | | |
| ნოტინგემი — რედინგი | 1,15 | 6,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ოქსფორდი — ბირმინგემი | 3,8 | 3,1 | 1,8 |
| პორტსმუთი — ჰადერსფ. | 1,6 | 3,5 | 4,2 |
| შეფილდი — ვესტ ბრომი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| სანდერლენდი — სტოკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,9 |
| ვულვზი — სტოკპორტი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 25 აპრილი | | | |
| ნანტი — რენი | 1,9 | 3,2 | 3,3 |
| ბორდო — შატორუ | 1,3 | 4,2 | 7,0 |
| 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| გინგამი — ლე ავრი | 1,5 | 3,8 | 4,7 |
| ლანსი — ბასტია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,9 |
| ლიონი — კანი | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| მარსელი — სტრასბური | 1,6 | 3,5 | 4,2 |
| მონპელიე — ოსერი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| პსჟ — მონაკო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ტულუზი — მეცი | 4,0 | 3,0 | 1,8 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XXXI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 26 აპრილი | | | |
| ბარი — ვიჩენცა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ბრეშა — ბოლონია | 1,9 | 3,2 | 3,3 |
| ემპოლი — ლეჩე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| იუვენტუსი — ინტერი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ლაციო — პარმა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| მილანი — ნაპოლი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 4,0 |
| პიაჩენცა — ატალანტა | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| სამპდორია — ფიორენტინა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| უდინეზე — რომა | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXXI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 25 აპრილი | | | |
| რეჯინა — კალიარი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 26 აპრილი | | | |
| ლუკეზე — ფოჯა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| მონცა — ჯენოა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| პადოვა — პესკარა | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| პერუჯა — კიევო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| რავენა — ვენეცია | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| რეჯანა — დი სანგრო | 1,5 | 3,5 | 5,3 |
| სალერნიტანა — ანკონა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ტრევიზო — ტორინო | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| ვერონა — ფ. ანდრია | 1,6 | 3,1 | 5,3 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 25 აპრილი | | | |
| ბეტისი — მალიორკა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ესპანიოლი — ბარსელონა | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| 26 აპრილი | | | |
| კომპოსტელა — ვალენსია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სოსიედადი — დეპორტივო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| სალამანკა — სპორტინგი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ატლეტიკო — ტენერიფე | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| სარაგოსა — რასინგი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| მერიდა — რეალი | 3,6 | 3,2 | 1,8 |
| ოვიედო — ვალიადოლიდი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| სელტა — ბილბაო | 2,2 | 2,8 | 3,1 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XXXIX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 25-26 აპრილი | | | |
| ნუმანსია — ხაენი | 1,8 | 3,1 | 3,8 |
| ორენსე — ხერესი | 1,6 | 3,4 | 4,4 |
| ლეიდა — ელჩე | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| ლას პალმასი — ესტრემადურა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ეიბარი — ბადახოსი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| ალბასეტე — ლოგრონიესი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ტოლედო — სევილია | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| ვილიარეალი — ატლეტიკო B | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| რაიო ვალეკანო — ლეგანესი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ერკულესი — ალავესი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ოსასუნა — ლევანტე | 1,6 | 3,4 | 4,4 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XXXI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 25 აპრილი | | | |
| ვარზიმი — ბენფიკა | 3,2 | 3,1 | 2,0 |
| 26 აპრილი | | | |
| პორტუ — ბოავიშტა | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| ამადორა — გიმარაეში | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ლეცა — შავეში | 1,6 | 3,5 | 4,2 |
| კამპომაიორენსე — ფარენსე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| სეტუბალი — ბრაგა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ბელენენსეში — რიუ ავე | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 27 აპრილი | | | |
| აკადემიკა — სპორტინგი | 3,0 | 3,1 | 2,1 |

### რუსეთის ჩემპიონატი. IV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 25 აპრილი | | | |
| ჩერნომორეცი — როსტსელ. | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ზენიტი — შინიკი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ლოკომოტივი — როტორი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| დინამო — ტორპედო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ჟემჩუჟინა — ცსკა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ალანია — სპარტაკი | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| ურალანი — ტიუმენი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| კრილია — ბალტიკა | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი

| | | | |
|---|---|---|---|
| 25 აპრილი | | | |
| ჰერენვენი — სიტარდი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ნაიმეგენი — ბრედა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| როდა — სპარტა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 26 აპრილი | | | |
| გრააფსხაპი — ტვენტე | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| გრონინგენი — უტრეხტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ეინდჰოვენი — ფეიენოორდი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| ვალვაიკი — ტილბურგი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ვიტესი — აიაქსი | 4,0 | 3,0 | 1,8 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XXXI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 25 აპრილი | | | |
| ეკერენი — ვესტერლო | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| ლოკერენი — ჰარელბეკი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| შარლერუა — ბევერენი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| მუსკრონი — ანტვერპენი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| სტანდარდი — მოლენბეკი | 1,5 | 3,5 | 5,3 |
| გენტი — ლომელი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 26 აპრილი | | | |
| ანდერლეხტი — ბრიუგე | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| გენკი — ლიერსი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| აალსტი — სტ. ტრუიდენი | 1,9 | 3,0 | 3,5 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XXXIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 25 აპრილი | | | |
| სელტიკი — ჰიბერნიანი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| დანდი — სტ. ჯონსტონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ჰართსი — რეინჯერსი | 3,5 | 3,0 | 1,9 |
| კილმლარნოკი — აბერდინი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| მოზერველი — დანფერმლ. | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. XXXI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 25 აპრილი | | | |
| გრაცერი — რიდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ტიროლი — აუსტრია | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ლინცერი — ზალცბურგი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| რაპიდი — ადმირა | 1,2 | 5,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,9 |
| ლუსტენაუ — შტურმი | 4,2 | 3,5 | 1,6 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. XXXI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 25 აპრილი | | | |
| ლოზანა — ლუცერნი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| სიონი — გრასჰოპერი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| ციურიხი — სერვეტი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 26 აპრილი | | | |
| არაუ — სტ. გალენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XXXII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 25 აპრილი | | | |
| ისთანბული — ალთაი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 26 აპრილი | | | |
| ქარაბუქი — ტრაბზონი | 4,4 | 3,4 | 1,6 |
| გალათასარაი — ქაისერი | 1,1 | 6,5 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,3 | 3,8 |
| ფენერბახჩე — ბეშიქთაში | 1,6 | 3,3 | 4,7 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

## პლეი ოფი. პირველი წრე

# შსმნსაციოდ როგორ იძნმბა

### 23 აპრილი დასავლეთი

**იუტა 90:103 ჰიუსტონი**

**იუტა: სტოქტონი (12), ჰორნაჩეკი (12), კიფი (3), მელუნი (25), ფოსტერი (8), ეისლი (2), რასელი (9), ოსტერტაგი (4), ანდერსონი (5), კარი (9), მორისი (1)**

**ჰიუსტონი: მელოუნი (6), დრექსლერი (22), ბალარდი, უილისი (18), ოლაჯუონი (16), ბარკლი (12), ელი (12), პრაისი (12), ჯონსონი (5), ჯონსი**

პლეი ოფი ჯერ ხეირიანად არც დაწყებულა, რომ უკვე პირველი სენსაციაც მოხდა, რომლის ავტორიც „ჰიუსტონ როკიტსი“ გახლავთ. მერვე ნომრად განთესილმა ჰიუსტონმა, რომელმაც არცთუ სახარბიელოდ ჩაატარა რეგულარული ჩემპიონატი, სტუმრად სძლია დასავლეთში უძლიერეს „იუტა ჯაზს“, ვისი სოლტ ლეიკ სიტიში დამარცხებაც ბევრს მიუწვდომელად ესახება. ჰიუსტონმა შეძლო და მოედნის უპირატესობა წაართვა მეტოქეს. ამით მან შემდეგ ეტაპზე გასვლის სერიოზული განაცხადი გააკეთა. მასპინძლები თავიდანვე უგერგილოდ ირჯებოდნენ და პირველი ნახევარი 7 ქულის სხვაობით დათმეს, მესამე მეოთხედში კი გვარიანად შერცხვნენ — 14:28. ჰიუსტონში უკვე ზეიმობენ შემდეგ წრეში გასვლას. იუტაში კი იმედი ჯერ არ დაუკარგავთ: „ჯერ ყველაფერი არ დაგვიკარგავს, ჩვენ მაინც ჩვენსას შევეცდებით“ — თქვა იუტელთა თავკაცმა ჯერი სლოუნმა.

**ფინიქსი 96:102 სან ანტონიო**



დანკანმა კარგი თამაშით თავისიანებიც გაახარა და ნაკრების მწვრთნელიც

**ფინიქსი: კიდი (17), ჯონსონი (18), მაკლაუდი (8), მაკდაიესი (14), რობინსონი (8), უილიამსი (6), ბრაიანტი (15), სკოტი (10), ნეში**

**სან ანტონიო: ჯონსონი (22), ჯექსონი (9), დანკანი (32), რობინსონი (26), პერდიუ (7), დელ ნეგრო (4), უილიამსი (2), როუზი, პერსონი, გირი**

მეორე ტეხასურმა გუნდმა, სან ანტონიომაც მოახერხა, მეტოქისთვის მოედნის უპირატესობა გაექარწყლებინა, რაშიც ლომის წილი დაიდეს სტუმართა ლიდერებმა — დევიდ რობინსონმა და ტიმ დანკანმა. განსაკუთრებით ეს უკანასკნელია აღსანიშნი. ახალბედა სანანტონიოელმა თავის 32 ქულიდან 28 მეორე ნახევარში, აქედან 18 ბოლო მეოთხედში გაუხერხა თავისიანებს. მან პირწმინდად დაჩაგრა თავისი მეურვეები, ისევე როგორც „ადმირალმა“ დევიდ რობინსონმა, ვინც 26 ქულასთან ერთად 15 მოხსნა, 5 პასი, 5 დაფარება და 3 ჩაჭრა მიითვალა. არადა, მატჩის უმეტესი დრო ფინიქსისთვის ცუდს არაფერს მოასწავებდა. მასპინძელთა თავზე ცა ბოლო მეოთხედში მოიქუფრა. დანკანი და რობინსონი მოუხელთებელნი შეიქნენ და მეტოქესაც შავი დღე აყარეს. მათი მეშვეობით სტუმრებმა 8-ქულიანი ჩამორჩენა 6-ქულიან უპირატესობად აქციეს და გაცილებით გაიიოლეს მომდევნო წრეში მოხვედრის შანსი.

### აღმოსავლეთი

**ინდიანა 106:77 კლივლენდი**

**ინდიანა: ჯექსონი (9), მილერი (19), მულინი (20), დ. დევისი (12), სმიტს (10), როუზი (7), ა. დევისი (9), მაკკიი (5), ბესტი (7), ფოფი (5), ჰოიბერგი (3), ვესტი**

**კლივლენდი: ნაითი (3), პერსონი, ჰენდერსონი (8), კემპი (25), ილგაუსკასი (16), სურა (4), ანდერსონი (10), პოტაპენკო (5), ტომასი (2), ბრუკსი (2), სკოტი (2), ფერი**

შარშან პლეი ოფის მიღმა დარჩენილმა ინდიანამ ახალგაზრდულ კლივლენდს კარგი გაკვეთილი ჩაუტარა. ლარი ბერდის ბიჭებმა შავი დღე დააწიეს მაიკლ ფრატელოს „ლლაპებს“. კრის მულინმა და რეჯი მილერმა თავიდანვე დაიჭირეს თადარიგი. მულინმა პირველ ნახევარში სამი სამქულიანი ჩააგდო, რეჯი მილერმა კი 19-დან 11 ქულა გუნდს პირველ მეოთხედში გაუხერხა. მათი მეცადინეობით ინდიანამ პირველი ნახევარი 21 ქულის სხვაობით მოიგო და მერეც არ შეჩერებულა. სტუმართაგან მხოლოდ ორი კაცი ირჯებოდა. კემპმა და ილგაუსკასმა ყველაფერი გააკეთეს, რაც ხელეწიფებოდათ, დანარჩენები კი მხოლოდ დასეირნობდნენ მოედანზე.

**შარლოტი 97:87 ატლანტა**

**შარლოტი: უესლი (12), ფილზი (9), რაისი (34), მეისონი (10), დივაცი (12), კარი (9), რიდი (9), არმსტრონგი (2)**

**ატლანტა: ბლეილოკი (19), სმიტი (35), კორბინი, ჰენდერსონი (7), მუტომბო (10), ლეიტნერი (10), რეკასნერი (4), მილერი (2), ბრაუნი, ბერი**

შარლოტს 1995 წელს ჩიკაგოსთან გამარჯვების შემდეგ არ ეხეირა, და ახლა ნავსი გატეხა. მისმა მწვრთნელმა დეივ კოუენსმა პირველი პლეიოფური მატჩი მოიგო და გაახარა მთელი შარლოტი. შეხვედრა საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. დასაწყისში სტუმრები დაწინაურდნენ, მაგრამ შარლოტმა მყისვე სწრაფი შეტევებით უპასუხა და საკმაოდაც გაექცა მეტოქეს. კარგად მუშაობდა მასპინძელთა მთავარი იარაღი — გლენ რაისი, ვინც იმ დღეს 19 სროლიდან 15 ჩააგდო. მასპინძელთა ლიდერობამ ბოლო მეოთხედის შუამდე გასტანა. ატლანტამ, ბოლო მეოთხედის დაწყებამდე 69:75 რომ აგებდა, მეოთხედი 13:6 გაქცევით დაიწყო და მატჩის დამთავრებამდე 7,38 წუთით ადრე სმიტის ორქულიანით 82:81 დაწინაურდა, მაგრამ შარლოტი დროულად მოეგო გონს და მეტოქეს ასევე 10:2 გაქცევით უპასუხა. 2,23 წუთით ადრე მასპინძლები 91:84 იგებდნენ და დარჩენილი დრო მშვიდად ჩაამთავრეს.

**ირაკლი ფირაშვილი**

# ამერიკა ახალგაზრდებს ენდობა

ოთხშაბათს ლიგამ დაასახელა ის 12 კაცი, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ამერიკის ღირსებას დაიცავენ. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი ზაფხულში საბერძნეთის დედაქალაქ ათენში გაიმართება. ნაკრებში ძირითადად ახალგაზრდა კალათბურთელები არიან მიწვეულნი, რომელთა შორისაა სანანტონიოელი ახალბედა ტიმ დანკანი.

ამერიკის ნაკრების მაისურს მოირგებენ: ვინ ბეიკერი, გერი პეიტონი (ორივე სიეტლი), კევინ გარნეტი, ტომ გულიოტა (მინესოტა), ტერელ ბრენდონი (მილუოკი), ტიმ დანკანი (სან ანტონიო), ტიმ ჰარდევეი (მაიამი), გრანტ ჰილი (დეტროიტი), ალან ჰიუსტონი (ნიუ იორკი), კრისტიან ლეიტნერი (ატლანტა), გლენ რაისი (შარლოტი) და კრის უებერი (ვაშინგტონი). ნაკრებს სათავეში ჩაუდგება „ჰიუსტონ როკიტსის“ თავკაცი რუდი ტომიანოვიჩი. ტომიანოვიჩს დაეხმარებიან დელ ჰარისი (ლეიკერსი), მაიკ ჯერვისი (ვაშინგტონის უნივერსიტეტი) და ილინოისელ სტუდენტთა დამრიგებელი ლან კრუგერი.

# ეს მეექვსე პირველია

ხუთშაბათს, 23 აპრილს, გამოვლინდა 1997-98 წლების სეზონის პირველი ლაურეატი, საუკეთესო მეექვსე მოთამაშე. ეს ტიტული ფინიქსის თავდამსხმელ დენი მენინგს ერგო. მენინგმა სეზონში 70 მატჩი ჩაატარა და გუნდს საშუალოდ თამაშში 13,5 ქულით, 6,1 მოხსნით და 2,2 პასით დაეხმარა. მენინგს ხმა 116 ამომრჩევლიდან 57-მა მისცა. მეორე ადგილზე გავიდა ლეიკერსის 19 წლის ვუნდერკინდი კობი ბრაიანტი (31 ხმა), რომელმაც „ოლ სტარშიც“ ითამაშა და არცთუ ურიგოდ. მესამე ადგილი კი 21 ხმით სიეტლელმა დეილ ელისმა დაიკავა.

# კაცი საძეგლე და საძ[illegible]ლი

**პლეი ოფი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ამერიკულ, და არა მხოლოდ ამერიკულ, პროფესიულ სპორტში. აქაც ისეა, როგორც სხვაგან: ზოგი ფავორიტია, ზოგიც ვერა. ყურადღებას, ცხადია, ფავორიტები იპყრობენ და მათზე წერილებიც უპრიანია.**

პირველი „ინდიანა პეისერზი“ იყოს. იქნებ იკითხოთ, რატომ მაინც და მაინც ინდიანაო. მიზეზი ის გახლავთ, რომ ინდიანაპოლისში გატარებული რამდენიმე წლის მანძილზე ბევრი დაუვიწყარი საკალათბურთო სპექტაკლი მინახავს ინდიანელთა მონაწილეობით და რატომ გამემტყუნება, თუ ჩემი ფავორიტი ინდიანაა.

ინდიანაპოლისის ცენტრი, მარკეტ სტრიტ 300, ამერიკელთა თვალით, საკმაოდ მოძველებული სპორტული ნაგებობა „მარკეტ სკვერ არენა“, ისეთი მოძველებული, რომ გაისად, შემოდგომაზე, მისი დანგრევაა დაგეგმილი. ამ შენობის იერში თითქოს არაფერია ღირსშესანიშნავი, გარდა ერთისა: ფასადს ამშვენებს დაახლოებით 20 მეტრი სიმაღლის ფერადი სურათი, რომელზეც ინდიანას ერთადერთი სუპერვარსკვლავი — რეჯი მილერია გამოსახული. ერთადერთი-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ბევრ გუნდს, განსაკუთრებით კი მდიდრებს, 2-3 ჰყავთ ამნაირი, „ჩიკაგოს“ კი სულაც ოთხი.

ათიოდე წლის წინათ ინდიანამ იგი დრაფტში აიყვანა და ბევრის ქილიკიც დაიმსახურა. სპეციალისტებიც კი იმას ამბობდნენ, ეს გაჩხიკინებული და სუსტი ახალგაზრდა ნბა-ში თამაშის ფიზიკურ სტილს როგორ გაუძლებსო. რეჯიმ კი ყველას ნიშნი მოუგო და თანაც როგორ: მთელს კარიერაში ერთხელაც არ დაშავებულა მძიმედ, გამოირჩევა უჩვეულო სისწრაფით და საკმაოდ აგრესიულადაც თამაშობს. მაგრამ თუ რეჯი სუპერვარსკვლავია, ეს, უპირველესად, მისი ტყორცნების წყალობაცაა. ნბა-ში თამაშის ბედი ხანდახან ბოლო რამდენიმე წამზე ჰკიდია. მაგალითად, გუნდი რომელიც აგებს, ბოლო წამზე ერთი ზუსტი ტყორცნით შემოატრიალებს სათავისოდ თამაშის ბედს და ამით მეტოქეს უზომოდ ამწარებს. ნბა-ს ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება სხვა კალათბურთელი, რომელსაც უფრო მეტჯერ გაემწარებინოს მეტოქენი, ვიდრე რეჯი მილერს. მეტოქის ფსიქოლოგიურ დათრგუნვა-განადგურებაში იგი უბადლოა, ამ საქმეში იგი ნამდვილად ხელოვანია. ზოგჯერ, სამქულიანს რომ ჩააგდებს, მეტოქეებს, მოთამაშეებსაც და მწვრთნელებსაც, ისეთ დამცინავ-განმგმირავ მზერას შეავლებს ან ისეთ მწარე სიტყვას გადაუგდებს, რომ ისინი, გაცეცხლებულნი, „ამ თავხედის“ საცემრად იწევენ. მოთამაშეთა უმრავლესობის აზრით, იგი ამ საქმეში (ამერიკელები ამას „თრაშ თოქინგს“ ეძახიან) უდავო ჩემპიონია.

რადგან სამქულიანებზე ვთქვით, ერთიც უნდა გავიხსენოთ აუცილებლად: 13 აპრილს ჩიკაგოში რეჯიმ 1592-ე სამქულიანი ჩააგდო და ამ მაჩვენებლით ნბა-ს ისტორიაში პირველი გახდა.

მისი თამაში მით უფრო ეფექტური და აზარტულია, რაც უფრო ძლიერია მეტოქე და ვითარებაც უიმედო ჩანს. დასტურად ეს მაგალითი იყოს: 1995 წლის პლეი ოფის მეორე წრეში ინდიანა მოსისხლე ნიუ იორკს ხვდებოდა. პირველი მატჩი მეტოქეებმა ნიუ იორკში ითამაშეს და სირენამდე დაახლოებით ნახევარი წუთით ადრე ინდიანა თითქოს წასაგებად იყო განწირული. მაგრამ, რაც მერე მოხდა, მიმომხილველთა აზრით, ფენომენალური იყო და ამის გაკეთებას თვით მაიკლ ჯორდანიც კი ვერ შეძლებდა. რეჯი მილერმა 19 წამში თავისიანებს 8 ქულა და გამარჯვება მოუტანა, მერე კი, მოედანზე გამოცვენილ ჟურნალისტებს მეტოქე გუნდზე ისეთები უთხრა, ისეთი კომენტარით შეამკო, რომ უმალვე ნიუიორკელთათვის ყველაზე საძულველ პიროვნებად იქცა (მანამდე ეს პატივი, ვგონებ, ქალაქის მერს ჰქონდა).

რეჯის და მის თანაგუნდელებს სჯერათ, რომ პლეი ოფის პირველ ორ ეტაპს წარმატებით გაივლიან და აღმოსავლეთის ფინალში ჩიკაგოს შეეჯახებიან. მანამდეც, რეგულარული ჩემპიონატისას, მათთან თამაშს დიდი სიფრთხილით და ყურადღებით ეპყრობოდნენ. ოთხ შეხვედრაში



ორი წმინდანი: რეჯი და ლარი

ანგარიში საყაიმოა 2:2. თანაც ბოლო მატჩი 13 აპრილს ჩიკაგოში გაიმართა და ინდიანას გამარჯვებით 114:105 დასრულდა. ამ გამარჯვებით ინდიანელებმა ყველას დაუმტკიცეს, რომ მათ შეუძლიათ ეფექტურად დაიცვან თავი მაიკლ ჯორდანისგან (19 ტყორცნიდან 7 ჩაგდება) და ამ მრისხანე მეტოქის მისსავე მოედანზე ძლევის ძალა შესწევთ.



„მარკეტ სკვერ არენა“ რეჯი მილერით

1993 წელს მაიკლ ჯორდანმა კალათბურთს დროებით თავი რომ დაანება, ჟურნალისტებმა ჰკითხეს, ვინ გეგულებათ იმ მოთამაშედ, რომელიც თქვენი წასვლის შემდეგ თქვენს ამპლუაში (ე.წ. „შუთინგ გუარდი“) უძლიერესი იქნებაო. რეჯი მილერი — უპასუხა ჯორდანმა. ენამწარობის მიუხედავად მილერს არც თავმდაბლობა აკლია და არც ობიექტურობა. ერთხელ, როდესაც კალათბურთზე მწერლებმა იგი მაიკლ ჯორდანს შეადარეს, განაცხადა, ჩემთვის ისიც კი დიდი პატივია, მე და მაიკლს ერთად რომ გვახსენებენო.

ასეთი ზრდილ-თავაზიანნი ისინი მოედნის მიღმა არიან, თამაშისას კი... მილერი და ჯორდანი უმთავრესად ერთმანეთს მეურვეობენ და ფრიადაც ქიშპობენ. რამდენჯერმე თამაშისას უჩხუბიათ კიდეც (სხვათა შორის, ბოლო თამაშშიც). ასე რომ, თუ ეს ორი გუნდი პლეი ოფში მართლაც შეხვდა ერთმანეთს, ჟურნალისტების თქმისა არ იყოს, ეს ნამდვილად მესამე მსოფლიო ომი იქნება.

ნბა-ს ბევრი კლუბი ფინანსური შესაძლებლობების უდიდეს ნაწილს რამდენიმე წამყვან მოთამაშეს ახმარს, დანარჩენებზე კი, განსაკუთრებით, სათადარიგოებზე, იაფად გამოდის. ინდიანას ხელმძღვანელობა სხვანაირად მოიქცა. მათ გუნდი დაახლოებით თანაბარი კლასის კალათბურთელებით დააკომპლექტეს და ამიტომაც სათამაშო დროც და ფიზიკური დატვირთვაც ყველაზე თანაბრად ნაწილდება. და მაინც, კლასში თანაბრობის მიუხედავად, ინდიანას რამდენიმე მოთამაშე მაინც არის აღნიშვნის ღირსი.

თავდასხმის ცენტრში ჰოლანდიელი რიკ სმიტსი თამაშობს. ათლეტურობითა და ნიჭით ის ლეიკერსელ შაკილ ონილსა და სანანტონიოელ დევიდ რობინსონს თუ ჩამოუვარდება, მაგრამ მათზე საკმაოდ მაღალია (220 სმ) და ერთი უპირატესობაც აქვს: საშუალო მანძილიდან საკმაოდ ზუსტია, რაც ამ ამპლუის მოთამაშეებში დიდი იშვიათობაა.

მარკ ჯექსონი ინდიანას გამთამაშებელია. შარშანდელ სეზონში იგი საუკეთესო იყო შედეგიან გადაცემებში. წელს ის ამ მაჩვენებლით მესამე კი იყო, მაგრამ ეს უფრო ტაქტიკურმა ცვლილებებმა განაპირობა, ვიდრე მისი თამაშის დონის დაქვეითებამ. მათ, ვისაც საშუალება აქვს, თვალყური ადევნოს პლეი ოფს, ვურჩევ, დააკვირდეს ინდიანას მე-13 ნომრის თამაშს და პირობას ვაძლევ, დიდ სიამოვნებას მიიღებს.

ვისაც ბარსელონის ოლიმპიადაზე ამერიკელ ვარსკვლავთა გამოსვლა ახსოვს, ალბათ კრის მულინიც გაახსენდება. ეს ვეტერანი კალათბურთელი წლევანდელ სეზონში პირველი იყო საჯარიმო და მეორე 3-ქულიან ტყორცნებში.

დიახ, „ინდიანა პეისერზს“ მხოლოდ ერთი სუპერვარსკვლავი მოთამაშე ჰყავს, მაგრამ ამ „ორგანიზაციაში“ კიდევ ერთი სუპერვარსკვლავი, უფრო სწორად კი, ცოცხალი ლეგენდა მუშაობს.

1997 წლის ჩემპიონატში ინდიანა, ბოლო 7 წლის მანძილზე პირველად, პლეი ოფის მიღმა დარჩა. კლუბის პრეზიდენტმა დონ უოლშმა მაშინდელი მწვრთნელი დაითხოვა და ყველას გასაკვირად ამ საქმეში სავსებით გამოუცდელი ლარი ბერდი მიიწვია, თანაც ნბა-ს მწვრთნელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე ძვირი კონტრაქტიც გაუფორმა — 4,5 მილიონი დოლარი წელიწადში.

კალათბურთის სპეციალისტები ხშირად ამტკიცებენ, დიდი მოთამაშე დიდი მწვრთნელი ვერ გახდებაო. ამ შემთხვევაში ეს ვითომც კანონზომიერება დაირღვა. ლარი ბერდის ხელმძღვანელობით ინდიანა ნბა-ში საუკეთესო სეზონს ატარებს (58 მოგება) და ლარი წლის საუკეთესო მწვრთნელის წოდებაზეა წარდგენილი. როგორც მოთამაშე, ის ყველასგან განსხვავებული იყო და ახალი კარიერაც ასევე დაიწყო. მისი კოლეგების უმრავლესობა ვარჯიშისას მოთამაშეებს შეტევ და თავდასაცავ კომბინაციებს აზეპირებინებს, თამაშისას კი შეძახილით ან ხელით მინიშნებით მართავს გუნდის მოქმედებას. ლარი ბერდი ამჯობინებს, თამაშის ტაქტიკური ცოდნა მისცეს მოთამაშეებს და მოედანზე სწრაფი აზროვნება ასწავლოს. თამაშის მსვლელობაში ის თითქმის არ ერევა.

თვით კალათბურთელთა აზრით, ლარი შრომისმოყვარეობის უიშვიათესი ნიმუშია. გარჯა-საქმიანობის მისეული ყაიდის შესაცნობად ერთ ამბავს გავიხსენებ.

მოგეხსენებათ, ლარი ბერდი 3-ჯერ გახდა ნბა-ს ჩემპიონი „ბოსტონ სელტიქსის“ შემადგენლობაში. ერთხელაც, ამ ტიტულის მოპოვების ღამეს კლუბმა მოთამაშეებს ტრადიციული ბანკეტი გაუმართა. ლარი ბანკეტზე დიდხანს არ დარჩენილა. მოგვიანებით, ღამენათევმა და ნამთვრალევმა თანაგუნდელებმა ბერდი მოიკითხეს, შინ დაურეკეს და... სავარჯიშოდ წავიდაო, შეატყვეს. ფინალში გამარჯვების მეორე დღეს, დილის 5 საათზე ლარი ბერდი უკვე მომავალი ჩემპიონატისთვის იწყებდა მზადებას!

პროფესიული კალათბურთის სამყაროში ლარი ბერდს ერთი-ორი თუ შეედრება პოპულარობით. ინდიანაში კი ლამის წმინდანად ჰყავთ შერაცხული, რადგან იგი ამ შტატშია დაბადებული და გაზრდილი. ინდიანელებისთვის (ამერიკული სტანდარტებით, საკმაოდ კონსერვატიული ხალხისთვის) იგი ის თავისიანია, რომელმაც ცხოვრების მწვერვალს მიაღწია და მაინც ისეთი დარჩა, როგორიც იყო — შრომისმოყვარე, თავმდაბალი და პატიოსანი, ერთი სიტყვით, კაცი, რომელიც ფულმა და დიდებამ ვერ გარყვნა.

ჩემი აზრით, ბერდისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ გარკვეულწილად განაპირობა კალაპოტი და პათოსი იმ მოლაპარაკებისა, რომელიც კლუბის მფლობელებსა და ინდიანაპოლისის მერს შორის გაიმართა ახალი არენის თაობაზე.

ლარი ბერდის დანიშვნიდან რამდენიმე კვირა იყო გასული, ძველი არენის სიახლოვეს ახალი, 85 მილიონ დოლარად ღირებული „ინდიანა ფილდ ჰაუსის“ მშენებლობა რომ დაიწყო.

ვინ იცის, თუ პლე ოფში ყველაფერი კარგად აეწყო, იქნებ ახალ არენას ფერადი სურათის ნაცვლად რეჯი მილერის ძეგლი ამშვენებდეს. იქნებ ლარი ბერდისაც—

**რომან გიორგაძე**

# იტალიელები დაბრუნდნენ

## ზორან სავიჩი ევროლიგის ფინალური ტურნირის საუკეთესო მოთამაშეა

ბარსელონაში ევროლიგის ფინალურ მატჩში დასრულდა ბერძენთა ბატონობაა. ათენის აეკ-მა ვერ გააგრძელა ათენის „პანათინაიკოსისა" და პირეოსის „ოლიმპიაკოსის" გაკვალული გზა და დამარცხდა ბოლონიის „კინდერთან".

თავის მხრივ იტალიელები ევროკალათბურთის მწვერვალს დაუბრუნდნენ და ყველაფრიდან ჩანს, რომ კალათბურთი იტალიაში კვლავ აღმავლობის გზაზეაა. ამის დასტურია ის, რომ ევროპის უკანასკნელ ჩემპიონატში იტალიელები ვიცე-ჩემპიონები გახდნენ და წლევანდელ ევროთასების ფინალებში ერთბაშად ოთხი გუნდი გავიდა. მხოლოდ კაუნასის „ჟალგირისმა" არ დაუთმო მილანის „სტეფანელის" ევროთასზე, თორემ იტალიელები აბსოლუტურად საუკეთესო შედეგს მიაღწევდნენ.

ბერძენთა მწვრთნელ იანის იოანიდისს დიდი იმედი ჰქონდა თავისი გუნდისა. მით უმეტეს, ნახევარფინალის შემდეგ, სადაც აეკ-მა მეორე იტალიური კლუბი ტრევიზოს „ბენეტონი" დაამარცხა, მაგრამ ფინალში „კინდერმა" პრაქტიკულად არავითარი შანსი არ დაუტოვა ბერძნებს. მრავალი წელია, ევროლიგის ფინალი უკიდურესად დაცვითი სისტემით მიმდინარეობს. ამ დღეს იტალიელებმა ძალიან ძლიერი დაცვა დააყენეს, რომელსაც ბერძნებმა ვერაფერი მოუხერხეს. მათმა ამერიკელმა ლიდერმა ვილი ანდერსონმა მხოლოდ მატჩის ბოლოს დააღწია თავი ზორან სავიჩისა და აუგუსტო ბინელის მარწუხებს. იტალიელები უკვე პირველივე წუთზე 5:0 დაწინაურდნენ და პრაქტიკულად ახლოს არ მიუშვიათ ბერძნები — მთელი მატჩი 8-12 ქულით იყვნენ წინ. ბერძნებმა ანდერსონისა და კიდევ ერთი ამერიკელის ვიქტორ ალექსანდერის მეცადინეობით შეძლეს მატჩის დასასრულამდე სამი წუთით ადრე 4 ქულამდე დაეყვანათ სხვაობა 45:41, მაგრამ იტალიელთა იუგოსლაველმა ვარსკვლავებმა პრედრაგ დანილოვიჩმა და ზორან სავიჩმა მალევე გაზარდეს სხვაობა და საბოლოოდ აშკარა უპირატესობით დაამარცხეს მეტოქე 58:44. მცირე ანგარიშს ევროფინალებში შეჩვეულნი ვართ, მაგრამ ბერძნების მოპოვებული 44 ქულა სარეკორდოდ დაბალია. თანაც ამ 44 ქულიდან 34 ორმა ამერიკელმა შესძინა (ანდერსონი 21, ალექსანდერი — 13).

ზორან სავიჩი მეორე ახალგაზრდობას განიცდის. იგი აღიარეს ევროლიგის ფინალური ტურნირის ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ. სავიჩი იმდენად ქულებს არ აგროვებს, მაგრამ მართლაც ბრწყინვალეა დაცვაში. ისიც აღსანიშნავია, რომ სავიჩმა მესამედ მოიპოვა ევროლიგის თასი (ადრე ევროპის ჩემპიონთა თასი). წინა ორი ტიტული მას 89, 90 წლებში ხვდა წილად, როცა სპლიტის „იუგოპლასტიკაში" თამაშობდა.

ბარსელონაში უჩხუბრად არც ამ დღეს ჩაუვლია. ათენის აეკ-ისა და ბოლონიის „კინდერის" გულშემატკივრები ფინალს არ დაელოდნენ და მესამე ადგილისთვის გამართული მატჩის დროს, რომელიც ფინალის წინ მიმდინარეობდა, ერთმანეთს დაერივნენ და პოლიციას კვლავ ძალის გამოყენება მოუხდა.

რაც შეეხება მესამე ადგილისთვის გამართულ შეხვედრას, აქაც იტალიელებმა იმარჯვეს — ტრევიზოს „ბენეტონმა" 96:89 მოუგო ბელგრადის „პარტიზანს".

**გია აგლაძე**

### ყველა ფინალი. ევროლიგა
### (1992 წლამდე ევროპის ჩემპიონთა თასი)

| | | |
|---|---|---|
| 1958 | ასკ რიგა — აკადემიკი სოფია | 86:81, 84:71 |
| 1959 | ასკ რიგა — აკადემიკი სოფია | 79:58, 69:57 |
| 1960 | ასკ რიგა — დინამო თბილისი | 61:51, 69:62 |
| 1961 | ცსკა მოსკოვი — ასკ რიგა | 87:62, 61:66 |
| 1962 | დინამო თბილისი — რეალი მადრიდი | 90:83 |
| 1963 | ცსკა მოსკოვი — რეალი მადრიდი | 69:86, 91:74, 99:80 |
| 1964 | რეალი მადრიდი — სპარტაკი ბრნო | 99:110, 80:64 |
| 1965 | რეალი მადრიდი — ცსკა მოსკოვი | 81:88, 76:62 |
| 1966 | სიმენტალი მილანი — სლავია პრაღა | 77:72 |
| 1967 | რეალი მადრიდი — სიმენტალი მილანი | 91:83 |
| 1968 | რეალი მადრიდი — სპარტაკი ბრნო | 98:95 |
| 1969 | ცსკა მოსკოვი — რეალი მადრიდი | 103:99 (მეორე დამატებით დროში) |
| 1970 | იგნისი ვარეზე — ცსკა მოსკოვი | 79:74 |
| 1971 | ცსკა მოსკოვი — იგნისი ვარეზე | 67:53 |
| 1972 | იგნისი ვარეზე — იუგოპლასტიკა სპლიტი | 70:69 |
| 1973 | იგნისი ვარეზე — ცსკა მოსკოვი | 71:66 |
| 1974 | რეალი მადრიდი — იგნისი ვარეზე | 84:82 |
| 1975 | იგნისი ვარეზე — რეალი მადრიდი | 79:66 |
| 1976 | მობილჯირჯი (იგნისი) ვარეზე — რეალი მადრიდი | 71:64 |
| 1977 | მაკაბი თელ ავივი — მობილჯირჯი ვარეზე | 78:77 |
| 1978 | რეალი მადრიდი — მობილჯირჯი ვარეზე | 75:67 |
| 1979 | ბოსნა სარაევო — ემერსონი (მობილჯირჯი) ვარეზე | 75:67 |
| 1980 | რეალი მადრიდი — მაკაბი თელ ავივი | 89:85 |
| 1981 | მაკაბი თელ ავივი — სინუდინე ბოლონია | 80:79 |
| 1982 | სკვიბი კანტუ — მაკაბი თელ ავივი | 86:80 |
| 1983 | ფორდი (სკვიბი) კანტუ — ოლიმპ ბევი ბილი (სიმენტალი) მილანი | 69:68 |
| 1984 | ბანკო დი რომა რომი — ბარსელონა | 79:73 |
| 1985 | ციბონა ზაგრები — რეალი მადრიდი | 87:78 |
| 1986 | ციბონა ზაგრები — ჟალგირისი კაუნასი | 94:82 |
| 1987 | ტრეიზერი (ოლიმპ ბევი ბილი) მილანი — მაკაბი თელ ავივი | 71:69 |
| 1988 | ტრეიზერი მილანი — მაკაბი თელ ავივი | 90:84 |
| 1989 | იუგოპლასტიკა სპლიტი — მაკაბი თელ ავივი | 75:69 |
| 1990 | იუგოპლასტიკა სპლიტი — ბარსელონა | 72:67 |
| 1991 | პოპ 84 (იუგოპლასტიკა) სპლიტი — ბარსელონა | 70:65 |
| 1992 | პარტიზანი ბელგრადი — ხუვენტუდი ბადალონა | 71:70 |
| 1993 | ლიმოჟი — ბენეტონი ტრევიზო | 59:55 |
| 1994 | ხუვენტუდი ბადალონა — ოლიმპიაკოსი პირეოსი | 59:57 |
| 1995 | რეალი მადრიდი — ოლიმპიაკოსი პირეოსი | 73:61 |
| 1996 | პანათინაიკოსი ათენი — ბარსელონა | 67:66 |
| 1997 | ოლიმპიაკოსი პირეოსი — ბარსელონა | 73:58 |
| 1998 | კინდერი ბოლონია — აეკი ათენი | 58:44 |


### „სარბიელი" სათანამშრომლოდ იწვევს

ჟურნალისტებს, გამოცდილთ და დამწყებთ, რომელთაც სურთ წერონ ფეხბურთზე, კალათბურთზე, რაგბიზე, ჭიდაობასა და ჭადრაკზე;

მთარგმნელებს, გამოცდილთ და დამწყებთ, ინგლისურიდან გადმოსაქართულებლად.

მსურველები შემოგვეხმიანონ ხუთშაბათს 12-დან 15 საათამდე ან კვირას 14-დან 16 საათამდე

ტელ: 39 48 29 ან 39 40 08;

მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42. II კორპუსი, მე-4 სართული




# მიზეზ მიზეზ...

მონაკო. მონტე კარლოს ღია პირველობა. ტარდება თიხნარზე. საპრიზო 2,45 მილიონი $

ჩოგბურთში ყოველწლიურად ანიჭებენ პრიზს ყველაზე გაუმჯობესებულ მოთამაშეს, რომლის პატრონიც 1997-ისთვის ავსტრალიელი პატრიკ რაფტერი გახდა, ერთ-ერთი ძირითადი პრეტენდენტი კი იონას ბიორკმანიც იყო. მაშინ შვედი დიდი სტეფან ედბერგის მემკვიდრედ მიიჩნიეს, დევისის თასის ფინალში ამერიკელების დამარცხების შემდეგ კი ლამის ეროვნული გმირადაც შერაცხეს, მაგრამ მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა. ამჟამად სკანდინაველს ისეთი შავი დღეები უდგას, ყველაზე გაუარესებულ მოთამაშეს რომ ირჩევდნენ, იგი ამ ჯილდოს უმთავრესი კანდიდატი იქნებოდა.



ფაბრის სანტორო

ბიორკმანმა (5) სეზონი ასე თუ ისე რიგიანად დაიწყო, ავსტრალიის ღია პირველობაზე მეოთხედფინალს უწია, დუბაიში ნახევარფინალშიც კი გახლდათ, მაგრამ მას მერე გამარჯვებულთა გრაფაში მისი გვარი სანთლით საძებარი გახდა — შვედი მეორე წრეს არსად გასცილებია. მონტე კარლოში იონასმა სამარცხვინო მარცხი იწვნია ჩეხ სლავა დოსედელთან — 1:6, 0:6, სწორედ იმ დოსედელთან, ევგენი კაფელნიკოვს თამაში რომ ეზარებოდა და მაინც მოუგო.

რაც შეეხება ყველაზე გაუარესებული მოთამაშის სხვა კანდიდატებს, ნუსხაში ერთ-ერთი პირველი როლან გაროსის ორგზის ჩემპიონი სერხი ბრუგერა (15) იქნებოდა. ესპანელმა წლეულს ოთხი თვის განმავლობაში ერთადერთხელ მოახერხა მეოთხედფინალში გასვლა. მეორე წრეში ბრუგერას მეტოქე ფრანგი ფაბრის სანტორი იყო — ჩია, მაგრამ საოცრად სტაბილური და გონიერი მოთამაშე. ტიტულოვანი ესპანელი საკუთარ თავს მხოლოდ მატჩის დასაწყისში ჰგავდა, როდესაც მიღალი, მოჭრილი აბრაგნებით მეტოქე უკანა ხაზზე მიაჯაჭვა და მის იშვიათი კონტრშეტევებით გამოჭერას ახერხებდა, მაგრამ თანდათანობით ინიციატივა სანტორომ გადაიბარა, პირველი ხელი 6:3 მოიგო, მეორეში კი ბრუგერას წინააღმდეგობას გაწევა კი არა, პრესტიჟის გეიმის მითვლაც კი დაეზარა — 3:6, 0:6.

**მეორე წრე: პეტერ კორდა (2, ჩეხეთი) — უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) 6:1, 6:3; ევგენი კაფელნიკოვი (4, რუსეთი) — მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) 4:6, 6:2, 6:2; ალექს კორეჩა (6, ესპანეთი) — ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 7:6 (7:4), 6:4; ალბერტო ბერასატეგი (12, ესპანეთი) — დანიელ ვაცეკი (ჩეხეთი) 6:0, 7:6 (7:1).**

პიტ სამპრასი მეორე წრეში ანდრე აგასის დამარცხებამ და მეოთხე ცდით მონტე კარლოში გამარჯვებათა ანგარიშის გახსნამ ისე გაახარა, ნელ კორტებზე თავისი არცთუ სახარბიელო შედეგები მაშინვე დაავიწყდა და განაცხადა, გულის სიღრმეში ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ თიხნარზე თამაშიც შემეძლოო. ასე რომ, მესამე წრეში მის მეტოქეს, ფაბრის სანტოროს თანამემამულე სედრიკ პიოლინიც კი განწირულად თვლიდა, სამპრასი თუ საშუალო დონეზე მაინც ითამაშებს, ფაბრისს არანაირი შანსი არა აქვსო. რა თქმა უნდა, ის არავის გახსენებია, რომ სანტოროს ამერიკელი აქამდე ორჯერ დაემარცხებინა, ორჯერვე თიხნარზე.

მატჩი სამპრასმა მეტად აგრესიულად დაიწყო და ეისებითა და ბადესთან გასვლებით თავის თაყვანისმცემლები დააიმედა, იოლად მოვიგებო, მაგრამ ჩოგბურთი მარტო ერთი გეიმი არ არის და ყველას გასაკვირად, ანგარიშმა თანდათან ფრანგის სასარგებლოდ დაიწყო ზრდა — 2:1, 4:1. სანტოროს დასაწინაურებლად დიდი ჯაფა სულაც არ დადგომია — საკმარისი იყო, მოწოდება უკან მიებრუნებინა ანაც ბურთი ერთი-ორჯერ ხეირიანად დაერტყა, რომ სამპრასი შეუჩერებლად სცოდავდა, და არა მარტო თავისი შედარებით სუსტი ბექჰენდით. ასე რომ, სანტორომ ზედიზედ შვიდი გეიმი მოიგო და მეორე სეტში 1:0-თაც დაწინაურდა. პირველად განთესილმა ამერიკელმა ამ დროს ანგარიში გაათანაბრა და თითქოს მატჩში გარდატეხის შეტანაც დააპირა, მაგრამ ფრანგის რამდენიმე რიგიან შემოვლებას და ბადესთან მოულოდნელ გასვლას მისი მეტოქის ხასიათის წახდენა და ანერვიულება, ოციოდ წუთში კი რვა წლის განმავლობაში უმწარესი მარცხიც მიჰყვა 1:6, 1:6 (1990-ში სამპრასმა იონას სვენსონთან 1:6, 0:6 წააგო).

სანტორომ თავის ბოლო ორ მატჩს შორის საოცარი მსგავსება აღმოაჩინა — ბრუგერამაც და სამპრასმაც კარგად დაიწყეს, მაგრამ პირველი სეტის წაგების მერე წინააღმდეგობის გაწევა შეწყვიტესო. ამერიკელს კი მარცხის ასახსნელად მიზეზები არ დაელია — ორმო თავად გავითხარე, დღეს არაფერი გამომდიოდა, დილიდანვე ცუდ გუნებაზე ვიყავიო. ის კი არა, წინა დღის გულის სიღრმისეული განაცხადიც გადაავიწყდა და დაიჩივლა, თიხნარი სათამაშოდ ყველაზე ცუდი საფარია, კორტზე თავს მარტო (!) გრძნობდიო, თუმცა ვისთან ერთად სურდა ყოფნა, არ დაუზუსტებია.

სამპრასის მარცხმა პირველი ჩოგნობისკენ კიდევ ერთხელ გაუხსნა გზა ჩეხ პეტერ კორდას. ამისათვის მონტე კარლოში ფინალში გასვლაც კმაროდა. კორდამ შესანიშნავად დაიწყო შეხვედრა მეთექვსმეტედ განთესილ ალბერტ კოსტასთან და 5:0-ითაც დაწინაურდა, მაგრამ მერე იმდენი მოახერხა, ზედიზედ შვიდი გეიმი და მასთან ერთად მთელი სეტიც წააგო. ყველაფერი იქეთკენ მიდიოდა, რომ ჩეხი კიდევ ერთხელ კარგავდა სამპრასის გასწრების შანსს, მაგრამ ორივე დარჩენილ ხელში მან თითო ბრეიკით ჩამორჩენაც კი აანაზღაურა და საბოლოოდ 5:7, 6:4, 6:4-ით გააღწია მეოთხედფინალში.

როლან გაროსის ჩემპიონთა გასაჭირი მერვედფინალებშიც გაგრძელდა: პირველ წრეში გავარდნილ ტომას მუსტერს (1995) და მეორეში აბარგებულ სერხი ბრუგერას (1993-94) ამჯერად რუსი ევგენი კაფელნიკოვი (1996) და ბრაზილიელი გუსტავო კერტენიც (1997) მიჰყვნენ, რამაც მონტე კარლო სათიხნარო სლემის გამარჯვებულთა გარეშე დატოვა.

კაფელნიკოვმა შესანიშნავ ფორმაში მყოფ კარლოს მოიას ვერაფერი მოუხერხა 2:6, 3:6, კერტენი კი სედრიკ პიოლინთან დამარცხდა 6:7 (6:8), 1:6. ბრაზილიელი პირველ ხელში მეტოქეზე უკეთაც ირჯებოდა, მოწოდება ზედიზედ სამჯერ მშრალზეც აართვა, მაგრამ ტაი-ბრეიკზე სეტ პოინტის გამოუყენებლობამ წყობიდან გამოიყვანა და თამაშის ხალისიც დაუკარგა.

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, გერმანელი ბორის ბეკერი კი ირწმუნება, ახლა მწვრთნელად უფრო მივიჩნევ თავს, ვიდრე ჩოგბურთელადო, მაგრამ ტურნირიდან ბობოლების გაგდებას მაინც აგრძელებს. მსოფლიოში უსწრაფესი მოწოდების პატრონის, გრეგ რუზეცკის მონადირების შემდეგ „ბუმ-ბუმ" ბორისმა კიდევ ერთი მძლავრად მომწოდებელი, მარკ ფილიპუსისი იმსხვერპლა. „სკადად" წოდებულმა ავსტრალიელმა მატჩის წინ განაცხადა, ბავშვობაში ოთახი ბეკერის პლაკატებით მქონდა აჭრელებული, მასთან შეხვედრა ჩემთვის დიდი პატივიაო. მისდა სამწუხაროდ, ნანატრი შეხვედრა მალე დასრულდა — გერმანელმა მეტოქის განადგურებას 48 წუთი მოანდომა 6:1, 6:1.

**მესამე წრე: ალექს კორეჩა — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 7:6 (7:1), 6:1; რიჩარდ კრაიჩეკი (7, ჰოლანდია) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:4, 6:0; ალბერტო ბერასატეგი — სლავა დოსედელი 3:6, 6:3, 6:3.**

**ავთანდილ სვანიძე**

# ჩეხები მწვრთნელებს არ წყალობენ...

ჩეხეთის დევისის თასის გუნდის კაპიტანს, ვლადიმირ სავრდას შვეიცარიელებთან დამარცხება თანამდებობის დაკარგვად დაუჯდა. ჩეხეთის ჩოგბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა და უიმბლდონის ყოფილმა ჩემპიონმა იან კოდეშმა, სწორედ მან, ვინც ფინალში ჩვენებური ალექს მეტრეველი დაამარცხა, აწ უკვე ექს-კაპიტანს სტრატეგია და მოთამაშეების შერჩევა დაუწუნა: „შვეიცარიელთა წინააღმდეგ მას დანიელ ვაცეკი არ უნდა ეთამაშებინა... ყველამ იცოდა, რომ იგი კარგ ფორმაში არ იყო და თანაც სასტიკად ნერვიულობდა." ვაცეკმა, ჩეხეთის მეორე ჩოგანმა, ერთეულების პირველი შეხვედრაც დათმო მარკ როსესთან და წყვილებში დამარცხებაშიც ლომის წილი დაიდო.

სავრდამ ნაკრებში 1996-ში გადაიბარა ტომას შმიდისგან და იმავე წელს გათამაშების ნახევარფინალშიც გაიყვანა, სადაც ჩეხები დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდნენ შვედებთან. შარშან მისი ნაკრები უკვე მეოთხედფინალში გამოეთიშა გათამაშებას, რაც ძირითადად პეტერ კორდას თამაშზე უარით იყო გამოწვეული, მის გარდა კი ჩეხებს საუკეთესო ორმოცდაათეულში არავინა ჰყავთ.

შვეიცარიასთან შეხვედრასვე შეეწირა ჩეხეთის ჩოგბურთელ ქალთა ნაკრების თავკაცი, ასევე უიმბლდონის ყოფილი ჩემპიონი ჰანა მანდლიკოვა, ოღონდ მან გასულ უქმეებზე 1:4 მარცხის შემდეგ ნებაყოფლობით იუარა თავისი გუნდის წინამძღოლობა. მანდლიკოვას წასვლას, კორდას არ იყოს, საუკეთესო ჩოგბურთელი ქალის — იანა ნოვოტნას დაკარგვაც შეიძლება მოჰყვეს, რომელსაც ჰანა მწვრთნელად ერგება.

# მარსელო რიოსი პირველი აღარაა

მარსელო რიოსის მიერ დევისის თასზე არგენტინასთან შეხვედრისას მიღებული იდაყვის ტრავმა საკმაოდ სერიოზული აღმოჩნდა. „სიტუაცია იმაზე უფრო გართულდა, ვიდრე ველოდით — პრობლემა ქრონიკულად იქცა. მისი თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება კი დასვენებაა" — განაცხადა რამდენიმე დღის წინ მარსელოს მამამ, ხორხემ.

რიოსი, რომელიც მარტის ბოლოს ისტორიაში მეთოთხმეტე მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდა, რამდენჯერმე ეცადა ვარჯიშის განახლებას, მაგრამ მუდმივმა ტკივილმა ამაზე ხელი აალებინა. ტრავმის გამო ჩილელს ამ კვირაში მიმდინარე მონტე კარლოს ღია ჩემპიონატიც გაუცდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მარსელოს ოთხკვირიანი ზეობა კლასიფიკაციის სათავეში ორშაბათიდან დასრულდება — მან ეს ტურნირი შარშან მოიგო და აქ დაგროვებული 500 ქულის დაკლებით, შესაძლოა, პირველიდან სულაც მეექვსე ადგილზე მოუწიოს დაქვეითებამ. ასპარეზობას კი რიოსი, სავარაუდოდ, 4 მაისს, გერმანიის ღია პირველობაზე დაუბრუნდება.

ჩილელის არყოფნაში პირველი ადგილის მოპოვების საუკეთესო შანსი ამერიკელ პიტ სამპრასს აქვს, თუმცა ამის წაფორხილებას ჩეხი პეტერ კორდას ალზევებაც შეიძლება მოჰყვეს.






ბავშვთა ქალაქ „მზიურის" საჩოგბურთო კორტებზე ცხადდება 6-8 წლის ბავშვების მიღება. მოზარდები ივარჯიშებენ ევროპისა და სსრკ მრავალგზის ჩემპიონის, სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის თეიმურაზ კაკულიას ხელმძღვანელობით.

მიღება ყოველდღე, 25 აპრილამდე, 9-დან 10 და 16-დან 20 საათამდე.

კი ბატონო, წაგაგეთ, მაგრამ... საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა იტალიელებთან მარცხის მიუხედავად ცხადყო, რომ საკმაო ძალა და უნარი შესწევს ძლიერ ევროპულ გუნდებთან ღირსეულად საპაექროდ. ეეჰ, ცოტაოდენი დახმარება (ფინანსური) და თანადგომა (ეროვნული გუნდი ხომ ეროვნული საქმეა) რომ იყოს, ირწმუნეთ, ქართველი მორაგბეები არაერთ გასახარსა და საამაყო გრძნობა-ამბავს გვაჩუქებდნენ. დიახ, ბატონო, სწორედაც რომ ეგრეა ეგ საქმეო, ამაყადაც და სინანულითაც დაგვიდასტურა ჩვენი მორაგბეების მთავარმა მწვრთნელმა გურამ მოდებაძემ, რომელსაც რუსებთან სათამაშოდ სამზადისზე გავესაუბრეთ.

# ნო პრობლემ იტალიაში განსაცდელი საქართველოში



გაგვახარეთ და გაგახარებთ! გვთხოვს და გვპირდება გურამ მოდებაძე

— იტალიაში ჩასვლამდე არგენტინაში ვიყავით, ეს გენიალური საფეხბურთო ქვეყანა გენიალურივეა სარაგბო თვალსაზრისით. არც იტალია ჩამოუვარდება, იქ ჩასვლამდე საკმაოდ კარგად მოვემზადეთ და თითქმის სრული, უძლიერესი შემადგენლობითაც წარვდექით. გვაკლდა მხოლოდ იურინი, იგივე ბეირუთა.

**— თითქოს დაებედათო, ქართველი სპორტსმენების მგზავრობას არცთუ იშვიათად გაუთვალისწინებელი სიძნელეებიც ახლავს. იტალიაში რაიმე პრობლემა ხომ არ შეგქმნიათ?**

— არა, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მასპინძლები ჭეშმარიტი იტალიური სტუმართმოყვარეობით დაგვხვდნენ, ვერაფერს ვიტყვი, ასე ვთქვათ, „ნო პრობლემ“.

**— ჩვენი მორაგბეებისთვის ეს დიდი თამაში იყო და, ეჭვი არაა, ბევრიც შეგძინათ...**

— მართლაც დიდი თამაში იყო და მართლაც ბევრი შეგვძინა. იტალიას ვეთამაშეთ ბოლო-ბოლო! საშუალება მოგვეცა, გამოგვეცადა ჩვენი შესაძლებლობები, ბოლომდე ვითამაშეთ, თავისუფლად. ყოველთვის სასიამოვნოა, როცა ძლიერ გუნდს ეთამაშები, ჩვენც ძლიერად ვითამაშეთ და კარგი შთაბეჭდილებაც დავტოვეთ. იტალიელები სხვების მიმართ ემოციების გამოხატვაში საკმაოდ ძუნწი ხალხია, თუ მეტოქემ ისინი არ მოაჯადოვა, ტაშს არ აღირსებენ. ჰოდა, როცა თამაში მორჩა, მთელი სტადიონი ფეხზე ადგა და ერთხმად მოგვძახოდა, „კომპლიმენტო“...

**— კიდევ რაიმეს ხომ არ გაიხსენებდით ქართველების იტალიაში მოგზაურობიდან, გნებავთ, სალაღობოს, გნებავთ, სხვას...**

— ვიცი, ჟურნალისტებს კურიოზები გიყვართ და ამიტომ ჯერ ამას მოგიყვებით: აქედან რომ მივფრინავდით, კაცს რომ ბედი გექნება, ნაკრების ექიმად ვალტერ კაპანაძე წამოგვყვა. წამოგვყვა-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ხშირად ამას ვერ ახერხებდა. ვერ გეტყვით, გულმა უგრძნო თუ რა, მაგრამ ეს კაცი კბილების დეფიციტს განიცდიდა, ჰოდა, ფრანკფურტში შეგვხვდნენ გერმანელი ექიმები და რომ ნახეს მისი კბილების მდგომარეობა, არც დაფიქრებულან, 4 000 დოლარი ისე შეაწიეს. ახლა ბატონი ვალტერის კბილებისა ალბათ ჰოლივუდის ვარსკვლავებსაც კი შეშურდებათ.

მეორეს ამას გავიხსენებ: იტალიელებთან თამაშის პირველი ტაიმის შემდეგ აჩიკო ქავთარაძე მოედანზე დარბოდა და ყვიროდა, ქართველებო, რა მაგრები ვყოფილვართ, ეხლა კი ავთამაშდები, არ მეგონა, ამდენს თუ შევძლებდითო.

**— მსაჯები კვლავაც არ გვწყალობენ?**

— აუჰ... უვარგისები არიან, იმათთან ბრმები ჩვენებს ბეწვს დაუნახავენ თვალში. რაც იტალიაში გააკეთეს, მაგას ვერც ავხსნი და ვერც გადმოვცემ, ბურთი არ დაგვაჭერინა ხელში. ბოლოს მოვიდა და ბოდიში მოგვიხადა, ფერი აღარ ედო.

**— თქვენთან ერთად ჩვენს ნაკრებს ფრანგი კლოდ სორელი წვრთნის. რამდენად საინტერესოა მასთან მუშაობა და როგორ შეეწყვნენ მას მორაგბეები?**

— მასთან თანამშრომლობა ძალიან საინტერესოა, ამ კაცმა თავისი საქმე იცის, მეტად დისციპლინიანი და მომთხოვნი პიროვნებაა, მასთან მუშაობა ადვილია, არ შეიძლება, ასეთ კაცთან მორაგბეებმა საერთო ენა ვერ გამონახონ.

**— ქართული ურთიერთობის ფენომენი ხშირად თავისას შვრება. აქ ჩამოსული და მოსაქმე ზოგი უცხოტომელი ქართული ღვინის მადლითაც ივსება და ჩვენებურადაც ირჯება ხოლმე...**

— მთლად ჩვენი ყაიდის კაცი ჯერ ვერ არის, მაგრამ მალე ალბათ სხვა გზა არ ექნება. იცით, ევროპელები პუნქტუალურები არიან, ჩვენ კი უფრო თავისუფლად ვიქცევით, დროის ყადრიც სხვანაირად გვესმის. უკვირს ხოლმე, თუ ზუსტად არ სრულდება დღის განრიგი. რაც შეეხება ღვინის მადლს, ის არ სვამს, არადა, მეღვინეა. საინტერესოა, კაცს ღვინო გქონდეს და წვეთს არ სვამდე?!

**— 20 მაისს რუსებს ვეთამაშებით. მათთან მუდმივი მეტოქეობა გვქონდა სპორტის ბევრ სახეობაში. როგორ ემზადებით მატჩისთვის?**

— მონდომებით კი ვვარჯიშობთ, მაგრამ მარტო რას გავხდებოდი: გუნდის ფიზიკურ მომზადებაში ლომის წილი უძევთ ნელი გრიგალაშვილს და ავთო ბერიძეს. ორ წელზე მეტია, ნელი ძალას არ იშურებს, ავთო ბერიძეც მხარში უდგას ნაკრებს. მადლობის მეტი რა მეთქმის, ისინი რომ არა, მარტო რას შევძლებდი.

**— რუსეთის ნაკრებზე რა იცით?**

— ძალიან ძლიერი გუნდია, ვაფასებ, როგორც კარგი რაგბის მოთამაშეებს, მე თვითონ რუს მორაგბეებთან ჭიდილში გავიზარდე.

**— სხვებივით, ფინანსურად თქვენც გიჭირთ. არავის გამოუთქვამს დახმარების სურვილი?**

— წყალწაღებულია ჩვენი საქმე, რაგბი არავის აინტერესებს, ელემენტარული პირობები არ გაგვაჩნია. დამიჯერებთ, გასახდელის კარს სახრახნისით ვაღებ. ლობიოსა და კარტოფილის ჭამით გაბერილ მოთამაშეებს თუ კიდევ რამის თავი აქვთ, თავად განსაჯეთ. ბიჭებს რომ იმ ხელფასების მეათედი ჰქონდეთ, რაც საზღვარგარეთ აქვთ, ზელანდიასაც მოვუგებდით, შეუძლებელს შევძლებდით. დღევანდელი პირობებით რას გინდა მიაღწიო? თუ გვეხმარებიან, კახი ასათიანი და გოგი თოფაძე არიან. დიდი მადლობა, რომ რაგბის არ ივიწყებენ. უცხოელებიც გვეხმარებიან, „ჯორჯიან ოილი“ შეეწია ჩვენს ჭაბუკებს, ასე რომ, მადლობის მეტი რა მეთქმის ამ ორგანიზაციის თავკაც ბრედ მიურატისთვის.

**მიხეილ ბაქრაძე**



პლეი ოფი. პირველი წრე

წლევანდელი პლეი ოფის პირველივე მატჩებმა სენსაციებით გაგვაოცა: აღმოსავლეთის ოთხი საუკეთესო გუნდიდან სამმა, მათ შორის კონფერენციის ჩემპიონმა ნიუ ჯერსიმ, მარცხი ივნია.

# ჰოკეისტებიც ტირიან



ოტავას გარდინერმა მოაგებინა

**ნიუ ჯერსი — ოტავა 1:2 (0:0, 0:1, 1:0, 0:1)**

**შაიბები: იაშინი 1 (0:1), გილმორი 1 (1:1), გარდინერი 1 (1:2)**

ამ მატჩს თამამად შეიძლება ეწოდოს პირველი ორი დღის ყველაზე დიდი სენსაცია. მიუხედავად იმისა, რომ ნიუ ჯერსი და ოტავა ჩემპიონატში დაზავდნენ (2:2 მოგება მიითვალეს), ვინ იფიქრებდა, რომ სტუმრად მოთამაშე „სენატორები“ მრისხანე „ეშმაკებს“ მათივე იარაღით — მჭიდრო მეურვეობითა და სწრაფი კონტრშეტევებით შეებრძოლებოდნენ. გარდა ამისა, ჩინებულად ითამაშა კანადელთა მეკარე დამიან როუდსმა (28 მოგერიება). სტუმრებს ჯერ კიდევ ძირითად დროში შეეძლოთ მოგება, მაგრამ ნიუ ჯერსი ვეტერანმა გილმორმა იხსნა. ოვერტაიმში მათ მაინც შეძლეს დამსახურებულად გამარჯვება: კარის ახლოს გაჩაღებულ ორთაბრძოლაში იმარჯვა ბრიუს გარდინერმა, რომელმაც წამით დაასწრო ნიუჯერსელთა მეკარე ბროდოს და 19-ათასიანი სტადიონი ჩააჩუმა.

22 აპრილი

**დალასი — სან ხოსე 4:1 (2:1, 1:0, 1:0)**

**შაიბები: ნუინდაიკი 1 (1:0), ლინდი 1 (2:0), ნოლანი 1 (2:1), ჰეჩერი 1 (3:1), მოდანო 1 (4:1)**

რა ბედიც ეწია შარშანდელ პლეი ოფში „პრეზიდენტ ტროფის“ მფლობელ დალასს, კარგად მოეხსენებათ ჰოკეის ქომაგებს. ამიტომაცაა, წლევანდელი ფინალის პირველივე მატჩში „ვარსკვლავებმა“ სერიოზულად რომ მოჰკიდეს საქმეს ხელი. პირველ სამ წუთში მათ სამჯერ დაარტყეს და აქედან მხოლოდ ერთხელ უმტყუნათ მიზანმა. საიდორის ზუსტი პასის შემდეგ მეკარესთან პირისპირ დარჩენილი ჯო ნუინდაიკის შაიბას ახალბედა ლინდის გოლი მოჰყვა, რომელმაც მოდანოს (1+2) შორეულ დარტყმას ოდნავ შეუცვალა მიმართულება. ამით „ზვიგენებს“, ფაქტობრივად, ყოველგვარი იმედი გადაეწურათ. მართალია, მათ შეძლეს ანგარიშის მინიმუმამდე შემცირება, რამდენიმე მწვავე მომენტიც შექმნეს, მაგრამ მთლიანობაში „ვარსკვლავთა“ უპირატესობა საგრძნობი იყო და მოდანოს მიერ ცარიელ კარში გატანილმა გოლმა ლოგიკურად დააბოლოვა კიდეც მატჩი. უნდა ითქვას, რომ სტუმრები ძალიან ღელავდნენ და ხშირად არღვევდნენ წესებს, რაც დალასისთანა გრანდთან სრულიად გაუმართლებელია. დალასელთა სავალალოდ, სერიოზულად დაშავდა და ამ სერიაში ველარ ითამაშებს მათი ფორვარდი ჯო ნუინდაიკი.

**დეტროიტი — ფინიქსი 6:3 (3:1, 3:0, 0:2)**

**შაიბები: ლიდსტრიომი 1 (1:0), კოშური 1 (2:0), ტოკეტი 1 (2:1), ფიოდოროვი 1 (3:1), მაკარტი 1 (4:1), კოშური 2 (5:1), მოლტბი 1 (6:1), რონინგი 1 (6:2), კორკამი 1 (6:3)**

პლეი ოფის პირველ დღეს ეს მატჩი ერთადერთი გახლდათ, რომელშიც ერთი მეტოქის უპირატესობა მეორეზე აშკარა იყო. ჩანს, დეტროიტი, შარშანდელივით, წლეულსაც სწორედ პლეი ოფში ათამაშდება ჩვეულად. პირველ ორ პერიოდში „წითელფრთიანებმა“ საშინლად დააბნიეს „კოიოტები“ და ულამაზესი გოლებითაც დასეტყვეს: ლიდსტრიომმა შორიდან უძლიერესად დაარტყა, ფიოდოროვმა კართან ახლოს იმარჯვა მცველებთან ბრძოლაში, მაკარტიმ კი სწრაფი კონტრშეტევა განახორციელა. დაუმატეთ ამათ ორი წლის წინ ნიუ ჯერსიში ჩამოწერილი ჯო კოშური, რომელიც დეტროიტში სრულიად გარდაიქმნა და სწორედ საპლეიოფო ბატალიებში გამოირჩევა.

უნდა ითქვას, რომ მასპინძლებს აკლდათ ოთხი წამყვანი თავდამსხმელი — დუგ ბრაუნი, ბრენდან შენაჰანი (დღე-დღეზე დაბრუნდება), ბრენტ ჯილკრისტი და კრის დრეიპერი.

**ვაშინგტონი — ბოსტონი 3:1 (1:0, 1:1, 1:0)**

**შაიბები: ბელოუზი 1 (1:0), გონჩარი 1 (2:0), კრისტიჩი 1 (2:1), ტიკანენი 1 (3:1)**

ვაშინგტონელები ტყუილად როდი ამყარებდნენ იმედს ვეტერანებზე. სწორედ სეზონის განმავლობაში შეძენილმა ბებრებმა — ბრაიან ბელოუზმა და ესა ტიკანენმა გადაწყვიტეს მატჩის ბედი. გარდა ამისა, ფინელმა თავდამსხმელმა, რომელსაც ხუთჯერ მოუგია სტენლის თასი, ჩინებულად ჩაკეტა „დათვების“ ლიდერი ჯეისონ ელისონი. არადა, მასპინძლებს წამყვანი ფორვარდის, პეტერ ბონდრას გარეშე მოუწიათ თამაშმა — სლოვაკი მეორე პერიოდის შუაგულში ბოსტონელ გილს დაეჯახა და კოჭი იტკინა. მეტად საიმედოდ გაისარჯა „კეპიტალსის“ მეკარე ოლაფ კოლციგი. აღნიშვნის ღირსია დედაქალაქელთა კორექტულობა, რის გამოც სტუმრებს მხოლოდ ორჯერ მიეცათ რიცხვმრავლობის გამოყენების საშუალება, თუმცა ვერცერთხელ იხეირეს. როგორც ჩანს, საპლეიოფო ციებ-ცხელებას ვაშინგტონი ჯერ არ შეუპყრია, რაკი დედაქალაქის 20-ათასიან სტადიონზე 5 ათასზე მეტი ადგილი თავისუფალი იყო.

**კოლორადო — ედმონტონი 2:3 (0:0, 1:0, 1:3)**

**შაიბები: ფორსბერგი 1 (1:0), ფორსბერგი 2 (2:0), გერინი 1 (2:1), მაკამონდი 1 (2:2), მირონოვი 1 (2:3)**

ასეთი საშინელ ფინალს კოლორადოელები ვერც კი წარმოიდგენდნენ. მატჩის დამთავრებამდე ცხრა წუთით ადრე მასპინძლები 2:0 იგებდნენ და თითქოს სიტუაციასაც აკონტროლებდნენ, მაგრამ სულ რაღაც ოთხ წუთში „ევლანშმა“ ეს უპირატესობა გაფლანგა და მას შემდეგ, რაც ბორის მირონოვმა სტუმრები დააწინაურა, ველარაფერი მოახერხა. „არ ვიცი, რა ჰქვია იმას, როცა გუნდი ესოდენ მცირე დროში სამ გოლს უშვებს“ — თქვა მატჩის შემდეგ მასპინძელთა თავდამსხმელმა ადამ დედმარშმა.

მოვლენათა ასეთი განვითარება, ცხადია, კიდევ უფრო გაამწვავებს ამ წყვილის პაექრობას, მით უმეტეს, რომ „ევლანშის“ მწვრთნელი მარკ კროუფორდი თავისი გუნდის მარცხში მსაჯებს ადანაშაულებს. მისი თქმით, ისინი თვალს ხუჭავდნენ ედმონტონელთა უხეშობაზე რასაც გამარჯვებულთა გენერალური მენეჯერის, ცნობილი გლენ საზერის საკადრისი პასუხი მოჰყვა: „არ მახსოვს, ჩემს სხვა შეგირდებს ამდენი ეტიროთ ასეთი მძიმე ორთაბრძოლის შემდეგ. ეს ხომ ჰოკეის განუყოფელი ნაწილია, ამიტომაც უწოდებენ მას ვაჟკაცების თამაშს“.

**ფილადელფია — ბუფალო 2:3 (0:1, 0:1, 2:1)**

**შაიბები: გროშეკი 1 (0:1), პრიმო 1 (0:2), ბრინდამორი 1 (1:2), გრეტონი 1 (2:2), ოდეტი 1 (2:3)**

ფილადელფიელთა მთავარი მწვრთნელი როჯერ ნეილსონი სტუმართა გამარჯვებას არ გაუკვირვებია: „ჩვენ სწორედ ასეთ — დისციპლინიან, დალაგებულ, საგარეო მატჩის ტაქტიკას ველოდით და ამიტომ მეტოქემ ვერაფრით გაგვაოცა, მათი მეკარეც ყოჩაღად ირჯებოდა. თუმცა, ჩვენსას კიდევ ვიტყვით.“ არადა, ამ მარცხს მასპინძლები მართლაც უნდა გაენაწყენებინა: ბოლო პერიოდის 19 წამში მათ ორი შაიბა შეაგდეს და გაათანაბრეს ანგარიში. აღფრთოვანებულმა „მფრინავებმა“ ტემპს უმატეს, მაგრამ ერთ-ერთი იშვიათი კონტრშეტევისას ოდეტმა ჩინებულად ითამაშა დამატებაზე და ფსიქოლოგიური უპირატესობა შესძინა „ხმლებს“.

სხვათა შორის, ფილადელფიელთა კარს თავისი საიმედოობით ცნობილი შონ ბურკი იცავდა. მიუხედავად იმისა, რომ პლეი ოფში 1990 წლის შემდეგ უთამაშებელ ბურკს სერიოზული შეცდომა არ დაუშვია, მეორე შეხვედრაში იგი, შესაძლოა, რონ ჰექსტოლმა შეცვალოს.

23 აპრილი

**პიტსბურგი — მონრეალი 2:3 (0:1, 1:1, 1:0, 0:1)**

**შაიბები: რუჩინსკი 1 (0:1), ვერენკა 1 (1:1), პოპოვიჩი 1 (1:2), შლეგრი 1 (2:2), ბრიუნე 1 (2:3)**

გავარდნაზე მოთამაშე გუნდებს სიფრთხილე მართებთ — ერთ შეცდომას შეიძლება სავალალო შედეგი მოჰყვეს. ასე მოხდა პიტსბურგშიც, სადაც სრულიად თანაბარ ბრძოლაში „პინგვინებმა“ ოვერტაიმში ხელიდან გაუშვეს გამარჯვების შესაძლებლობა. ცვლილებების დროს მასპინძლები ისე დაიბნენ, რომ მათი მთელი ხუთეული მოედნის ერთ მხარეს აღმოჩნდა. მონრეალელებმა კი უმალ ისარგებლეს პიტსბურგელთა წამიერი შეფერხებით და მალახოვის პასის შემდეგ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ბრიუნემ ეს შანსი არ დაკარგა.

**სენტ ლუისი — ლოს ანჯელესი 8:3 (2:1, 4:0, 2:2)**

**შაიბები: დემიტრა 1 (1:0), კურტნოლი 1 (2:0), ჯ. ჯონსონი 1 (2:1), ტარჯონი 1 (3:1), კემბელი 1 (4:1), კემბელი 2 (5:1), ტარჯონი 2 (6:1), ჰალი 1 (7:1), დემიტრა 2 (8:1), მიურეი 1 (8:2), რობიტაილი 1 (8:3)**

თავდასხმაში უაღრესად აქტიური სენტლუისელებისგან (შეგახსენებთ, მათ ჩემპიონატში ყველაზე მეტი შაიბა შეაგდეს) ასეთ დახვედრას „მეფეები“ მაინც არ ელოდნენ. „ბლუზმენებმა“ პირველივე წუთებიდან ჩაკეტეს მეტოქე თავის ზონაში და სანამ ანგარიში 8:1 არ გახადეს, არ მოისვენეს. მათი შეტევების სულისჩამდგმელი ჯეფ კურტნოლი გახლდათ. ფორვარდმა მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა, სამაგიე- [illegible] დუგ გილმორის 1986 წლის რეკორდი გაიმეორა, გარდა ამისა, კურტნოლი ლიგის პირველ მოთამაშედ მოგვევლინა, ვინც მარიო ლემიეს შემდეგ (1992) ერთ მატჩში 6 ქულის დაგროვება მოახერხა. მას გუნდის სხვა ლიდერებმაც აუბეს მხარი: პავოლ დემიტრამ (2+1), პიერ ტარჯონმა (2+1) და სტივ კემბელმა დუბლი გაახერხეს, ბრეტ ჰალის ანგარიშზე კი 4 (1+3) ქულაა.



სენტ ლუისი — ლოს ანჯელესი. სენტლუისელმა ჯეფ კურტნოლმა ლამის მთელი ლოს ანჯელესი მოასრიალა

**სამველ ლარიბიანი**

ავტორბოლა

# ამ ტრასიდან ის ქვეყანა ახლოა

იმოლას ენცო და დინო ფერარების ტრასა, რომელიც ერთ-ერთი უსწრაფესია და ამასთან დიდ მოთხოვნებს უყენებს მუხრუჭებსა და ძრავებს, მე-18-ედ უმასპინძლებს სან მარინოს დიდ პრიზს. პირველად ეს ასპარეზობა 1981 წელს გაიმართა და ნელსონ პიკეს („ბრებჰემი") გამარჯვებით დასრულდა. შემდგომში ეს ტრასა მრავალი საინტერესო ორთაბრძოლისა და სახიფათო ავარიის მომსწრე გახდა. 1982 წელს ბოქსებიდან გაფრთხილების მიუხედავად დიდიე პირონიმ „ფერარი" ბრძოლა გაუმართა თანაგუნდელ ჟილ ვილნევს, 15 წრის განმავლობაში ორი ალისფერი „ფერარი" გვერდი-გვერდ, 300 კმ-სთ სიჩქარით დაქროდა ტრასაზე. ბოლო წრეზე „ტამბურელოს" მოსახვევში პირონი დაწინაურდა, უკანასკნელ მოსახვევში შესვლისას კი სახიფათო მანევრით მოიგერია ვილნევის შეტევა.

1988 წელს, სენასა და პროსტის რბოლისწინა შეთანხმების მიუხედავად, პირველ მოსახვევში პირველად შესვლისთვის მეორეს არ უნდა შეეტია, მათ შორის მაინც მძაფრი პაექრობა გაჩაღდა. პროსტი გრძელ და სწრაფ „ტამბურელოს" მოსახვევში პირველი შევიდა, სენა მალევე წამოეწია მას, „მაკლარენებმა" ერთმანეთის გვერდიგვერდ გაიქროლეს მოსახვევში, ლამის ბორბლებით ეხებოდნენ ერთმანეთს, მერე კი, ისევ მოსახვევში, სენა დაწინაურდა და რბოლაც მოიგო.

1984 წელს თავის კარიერაში პირველად და უკანასკნელად სენამ კვალიფიკაცია ვერ გაიარა.

1985 წელს ფინიშამდე 4 წრით ადრე სენას „ლოტუსს" ბენზინი გაუთავდა და ფინიშის ხაზი პირველმა პროსტმა გადაკვეთა, მაგრამ მისი ბოლიდი დაწესებულზე მსუბუქი აღმოჩნდა, რასაც ფრანგის დისკვალიფიკაცია მოჰყვა.

1987 წელს, კვალიფიკაციაზე, „ტამბურელოს" მოსახვევში პიკეს „უილიამსის" საბურავი გასკდა და მისი ბოლიდი 300 კმ-სთ სიჩქარით გვერდულად შეეჯახა ბარიერს. პიკე სტარტზე არ გამოსულა.

1989 წელს იგივე „ტამბურელოში" ბერგერის „ფერარის" წინა ფრთის ნაწილი მოტყდა, ავსტრიელის ბოლიდი კედელს შეეჯახა და ცეცხლი გაუჩნდა. მანქანა 52 წამს იწვოდა. ჰოსპიტალში გონს მოსულმა ავსტრიელმა განაცხადა: „მე იმ ქვეყანაში შევიხედე, მაგრამ იქ არ მომეწონა"...

1994 წელს ვარჯიშზე ბარიჩელოს „ჯორდანი" მოწყდა ტრასას, მაგრამ მისი „ფრენა" ბედნიერად დასრულდა. პილოტი გადარჩა. შემდეგ კი ტრასაზე ტრაგედია დატრიალდა. „ტამბურელოდან" გამოსვლისას „სიმტეკის" პილოტ რაცენბერგერის (ავსტრია) ბოლიდს ფრთის ნაწილი მოსწყდა და ავარიამ მრბოლი შეიწირა. მეორე დღეს კი, რბოლისას, „ტამბურელოში" სენა შეასკდა ბარიერს და ფორმულა-1-მა „ჯადოქარი" დაკარგა.

ამ ტრაგედიის შემდეგ „ტამბურელო" შეცვალეს, სიჩქარე შემცირდა და მოსახვევი თითქოს უფრო უხიფათო გახდა, თუმცა ბევრი პილოტი ამას არ ეთანხმება.

შარშანდელ რბოლაში კარგა ხანს ჟაკ ვილნევი ლიდერობდა, მერე ბოქსებში მოუწია შესვლამ, ცოტა ხანში გადაცემათა კოლოფმაც უმტყუნა და რბოლა დროზე ადრე დაამთავრა, მისმა თანაგუნდელმა ფრენცენმა კი პირველი გამარჯვება იზეიმა.

წლეულს უილიამსელები გამარჯვების კანდიდატები ვერ იქნებიან, მათი ბოლიდი აშკარად ვერ არის ბოლომდე გამართული და აკი შარშანდელი ტრიუმფატორი ფრენცენიც აღიარებს, „უილიამს-მეკაქრომი" არ არის ის ბოლიდი, რომლითაც გამარჯვება შეიძლებაო.

ძირითადი ბრძოლა „მაკლარენსა" და „ფერარის" შორისაა მოსალოდნელი. მაკლარენელები „სილვერსტოუნზე" ატარებდნენ ტესტებს, სადაც არკვევდნენ, რატომ დაკარგა არგენტინაში რბოლის მეორე ნახევარში ჰაკინენის ბოლიდმა სიჩქარე, თანაც „ბრიჯსტოუნის" საბურავებს ცდიდნენ იმოლასთვის. „ფერარი" კი „მუჯელოსა" და საკუთარ ტრასებზე ვარჯიშობდა. ირვინმა „მუჯელოში" 400 კმ გაიარა უპრობლემოდ. შემდეგ კი ამას „ფიორანოში" 142 წრე დაუმატა, საიდანაც 38 სველ ტრასაზე საბურავების შერჩევას მოანდომა. შუმიმ კი ამავე ტრასაზე 113 წრე გაიარა და კმაყოფილი დარჩა „ფერარის" მზადყოფნით. ამასთან, მოსალოდნელია, რომ „იმოლაზე" „ფერარიმ" ისეთი დამატებითი ფრთები გამოიყენოს, როგორიც წინა ეტაპებზე „ტირელის", „ზაუბერისა" და „პროსტის" ბოლიდებზე იყო დამონტაჟებული. ეს სიახლე ტრასასთან შეჭიდულობის გაზრდას და აქედან გამომდინარე ბოლიდების სტაბილურობას უწყობს ხელს.

„იმოლაზე" ჰაკინენი თავის მე-100 რბოლას ჩაატარებს, ბარიჩელო 85-ეს, ხოლო როსეტი მე-20-ს. „უილიამსი" 320-ედ გამოვა სტარტზე, ბენეტონი — 255-ედ. გასულ ოთხშაბათს, 22 აპრილს კი არგენტინელ ესტებან ტუეროს 20 წელი შეუსრულდა.

**ალეკო ჭაბუკიანი**

## ფორმულა 1
## IV ეტაპი
## სან მარინოს დიდი პრიზი

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

26 აპრილი. იმოლა. ენცო და დინო ფერარების ტრასა
რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 16 საათზე
ტრასის სიგრძე 4,930 კმ; დისტანცია — 62 წრე — 305,696 კმ




**1997 წლის შედეგები:**

1. *ფრენცენი* (უილიამს რენო) 1;31.00,673 (201,509 კმ/სთ)
2. *მ. შუმახერი* (ფერარი)
3. *ირვინი* (ფერარი)
4. *ფიზიკელა* (ჯორდან პეჟო)
5. *ალეზი* (ბენეტონ რენო)
6. *ჰაკინენი* (მაკლარენ მერსედესი)

საუკეთესო წრე: *ფრენცენი* 1.25,531 (207,503 კმ/სთ)
პოული: *ვილნევი* (უილიამს რენო) 1.23,303 (213,053 კმ/სთ)

წინა წლების გამარჯვებულები:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1996 | *ჰილი* (უილიამს რენო) | 1995 | *ჰილი* (უილიამს რენო) |
| 1994 | *შუმახერი* (ბენეტონ ფორდი) | 1993 | *პროსტი* (უილიამს რენო) |

ჭადრაკი

# საქართველოს ჩემპიონი სტეინიცის მონაფეა...

**ფიდე საჭადრაკო ჩინებს ჩაწყობით არ არიგებს, ხოლო დიდოსტატ მაია ლომინეიშვილს საკმაოდ მტკიცე ნერვული სისტემა აქვს. ეს ორი მოსაზრება 23 აპრილს დასრულებულმა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატმაც დაადასტურა.**

მე-6 ტურში ლომინეიშვილმა სოფიკო ნოკოლაძესთან თითქმის მოგებული პარტია წააგო. მსგავსი მარცხი, ჩვეულებრივ, მეტად დამთრგუნველად მოქმედებს მოჭადრაკის ფსიქოლოგიაზე და შემდგომი წარუმატებლობების მიზეზიც ხდება, ლომინეიშვილზე კი სწორედ პირიქით იმოქმედა და უფრო მეტად მოიყვანა ბრძოლის იშტაზე...

ბოლო, მე-9 ტურში, რომელსაც ყველაფერი უნდა გადაეწყვიტა, ლომინეიშვილმა, შავი ფიგურებით ნათია წურწუმიას რომ ეთამაშებოდა, დაგვარწმუნა: მისთვის არცთუ უცხოა გენიალური სტეინიცის „უპირატესობათა დაგროვების" თეორიის პრინციპები. დაფაზე მიმდინარეობდა გარეგან სიმძაფრეს მოკლებული, ფარული ბრძოლა. მეტოქეები დიდხანს მანევრირებდნენ ფიგურებით, რის შედეგადაც ლომინეიშვილმა აუჩქარებლად, ნაბიჯ-ნაბიჯ გაზარდა თავისი პოზიციური უპირატესობა და სადღაც 35-ე სვლაზე წურწუმიამ მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ მის მეფეს ფლანგიდან უტევს შავი ფიგურების საკმაოდ დიდი და აგრესიული დაჯგუფება მეტად საშიში გამსვლელი პაიკის წინამძღოლობით. ხუთიოდე სვლის შემდეგ თეთრმა მეფემ თავისივე ფერის ალამი გადმოკიდა... ამ გამარჯვების შემდეგ ლომინეიშვილმა 9 შესაძლებლიდან 7 ქულა დააგროვა და საქართველოს ჩემპიონი გახდა. მიმდინარე წელს ეს მისი მეორე წარმატებაა. მანამდე კი იყო პატარა გერმანული ქალაქი შვებიშგმუნდი, სადაც მაიამ 400-კაციან შერეულ ტურნირში იასპარეზა, მრავალი სოლიდურად მოაზროვნე ჯენტლმენი უკან მოიტოვა და V-X ადგილები გაიყო, რაც ჩინებულ შედეგად უნდა მივიჩნიოთ.

მეორე ადგილი ჩემპიონატში დაიკავა ნატო ეძგვერაძემ. იგი ძლიერი მოჭადრაკეა და მან ეს ერთხელაც დაამტკიცა. ეძგვერაძემ, ლომინეიშვილის დარად, 7 ქულა მოაგროვა და მხოლოდ უარესმა კოეფიციენტმა შეუშალა ხელი უმაღლეს საფეხურზე ასვლაში.

ქართველი საჭადრაკო სპეციალისტებისთვის განსაკუთრებით სასიხარულო აღმოჩნდა 14 წლის ანა მათნაძის მესამე ადგილი. მათნაძემ თავის ტოლებთან მოპოვებულ გამარჯვებათა ნუსხას მოზრდილებთან ბევრად უფრო მძიმე ბრძოლაში მიღწეული წარმატებაც შემატა. ზედმეტი სითამამე არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მათნაძის სახით საქართველოში მსოფლიოს ჩემპიონობის ერთ-ერთი რეალური კანდიდატი იზრდება.

ჩემპიონატის დახურვას დაესწრო საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილი, რომელმაც საზოგადოებას აუწყა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ზონალურ ტურნირზე საქართველოდან დაშვებულია არა ხუთი (როგორც აქამდე იყო ცნობილი), არამედ შვიდი მოჭადრაკე. ოღონდ დამატებულ მოჭადრაკეებს ტურნირზე გამგზავრება საკუთარი ხარჯებით მოუწევთ. რაც შეეხება უშუალოდ ზონალურ ტურნირს, იგი, სავარაუდოდ, საბერძნეთში გაიმართება, თუმცა ადგილი და თარიღი ჯერ კიდევ დასაზუსტებელია.

მოკლედ, საქართველოს ქალთა ჩემპიონატი გასრულდა. გამარჯვებულებს ვულოცავთ, დამარცხებულებს თანავუგრძნობთ, ახლა კი მთელი ჩვენი ყურადღება 30 აპრილისკენაა მიპყრობილი, როდესაც რვა, ჭადრაკში ყველაზე გაწვრთნილი ქართველი მამაკაცი „ნოკაუტ-სისტემის" დახმარებით გაარკვევს, თუ რომელ მათგანს არ მოუწევს ნოკაუტში ყოფნა.

**დავით გულუა**

კრივი

# გამოღვიძებული კეთილი გოლიათი

დიდი, ზონზროხა, დინჯად მოლაპარაკე კაცი ოქროსჩარჩოიანი სათვალით, რუხ კოსტუმში გამოწყობილა და იღიმება. ასეთი ვინმეა, თითქოს უხარია, რომ აქ არის, თუმცა, ისიც გაეხარდებოდა, სხვაგან რომ იყოს.

ეს გახლავთ 38 წლის ჯეიმს „ბასტერ" დუგლასი, მძიმე წონის ოდინდელი ჩემპიონი, რომელმაც სახელი იმით გაითქვა, რომ 1990 წელს, ტოკიოს რინგზე ლასცა მაიკ ტაისონი და ტიტული წაართვა. „ბასტერი" კარგა ხანს იყო ერთადერთი კაცი, ტაისონი რომ დაჯაბნა.

ახლა „ბასტერ" დუგლასი 38 წლისაა და 180 კილოგრამს იწონის. საკვირველი კია, მაგრამ რინგზე დგას და კრივობს. სამი წელიწადია, რაც ხელოსნას დაუბრუნდა და ექვსი ბრძოლა ჩაატარა. ექვსივე მოიგო. მსოფლიოს ჩემპიონს, თუნდაც პენსიონერს და ოთხი წლის წინათ დიაბეტურ კომაში ჩავარდნილს, ფარჩაკთა ძლევა არ გაუჭირდება..

გოლიათი დუგლასი დაბრუნებისშემდგომ ყველაზე დიდ ბრძოლას გეგმავს, გადაუწყვეტია ლუ სავარეზეს შეერკინოს. ლუ სავარეზე დაბალი კლასის მძიმეწონოსანთა უპირობო მეფეა, 32 წლისა გახლავთ, კრივი ემარჯვება და თავის ვიწრო სპეციალობად დაბერებულ ჩემპიონებთან შეხვედრა და წაგება აქვს. მოკლედ, შემოსავალზე ფიქრობს კაცი და პატიოსნადაც შრომობს.

„ბასტერს" კი კარიერაში ერთადერთი მარცხი განუცდია 43 ბრძოლიდან და ისიც როგორღაც უცნაური. ეს იყო ტაისონის ძლევის შემდეგ. ჩემპიონ დუგლასს პრეტენდენტმა ევანდერ ჰოლიფილდმა ერთი დაკრა და დააგდო. დუგლასი აღარ ადგა და შემდეგ შარიც მოსდეს თავისი ნოკაუტი თავადვე მოიგონაო. თვითონაც აღიარა, მოტივაცია არ მქონდა ჰოლიფილდთან ჩხუბისასო. არ ჰქონდა და შეეშვა კრივს.

ამერიკულ მედიას ერთადერთი რამ აინტერესებს „ბასტერის" ცხოვრებაში: როგორ მოხდა, რომ ამ დარდუბალა ვინმემ მაიკ ტაისონი წააქცია? ამის გამო ბევრი დაწერილა და იწერება. სადაც კი დუგლასი გამოჩნდება, შეკითხვაც მზადაა: როგორ აჯობე მაიკს?

ახლა „ბასტერი" ნიუ-იორკში იმყოფება და სავარეზესთან ჩხუბის საქმეებს აგვარებს. მედიაც იქვეა და იმ ერთადერთი, ცნობილი და გაცვეთილი შეკითხვით მიმართავს.

ეგებ ხალხს ეგონოს, რომ „ბასტერ" დუგლასს დიდად საამაყოდ აქვს ტაისონის ძლევა. თურმე, „ბასტერს" არ უყვარს იმ ტოკიური საღამოს გახსენება. გამარჯვების შემდეგ მედიამ იმდენი სიმწარე მაგემა, რომ ყველაფერზე ხელი ჩავიქნიეო. მაშინ საფსონო შანსი 42-1-ზე იყო ტაისონის სასარგებლოდ და გამარჯვებული „ბასტერის" ქების ნაცვლად, ტაისონის გამართლება დაიწყეს.

„ამბობდნენ, ცოლს შორდება და პრობლემები აქვს, გალოთებული იყო და იმიტომაც წააგოო", — ჰყვება დუგლასი — „ეგ რა ჩემი ბრალი იყო, ვერ გავიგე. კრივს შევეშვი და ოთხ წელიწადს კიდევ მესმოდა ეს ამბები. ამის სმენასა და კითხვაში ამომძვრა სული. ამიტომ დამჩემდა უხასიათობა".

ჰოდა, ბასტერმაც დაბრუნება გადაწყვიტა. დაბრუნდა და ჩხუბობს. მსოფლიო ჩემპიონობის გამწევი ძნელადღაა, მაგრამ ასეთი ამბიციური და მონდომებული რომ ახალგაზრდობაში ყოფილიყო, ჩემპიონიც ბიჭობაში გახდებოდა და ტიტულსაც ბევრი ვერავინ წაართმევდა.

„ტაისონთან შეხვედრა?" — კითხულობს „ბასტერი" — „რატომაც არა, მაგრამ ამაზე უფრო ჰოლიფილდთან შეხვედრა მინდა. დავუმტკიცებ, რომ ახლა ბევრად უკეთესი მოკრივე ვარ, ვიდრე მაშინ ვიყავი, როცა მის დარტყმაზე წავიქეცი. ახლა ბასტერი ნამდვილი მეომარია, მაშინ კი თავში უქროდა. ნამდვილი კაცი, ნამდვილი ჩემპიონი".

კომას ბევრი ვერაფერი დაუკლია მისთვის. პირიქით, ჯანმრთელობის საზიანო ამბავმა სარგებელი მომიტანა და გამომაფხიზლაო. ვინა ხარ შენ, „ბასტერ" დუგლას, მძიმეწონოსანი მოკრივე თუ მძიმე ფიქრების კაციო, არცთუ დაცინვის გარეშე ჰკითხა მავანმა რეპორტიორმა.

„მე გული მაქვს მძიმე", — მშვიდად მიუგო „ბასტერმა" — „მაგრამ საბედნიეროდ მუშტიც მძიმე დამრჩა".

რას აპირებს ძველი დროის მთვლემარე ჩემპიონი? ისე, ერთ რამეში ვერავინ შეეცილება — მასზე მძიმე მოკრივე დღეს სანთლით საძებარია.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**


მშენებლობა დიზაინი რეკლამა
აკაცია Acacia
ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები
დამცავი ჟალუზები
მარკიზები
ფასები გაგაკვირვებთ
თბილისი, გუდიაშვილის 11, ტელ.: 99 47 53,
მობილური: 8 77 41 72 57; 8 77 41 72 37
e-mail dato@acacia.postnet.ge



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზურაბ მეძველია
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოლუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, ონისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29